



K 115 714
3

K115.714
3

სამი გენერაცია
და მისი მიზანი
და მისი მიზანი
და მისი მიზანი


663. 25
საქართველო
სახუმიანო

ა. სიცილის
ეპილო

ხარისხეობანი ღვინის ღაყინველი და მოვლა

K 115. 414
3

გვამოგდეალობა
„საბჭოთა საქართველო“
თბილისი
1964



6Π8.5
663.25
ს532



ნაშრომში მოცემულია საქართველოში გავრცელებული პერსპექტიული სალვინე ჭიშების მოკლე აღწერა, ღვინის დაყენება-მოვლის რაციონალური ტექნოლოგიური წესები, ღვინის ავადმყოფობანი და მათ წინააღმდეგ ბრძოლის ძირითადი ღონისძიებანი.



შ მ ს ა პ ა ლ ი

მევენახეობა-მეღვინეობა სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგია; საქართველოში ამ დარგის განვითარებას მდიდარი ისტორიული წარსული, კარგი აწმყო და დიდი პერსპექტივები გააჩნია.

არქეოლოგიური გათხრების შედეგად ნაპოვნი უძველესი ნივთები, (ლვინის სასმისები, ქვევრები, საწნახლები და სხვ.), კულტურის ძეგლთა მხატვრული გაფორმება, სადღეისოდ შემორჩენილი გარეული ვაზის ჭიშები და ისტორიულ-ლიტერატურული მასალები საქართველოს ვაზის ერთ-ერთ სამშობლოდ აღიარებენ.

საქართველოს ეკონომიკაში, კერძოდ, მის ძლიერებაში წინსვლასა და მომავალში დიდ როლს თამაშობდა მევენახეობა-მეღვინეობა. აღნიშნული გარემოება კარგად ესმოდათ საქართველოს აღრეულ მტრებს და მისი ეკონომიკური დაუძლურების მიზნით ვაზის გაკაფვა-ამოგდებას მიმართავდნენ.

მტრის ურდოების ბარბაროსულმა შოქმედებამ ვერ გატეხა ქართველი ხალხის სიყვარული ვაზისადმი; სიძნელეთა მიუხედავად; ქართველი ხალხი აღადგენდა გაკაფულ ვენახებს, მზრუნველ ხელს და მოვლა-პატრონობას არ აკლებდა ვაზს.

ასეთმა ზრუნვამ გარკვეული შედეგი მიიღო; გასული საუკუნის 70-იან წლებში საქართველოში ვენახის ფართობი 71000 ჰექტარს შეადგენდა. შემდეგ, ცოტა უფრო გვიან, ვაზის ფილოქსერამ და სხვადასხვა ავალმყოფობამ გარკვეული ზიანი მიაყენა საქართველოს მევენახეობის რაიონებს, მწყობრიდან გამოვიდა ჰექტარობით ვენახის ფართობი.

ამას დაემატა 1914 წლის პირველი მსოფლიო ომი, რომელმაც მუშახელი მოაკლო სოფელს და ვენახების მოვლა-

პატრონობის საქმე ერთეულებს მიანდო; ირლვეოდა ვაზის მიწოდება ვლის აგროტექნიკური ორნისძიებანი, რის შედეგად საგრძნობრივო ლად შემცირდა ყურძნის მოსავლიანობა.

ასევე, მენშევიკების ხანმოკლე ბატონობამ საქართველოში კიდევ უფრო გაანადგურა და დაკნინების გზაზე დააყენა მევენახეობა-მეღვინეობა.

საბჭოთა საქართველომ მეფის რუსეთისაგან მიიღო მევენახეობა-მეღვინეობის ჩამორჩენილი მემკვიდრეობა.

საქართველოში დღიდან საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო მევენახეობა-მეღვინეობას და თვალსაჩინო პერსპექტივები დაისახა მისი შემდგომი განვითარებისათვის.

რიგ დადგენილებათა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია სსრ კავშირის სახეომსაბჭოსა და საკ. კ პ (ბ) ცკ-ის 1936 წლის 28 ივლისის დადგენილება „საქართველოში მევენახეობისა და ხარისხოვანი მეღვინეობის განვითარების შესახებ“, რომლის მიხედვით იქმნება მევენახეობის მძლავრი საბჭოთა მეურნეობები, მწყობრში დგება ყურძნის გადასამუშავებელი მექანიზირებული მარნები და ღვინის ქარხნები; მეცნიერული საფუძველი დაედო ყურძნის მოსავლიანობის გადიდებისა და ღვინის ტექნიკუროგიის როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული მნიშვნელობის მქონე საკითხების სრულყოფილად დამუშავების საქმეს.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების შვიდწლიანი (1958—1965 წწ.) გეგმა კიდევ უფრო ნათელ პერსპექტივებს უსახავს რესპუბლიკის მევენახეობა-მეღვინეობას; 1965 წლისათვის საქართველოში ვენახის ფართობი 150000 ჰექტარამდე გაიზრდება, ხოლო ღვინის წარმოება 2,5-ჯერ.

ვენახის ფართობისა და ყურძნის მოსავლიანობის გადიდებასთან ერთად შეუწელებლად უმჯობესდება ქართული ღვინების ხარისხი.

საკმარისია ითქვას, რომ 1955, 1957, 1958 წლებში იუგოსლავიაში, ხოლო 1960 წელს ბუდაპეშტში გამართულ საერთაშორისო გამოფენებზე ქართულმა ღვინოებმა მიიღეს 24 ოქროს, 42 ვერცხლის და 2 ბრინჯაოს მედალი; 1964 წელს კი ბუდა-

პეშტსა და ლიუბლანაში ჩვენმა ღვინოებმა მიიღო 4 ოქროსქვერი ვერცხლის და 1 ბრინჯაოს მედალი; საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე მოსკოვში, 1958 წელს, ქართული ღვინოების მაღალხარისხოვნება 7 ოქროს და 15 ვერცხლის მედლით აღინიშნა.

ჩესპუბლიკის ღვინის მრეწველობის მუშაქთა ძირითად მიწანს კვლავ შეადგენს სხვადასხვა ტიპის ქართული ღვინოების ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფა-დაზუსტება და პროდუქციის ხარისხობრივი მაჩვენებლების ზრდა; ვფიქრობთ, ამ მიზნის განხორციელებაში გარდვეულ წვლილს შეიტანს წინამდებარე ბროშურა.

საქართველოში გავრცელებული ძირითადი საღვითი
 ვაზის ჯიშების მოპლე დახასიათება

რიგ ფაქტორებთან ერთად, ღვინის ხარისხზე დიდ გავლენას ახდენს ვაზის ჯიში, მიკრობაიონის კლიმატური პირობები და აგროტექნიკური ღონისძიებანი.

ვაზის ჯიში ძირითადად განსაზღვრავს ღვინის ბუნებას, მის სპეციფიკურ არომატს და დამახასიათებელ გემოს. ცალკეული ვაზის ჯიშებიდან დამზადებული ღვინოები თავიანთი შინაარსით მკვეთრად განსხვავდებიან ურთიერთისაგან. ეს განსხვავება, ძირითადად, ჯიშობრივი არომატისა და გემოს თავისებურებებიდან გამომდინარეობს.

ამდენად, ვაზის ჯიშთა ნაირსახეობა საფუძველს ქმნის ჩამოყალიბდეს სხვადასხვა ტიპის ღვინოები — ყოველმხრივ გაფართოვდეს პროდუქციის ასორტიმენტი.

ქართველმა ხალხმა ძირფესვიანად გამოიყენა საქართველოს ნიადაგობრივ-კლიმატური პირობები და საუკუნეების მანძილზე წარმოებული დაუღალავი შრომის შედეგად აბორიგენულ ვაზის ჯიშთა მდიდარი ყოლექცია შექმნა; საღლეისოდ საქართველო 500-ზე მეტ აბორიგენულ ვაზის ჯიშს ითვლის; ზოგიერთი მათგანი მევენახეობა-მეღვინეობის ცალკეულ რაონში სხვადასხვა ტიპის მაღალხარისხოვან ღვინოებს იძლევა.

საქართველოში გავრცელებულ აბორიგენულ და უცხოურ საღვინე ვაზის ჯიშებიდან აღსანიშნავია — რქაწითელი, საფერავი, მწვანე, ცოლიკოური, კრახუნა, კაბერნე, ჩინური, გორული მწვანე, ალიგოტე, ალექსანდროული, ოჯალეში, უსახელოური, ჩხავერი, პინო, ხიხვი და სხვ.



რქაწითელი, როგორც ძვირფასი სამრეწველო ფეხმატება
ჯიში, ფართოდაა ცნობილი არა მარტო ჩვენს რესპუბლიკაში,
არამედ საბჭოთა კავშირის მევენახეობა-მეღვინეობის სხვა
რაიონებშიაც. იგი კარგად ეგუება გარემო პირობებს და ცალ-
კეულ რაიონში სხვადასხვა სახის მაღალხარისხოვან პროდუქ-
ციას იძლევა.

რქაწითელს საქართველოში 24319 ჰექტარი მიწის ფართობი
უჭირავს, რომლის დიდი ნაწილი (19640 ჰექტარი) მის სამშობ-
ლო კახეთზე მოდის; მომდევნო ადგილს, რქაწითელის გაცრცე-
ლების მხრივ, ქართლი იკავებს.

რქაწითელი საშუალოზე მაღალ მოსავალს იძლევა, ცალ-
კეულ ადგილებში იგი 30%-მდე შაქარს აგროვებს. ამ კონ-
ცენტრაციის მქონე წვენს საკმაო მეუვიანობაც გააჩნია.

რქაწითელი საიმედო ნედლეულს წარმოადგენს თითქმის
ყველა ტიპის ღვინისათვის; ძირითადად კი მას იყენებენ კახუ-
რი და ევროპული ტიპის ღვინოების დასამზადებლად. ამ მხრივ,
დიდი მოწონებით სარგებლობს ქართული სამარკო ღვინოები
„წინანდალი“, „გურჯაანი“ და „ტიბაანი“, რომელთა მაღალი
ღირსება არა ერთხელ აღინიშნა საერთაშორისო და საკავში-
რო გამოფენებზე.

კარდანახისა და ხირსის მიკრორაიონებში რქაწითელი იძ-
ლევა, აგრეთვე, პორტვეინისა და მადერის ტიპის ღვინოებს;
ამასთანავე, კარდანახში რქაწითელისაგან მზადდება ლიქიორუ-
ლი ღვინო „სამო“, რომელიც გამოიჩევა სასიამოვნო შეფე-
რვით, მიმზიდველი არომატით და ორიგინალური, რბილი გე-
მოთი.

ყურადღებას და საერთო მოწონებას იმსახურებს, აგრეთვე,
ქართლის რაიონებში რქაწითელისაგან დამზადებული შამპანუ-
რი ღვინის მასალები.

სახელგანთქმული ქართული კონიაკები „ენისელი“, „გრე-
მი“ და სხვა რქაწითელის პროდუქციას წარმოადგენს.

გარდა აღნიშნულისა, რქაწითელისაგან მზადდება მაღალ-
ხარისხოვანი ყურძნის წვენი; იგი, ამასთანავე, ფართო გამო-
ყენებას პოულობს, როგორც სუფრის ყურძენი.

ს ა ფ ე რ ა ვ ი — სამეურნეო ნიშანთვისებებით პირველ ად-

ვილზეა, მსოფლიოში გავრცელებულ წითელყურძნიან ვაჭარა ჯიშებს შორის.

რქაწითელის მსგავსად, მის სამშობლოდ კახეთი ითვლება. ასევე ფართოდაა იგი გავრცელებული საბჭოთა კიგშირის მევენახობა-მეღვინეობის რიგ რაიონებში.

საქართველოში საფერავის ქვეშ მოქცეულია 3411 ჰექტარი მიწის ფართობი, რომლისაგანაც კახეთზე 2210 ჰექტარი მოდის.

კახეთის ზოგიერთ მიკრორაიონში საფერავი 30%-მდე შაქარს აგროვებს, სასიამოვნო, ხალისიანი მუავიანობის შენარჩუნებით.

საფერავისაგან უმთავრესად მზადდება კახური და ევროპული ტიპის ღვინოები; კახური ტიპის ღვინო გამოირჩევა ინტენსიური შეფერვით, სასიამოვნო არომატითა და რბილი, ხავერდოვანი გემოთი; ევროპული ტიპის ღვინო, ჩამოთვლილ დაფებით თვისებებთან ერთად, ცოცხალი შეფერვისა და ხალისიანი მუავიანობის მატარებელია.

მაღალი გემური თვისებებით ხასიათდება ქართული ღვინო „მუკუზანი № 4“. ასევე აღსანიშნავია ჯიშური არომატისა და გემოს გამომხატველი „ქართული ღვინო № 5“-ის დამაკაყოფილებელი თვისება.

გარდა სუფრის ღვინოებისა, ყვარელის მიკრორაიონში, ქინდმარაულის ნაკვეთებიდან, საფერავი იძლევა ბუნებრივად ტკბილ „ქართულ ღვინო № 22“-ს, ხოლო გურჯაანის რაიონში ნახევრად ტკბილ ღვინოს „ახაშენს“.

საფერავი ძვირფას მასალას წარმოადგენს, აგრეთვე, სადესერტო ღვინოებისათვის; მისგან დამზადებული პორტვეინის, კაგორის და მისტელის ტიპის ღვინოები გამოირჩევიან ინტენსიური შეფერვით, სასიამოვნო ჯიშური არომატით და მკვეთრად გამოხატული ჰარმონიული, ხავერდოვანი, რბილი გემოთი.

მ წ ვ ა ნ ე — პერსპექტიულ თეთრყურძნიან საღვინე ვაზის ჯიშებთან ერთად, ყურადღებას იმსახურებს თავისი პროდუქციის მაღალი ხარისხოვნებით. იგი ძირითადად გავრცელებუ-

ლია კახეთის მევენახეობა-მეღვინეობის რაიონებში, რის გა უკიცხება
მოც მას ხშირად კახურ მწვანეს უწოდებენ.

რქაწითელისა და საფერავის შემდეგ მწვანეს, გავრცელების
მხრივ, კახეთში მესამე ადგილი უკავია. 1956 წლისათვის რეს-
პუბლიკაში ამ ჯიშს ეჭირა 1918 ჰექტარი მიწის ფართობი;
1965 წლის დამლევისათვის იგი დაიკავებს 7868 ჰექტარ მიწის
ფართობს.

მწვანე დიდ მგრძნობიარობას იჩენს ნაცრისა და გარემო
პირობების მიმართ; ერთი ტონა მწვანეს ყურძენი 70—72 დე-
კალიტრ ღვინოს იძლევა. იგი, ამასთანავე, დიდი რაოდენობით
აგროვებს შაქარს; კარდანახის მიკრორაიონში მწვანის ყურძ-
ნის ტკბილის შაქრიანობა 24—26%-მდე აღწევს. მწვანესაგან
ძირითადად ევროპული და კახური ტიპის ღვინოები მზადდება.

თავისი მაღალი ხარისხით გამოიჩევა ევროპული წესით
დამზადებული ღვინო მანავის მწვანედან. იგი ხასიათდება
ზომიერი სხეულით, სასიამოვნო ჯიშური ნაზი არომატით და
მიმზიდველი გემური თვისებებით.

მწვანედან კახური წესით დამზადებული ღვინო მიმზიდ-
ველ ჯიშურ არომატთან ერთად, პარმონიული რბილი გემოთი
ხასიათდება; დაძველებისას კიდევ უფრო უმჯობესდება მისგან
დამზადებული ღვინოების გემური თვისებები.

მწვანე საუკეთესო საკუპაჟე მასალაა; მწვანის კუპაჟი რქა-
წითელთან კიდევ უფრო აუმჯობესებს პროდუქციის ხა-
რისხს — სასიამოვნო არომატს და მიმზიდველ გემოს აძლევს
მას.

ამასთანავე, მწვანეს დიდი პერსპექტივა ესახება პორტვეი-
ნის ტიპის ღვინოების დამზადების საქმეში.

ცოლიკოური — ძირითადად დასავლეთ საქართველო-
ში გვხვდება, აქ იგი კარგად ეგუება გარემო პირობებს და სხვა-
დასხვა სახის მაღალი ხარისხის პროდუქციას იძლევა. ცალკე-
ული ნარგავების სახით მას ვხვდებით, აგრეთვე, კახეთის მევე-
ნახეობა-მეღვინეობის ზოგიერთ რაიონში, რომელთაგან კო-
ნიაკის წარმოებისათვის მაღალხარისხოვანი კონდიციური ღვი-
ნომასალები მზადდება.

რქაწითელის შემდეგ ცოლიკოურს, გავრცელების მხრივ,



მეორე ადგილი უკავია საქართველოში; მაღალი ღირებულების პროდუქციასთან ერთად, ცოლიკოურის გავრცელების ინტენსივობას ხელს უწყობს, აგრეთვე, მისი უხვმოსავლიანობა და სოკოვან ივაღმყოფობათა მიმართ გამძლეობის დიდი უნარი.

ცოლიკოური, ძირითადად, მაღალხარისხოვან ევროპული და იმერული ტიპის ღვინოებს იძლევა. თავისი მაღალი ხარისხით განსაკუთრებით აღსანიშნავია ცოლიკოურისაგან დამზადებული „ქართული ღვინო № 7“. ღვინო სამარჯოა, ხასიათდება ნაზი ბუკეტით და ჯიშისათვის დამახასიათებელი ყოველმხრივ განვითარებული გემოთი.

განსაკუთრებით მაღალხარისხოვან სუფრის ღვინოებს იძლევა ცოლიკოური დიმის, ფერსათის, ობჩის, მაიაკოვსკის, სვირისა და არგვეთის მიკრორაიონებში. სვირის მიკრორაიონში მისგან მზადდება იმერული ტიპის ორიგინალური სამარჯო ღვინო „სვირი“, რომელსაც, სასიამოვნო ბუკეტთან ერთად, გააჩნია ტიპისათვის დამახასიათებელი სხეული და ხალისიანი მჟავიანობა.

ასევე, ყურადღებას იპყრობს მისგან დამზადებული ორდინალური „ქართული ღვინო № 6“.

ცოლიკოური ცნობილია, აგრეთვე, ზუნებრივად ტკბილი ღვინით „ტვიში № 19“ და პორტვეინის ტიპის „ქართული ღვინო № 18“-ით.

ცოლიკოური მაღალხარისხოვან ღვინომასალებს იძლევა კონიაკის წარმოებისათვის; ქართული სამარჯო კონიაკის „ვარციხე“-ს კუპაჟში, ძირითადად, მონაწილეობს მაიაკოვსკის და ვანის მიკრორაიონებში ცოლიკოურისაგან მიღებული კონიაკის სპირტები; ასევე, სამარჯო კონიაკ „ოს“-ის კუპაჟის გარკვეული ნაწილი ზესტაფონის მიკრორაიონში ცოლიკოურისაგან მიღებული სპირტებისაგან შედგება.

ციცქა — ძირითადად გავრცელებულია იმერეთის მევენახეობა-მეღვინეობის რაიონებში. იგი, დიდ მოსავალთან ერთად, 20 — 22 %-მდე ზაქარს აგროვებს და დამაკმაყოფილებელი ხარისხის მქონე პროდუქციის იძლევა.

ზესტაფონისა და მაიაკოვსკის რაიონში ციცქა მაღალი ღირსების ევროპული და იმერული ტიპის ღვინოებს იძლევა. ორ-



ქონიკიძისა და საჩერის რაიონებში ციცქა, ზემოთ დასახულებული ლვინების გარდა, ცნობილია შამპანური ლვინის მასალებით. მისგან დამზადებული ლვინები ხასიათდებიან სასიამოვნო ბუქეტით და დიდ ყურადღებას იმსახურებენ საერთო გემური მაჩვენებლების მხრივ.

ციცქა, ამასთან ერთად, საიმედო საკუპაჟე მასალას წარმოადგენს; ამ მიმართებით, მან ფართო გამოყენება პპოვა აჭარა-სა და გურიაში, სადაც მისი დაკუპაჟებით ალიგოტესთან და ცოლიკოურთან შესამჩნევად უმჯობესდება ლვინის ხარისხი.

თავისი მაღალი სამეურნეო-ტექნოლოგიური თვისებების გამო ციცქას პერსპექტივა ენიჭება დასავლეთ საქართველოში შემდგომი გავრცელებისათვის.

კახეთის მევენახეობის ზოგიერთ რაიონში ციცქა გვხვდება ცალკეული ნარგავების სახით; აქ იგი იძლევა სასიამოვნო მაღალმუავიან, შედარებით მცირე ალკოჰოლიან და ზომიერი სხეულის ლვინომასალას, რომელიც წარმატებით გამოიყენება კონიაქის ტექნოლოგიაში.

კრასუნა — იმერეთის მევენახეობა-მეღვინეობის რაიონებში გვხვდება; იგი სუსტ გამძლეობას იჩენს სოკოვან დაავადებათა მიმართ, რის გამოც მისი შემდგომი გავრცელების არეალი ნაწილობრივ შეზღუდულია.

კრასუნა სასიამოვნო სუფრის ლვინის იძლევა. ამასთანავე, ვფიქრობთ მის პერსპექტიულობაზე მაღერის ტიპის ლვინების დასამზადებლად. კრასუნა მონაწილეობს „ქართული ლვინი № 6“-ის კუპაჟში და გარკვეულად აუმჯობესებს მის გემურ თვისებებს; ასევე დადებითი შედეგია მიღებული „ქართული ლვინი № 18“-ის კუპაჟში კრასუნას მონაწილეობით. განსაკუთრებით გამოირჩევა კრასუნას პროდუქცია ზესტაფონის რაიონში.

ამასთან ერთად, აღსანიშნავია, რომ იგი კარგად ინახება ზამთრის პერიოდში და მოსახლეობა ამ მიმართებითაც იყენებს მას.

კაბერნე — წითელყურძნიანი ვაზის ჯიშია, მის საშობლოდ საფრანგეთი ითვლება. აქ კაბერნე იძლევა მაღალხარისხოვან ლვინოებს; ფართო პოპულარობა მოიპოვა ბორდოს

წითელმა ღვინოებმა, რომელთა ნედლეულს კაბერნე წითელი ადგენს.

გარდა საფრანგეთისა, კაბერნე გვხვდება მევენახეობის ყველა ქვეყანაში; იგი ყველგან კარგად ეგუება გარემო პირობებს და სასიამოვნო ღირსების მქონე ცოცხალი შეფერვის ღვინოებს იძლევა.

კაბერნემ, როგორც ერთ-ერთმა პერსპექტიულმა საღვინე ჯიშმა, ფართო გავრცელება პპოვა საქართველოში.

1956 წლის აღწერით, მას აქ ეკავა 643 ჰექტარი მიწის ფართობი; 1965 წლის დამდეგისათვის განზრახულია კაბერნეს ფართობი გაიზარდოს 1642 ჰექტარამდე.

კაბერნემ ფართო გავრცელება პპოვა წინანდლის, ნაფარეულისა და კარდანანის მიკრორაიონებში; განსაკუთრებით მაღალი ხარისხის პროდუქციას იძლევა იგი წინანდლის მიკრორაიონში. კაბერნესაგან დამზადებული ქართული ღვინო „თელიანი № 2“ გამოირჩევა მაღალი გემური თვისებებით, აქვს ცოცხალი შეფერვა, მკვეთრად გამოხატული ჯიშური არომატი და გეშო.

კაბერნე, სუფრის ღვინის გარდა, იძლევა მაღალხარისხოვან მასალებს წითელი შამპანურისათვის და სადესერტო ღვინოებს. ჩვენი რესპუბლიკის გარდა, ამ მიმართებით, კაბერნე პერსპექტიულია სომხეთში, მოლდავეთში, უკრაინაში, ყირიმის, როსტოვის, გროზნოს ოლქებში, შუა აზიის რესპუბლიკებში, კრასნოდარისა და სტავროპოლის მხარეებში.

ჩინური — ძირითადად ქართლის მევენახეობა-მეღვინეობის რაიონებში (გორი, ქარელი, დუშეთი, კასპი) გვხვდება. იგი კარგად უძლებს ვაზის ავაღმყოფობებს, მაგრამ, ამასთანავე, მგრძნობიარეა ყინვებისადმი.

მეჯვრისხევში, ატენში, ხილისთავში, კასპისა და სამხრეთ საქართველოს რაიონებში ჩინური იძლევა მაღალხარისხოვან ეგროპული ტიპის ღვინოებს, რომელთაც ახასიათებთ ზომიერი სხეული, მიმზიდველი ჩალისფერი, ნაზი არომატი და სასიამოვნო გეშო.

ჩინურიდან მზადდება ბუნებრივი ცქრიალა ღვინო „ატენური“, რომელიც, ხალისიან მუავიანობასთან ერთად, ნახშიროჩუანგა ვაზის ზომიერი შემცველობით ხასიათდება.



ჩინური პერსპექტიულია, როგორც საკუპაუე მასალა; მანურ ღვინომასალებში; ამით მკვეთრად უმჯობესდება ამ უკანასკნელთა ღირსება, მნიშვნელოვნად უმჯობესდება მათი არომატი და გემო.

გორული მწვანე — ქართლის საღვინე ვაზის ჭიშია, იგი ძირითადად გავრცელებულია გორის და ქასპის რაიონებში; მას ვხვდებით, აგრეთვე, ხაშურის, ქარელის, ახალციხის და სამხრეთ ოსეთის რაიონებში. იგი საშუალო მოსავლიანობით ხასიათდება და აგროვებს შაქარს 20—21%-მდე.

გორული მწვანე იძლევა მაღალხარისხოვან ევროპული ტიპის სუფრის ღვინოს; ეს უკანასკნელი ხასიათდება ღია ჩალის-ფერით, ხალისიანი მუავიანობით, ზომიერი სხეულით, სასიამოვნო ჭიშური არომატით და გემოთი; სიძველეში კიდევ უფრო უმჯობესდება ღვინის გემური თვისებები.

გორული მწვანე იძლევა, აგრეთვე, საუკეთესო შამპანურის ღვინომასალებს; მას შამპანურის წარმოებისათვის შემდგომი გავრცელების პერსპექტივები გააჩნია.

ალიგოტე — სსრ კაშირის მევენახეობა-მეღვინეობის თითქმის ყველა რაიონში გვხვდება. მან ფართო გავრცელება პპოვა საქართველოში; მის ქვეშ ათვისებული მიწის დიდი ფართობი ქართლშია წარმოდგენილი. განსაკუთრებით თავისი პროდუქციით თავი ისახელა ალიგოტემ მუხრანის მიკრორაიონში, რის გამოც იგი მუხრანულის სახელწოდებითაცაა ცნობილი.

ალიგოტე შედარებით უხვი მოსავლიანობით ხასიათდება; შაქარს 20—21%-მდე აგროვებს. მისგან, ძირითადად, ევროპული ტიპის სუფრის ღვინო და შამპანური ღვინომასალები მზადდება. მისგან დამზადებული „ქართული ღვინო № 9“ მაღალი გემური თვისებებით ხასიათდება, ამ თვისებების გამო ამ ჭიშს ჩვენი ქვეყნის მევენახეობა-მეღვინეობის რიგ რაიონებში შემდგომი გავრცელების პერსპექტივები ესახება; 1965 წლისათვის საქართველოში იგი დაიკავებს 1766 ჰექტარ მიწის ფართობს.

ალექსანდროული — წითელყურძნიანი საღვინე ვაზის ჭიშია; იგი გავრცელებულია, ძირითადად, რაჭაში — ამბროლაუ-

რის რაიონში. ხასიათდება საშუალოზე მცირე მოსავლის ბით და ფიზიოლოგიური სიმწიფისას აგროვებს 24—27%-მდე შაქარს. ალექსანდროულიდან მზადდება სახელგანთქმული, ბუნებრივად ტკბილი ღვინო „ხვანჭკარა“ (ქართული ღვინო № 20), რომელსაც აქვს მკვეთრად გამოხატული ჯიშური თვისებები, სასიამოვნო არომატი და ჰარმონიული, მიმზიდველი გემო.

აღნიშნული ჯიში შედის „ქართული ღვინო № 10“-ის კუპაუში; სასიამოვნო გემურ თვისებებს ძენს მას.

მაღალი ხარისხის სუფრისა და ბუნებრივად ტკბილი ღვინო ღვება, აგრეთვე, კახეთში გავრცელებული ალექსანდროულიდან.

ოჯალეში — წითელყურძნიანი ვაზის ჯიშია. გავრცელებულია ზუგდიდის, ცხავაიას, გეგეჭკორისა და ცაგერის რაიონებში, ამასთან ერთად, გვევდება გურიისა და აფხაზეთის მევენახეობა-მეღვინეობის რაიონებში; მას ახასიათებს საშუალო მოსავლიანობა; შაქარს აგროვებს 22-დან 24%-მდე.

ოჯალეში მაღალხარისხოვან, სუფრის წითელ ღვინოს იძლევა. მას დიდი პერსპექტივა აქვს, აგრეთვე, ბუნებრივად ტკბილი ღვინოების დამზადების საქმეში. ამ მიმართებით საყურადღებოა ლეჩეუმში არსებული ზუბი-ოყურეშის მიკრორაიონი, სადაც ორბელის ოჯალეში იძლევა ხალისიანი შეფერვის, სასიამოვნო არომატისა და გემოს მქონე ბუნებრივად ტკბილ ღვინოს.

საერთო მოწონებას იმსახურებს ოჯალეშისაგან დამზადებული ბუნებრივად ტკბილი „ქართული ღვინო № 24“, გარდა აღნიშნულისა, ოჯალეში შედის კუპაუში „ქართული ღვინო № 10“-ის დასამზადებლად და საგრძნობლად აუმჯობესებს მის გემურ თვისებებს.

ჩხავერი — გავრცელებულია გურიის მევნახეობა-მეღვინეობის ყველა რაიონში; აქ იგი გვევდება როგორც მაღლარების, ისე დაბლარების სახით. მას ვხვდებით, აგრეთვე, აჭარის, აფხაზეთის და კახეთის ზოგიერთ რაიონში.

ჩხავერი საშუალო მოსავლიანობით ხასიათდება, იგი იძლევა სასიამოვნო ღვინოს, რომლის სიმაგრე 9—11 მოც. %-მდე მერყეობს, ხოლო საერთო მუავიანობა 3—5 გ/ლ.

საქართველოს მთავრობის მინისტრის მიერ გვინდეთ

ჩხავერისაგან მზადდება ბუნებრივი ნახევრადტექნიკური
„ქართული ღვინო № 11“, რომელსაც ახასიათებს ცოცხალი
შეფერვა, ხალისიანი მუავიანობა, სასიამოვნო არომატი და
მოტკბო გემო.

ჩხავერისაგან შესაძლოა დამზადდეს, აგრეთვე, მაღალი ღირ-
სების მქონე, კონდიციური შამპანური ღვინის მასალები.

ხიხვი — თეთრყურძნიანი ვაზის ჭიშია; გვხვდება კახე-
თის მევენახეობა-მეღვინეობის ზოგიერთ რაიონში. იგი ცნო-
ბილია, აგრეთვე, ჯანანურის სახელწოდებით.

ხიხვი მაღალი ღირსების ევროპული და კახური ტიპის სუ-
ფრის ღვინოებს იძლევა.

განსაკუთრებით ხარისხოვან პროდუქციას იგი კარდანახის
მიკრორაიონში გვაძლევს. იქ იგი 22—24%-მდე შაქარს აგ-
როვებს და წარმატებით გამოიყენება პორტვეინის ტიპის სა-
დესერტო ღვინის დასამზადებლად: ასევე, პერსპექტივა ენი-
ჭება ხიხვს ტოკაის ტიპის ღვინოს დამზადებისათვის. მისგან
დამზადებულ სადესერტო ღვინოებს ახასიათებთ ჩალისფერი,
სასიამოვნო ხილის არომატი და ხავერდოვანი, რბილი გემო.

რთველისათვის სამზადისი

რთველი, ანუ ყურძნის კრეფა ფრიად სერიოზული მნიშვნელობის საქმეა; მისი ჩატარების ორგანიზაციაზე ბევრადაა დამოკიდებული ამა თუ იმ ტიპის ღვინის ხარისხი.

რთველისათვის ხარისხოვნად ჩატარებული წინასწარი სამზადისი ხელს უწყობს მის შეუფერხებელ მიმღინარეობას და ერთ-ერთ წინაპირობას ქმნის მომავალი ღვინის დამაკმაყოფილებელი გემური თვისებების ჩამოყალიბება-განვითარების საქმეში.

რთველისათვის წინასწარი სამზადისი, რომელიც ყურძნის დაკრეფა-გადამუშავებამდე 2—3 კვირით ადრე იწყება, ძირითადად, ითვალისწინებს ყურძნის გადასამუშავებელი მარნის, საღვინე ჭურჭლის, მანქანა-იარაღების, დამხმარე ინვენტარის დასუფთავებასა და სანიტარულ მდგომარეობაში მოყვანას.

მარნის გამზადება

პირველ ყოვლისა, უნდა შემოწმდეს მარნის ტექნიკური მდგომარეობა; საჭიროების შემთხვევაში უნდა შეკეთდეს კარგანჯრები და შემდეგ საღებავით შეიღებოს; ასევე, გულდასმით ისინჯება სავენტილაციო არხების, სახურავის, ჭერის, იატაკისა და კედლების მდგომარეობა; თუ რომელიმე ადგილის შეპჩნეულ იქნა დაზიანება ან უწესივრობა, საფუძვლიანი ზომების მიღებაა საჭირო მისი გამოსწორებისათვის. ამის შემდეგ იატაკი, ჭერი და კედლები კარგად უნდა დასუფთავდეს ცოცხით; მომდევნო ოპერაციას საცერტი გატარებული კირის წყალ-



ხსნარით მარნის კედლებისა და ჭერის შეთეთრება წარმოადგენს. თუ მარანი ნესტიანია, კირის წყალხსნარს 1%-მდე შაბიამანი უნდა დაემატოს.

მარნის იატაკი, თუ იგი ცემენტისაა, კარგად უნდა გაირეცხოს რამდენიმეჯერ ცივი წყლით.

მარანი, საჭირო მანქანა-იარაღებისა და ყურძნის გადამუშავებისას გამოსაყენებელი დამხმარე ინვენტარის გარდა, უნდა განთავისუფლდეს სხვა სახის ნივთებისაგან (მწნილი, ყველი, ნავთი და სავ.), რომლებიც უარყოფითად მოქმედებენ ღვინის ხარისხზე.

დეზინფექციის მიზნით, კვირაში ერთხელ, მარანში მას ყოველ ჯვეტრზე უნდა ეხრჩოლოს 30 გრამამდე გოგირდი.

მანქანა-იარაღების გამზადება

ყურძნის ტექნოლოგიური პროცესების ჩატარებისათვის ძირითადად გამოიყენება სხვადასხვა სისტემის ყურძნის საჭყლეტი მანქანები და წნეხები.

აღნიშნული მანქანების ექსპლოატაციაში გაშვება წინასწარი დარეცხვა-დასუფთავების გარეშე ყოვლად დაუშვებელია; წინააღმდეგ შემთხვევაში, დაუმუშავებელი მანქანა-იარაღების გამოიყენებისას მოსალოდნელია ჭარბი ოდენობით რკინის გადასვლა ღვინოში და ამ უკანასკნელის გაშვება.

თუ ხის ახალ კალათიან წნეხთან გვაქვს საქმე, ექსპლოატაციაში გაშვებამდე იგი სათანადო დამუშავებას მოითხოვს. უპირველეს ყოვლისა, ხის კალათები ორი კვირით მაინც ცივ წყალში უნდა მოთავსდეს; სამ დღეში ერთხელ წარმოებს წყლის გამოცვლა-განახლება. ამ ოპერაციის ჩატარებით, მუხის ტკეჩიდან გამოიწვლილება წყალში ხსნადი მთრიმლავ ნივთიერებათა ჭარბი ოდენობა და თავიდან იქნება აცილებული მათი უარყოფითი გავლენა ყურძნის ტკბილსა და ღვინოზე. ამის შემდეგ კალათები ირეცხება ცივი წყლით, 1%-იან გოგირდმუავს წყალხსნარით და კვლავ რამდენჯერმე ცივი წყლით.

თუ ჯის ან რკინისაგან დამზადებული წნევის ტაფა მეტად გამოიყენებით ან კალით დაფარვას საჭიროებს. კალის უკანას უკანას ანგარიში უნდა გაეწიოს მასში ტყვიის ოდენობით შემცველობას. ტყვიის ოდენობა მასში სასურველია სულ არ იყოს ან 1% არ უნდა აღემატებოდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში გამოყენებულმა კალამ შესაძლოა უარყოფითი ზემოქმედება მოახდინოს ღვინოზე, ხოლო ამ უკანასკნელმა ადამიანის ორგანიზმზე.

სეზონის დამთავრების შემდეგ წნევის ხის ნაწილები კარგად უნდა გაირეცხოს ცხელი წყლით და გაშრეს მშრალი ტილოს ჩერით. ლითონის ნაწილები კი ცივი წყლით გარეცხვისა და გამშრალების შემდეგ ზეთით ან ვაზელინის თხელი ფენით უნდა დაითაროს.

ყველა სხვა სახის მანქანების მოვლის წესი, აღნიშნულის მსგავსად წარმოებს, კერძოდ, ისინი გულდასმით ირეცხება ცივი წყლით და ლითონის ნაწილები, სათანადო გამშრალების შემდეგ, ზეთის ან ვაზელინის თხელი ფენით იფარება.

ამ წესით გამზადებულ მანქანა-იარაღებს ბრეზენტი უნდა გადაეფაროს, რითაც უზრუნველყოფილი იქნება ხანგრძლივი დროით მათი სანიტარულ მდგომარეობაში შენახვა.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს რეზინის მილებისა და სიფონების სისუფთავეს, ისინი უნდა დამუშავდეს სოდის 5%-იანი წყალებსნარით, გაიორთქლოს, გაირეცხოს ცივი წყლით და საბოლოო დეზინფექციისათვის გამოევლოს 0,2-პროცენტიანი გოგირდოვანი ანტიღრიდის წყალებსნარი.

დაბალი ხარისხის რეზინისაგან დამზადებული მილების მაღალ ტემპერატურაზე დამუშავება არაა სასურველი, წინააღმდეგ შემთხვევაში მილის შიგა კედლებზე წარმოიშობა ნაპრალები, რომელებშიაც რჩება ღვინო და ძმარდება იგი; ასეთი მილით სარგებლობა, მითუმეტეს თუ იგი ხმარებამდე არ იქნა გულდასმით გარეცხილი, ხელს შეუწყობს ძმარმჟავა ბაქტერიების განვითარებას ღვინოში, რაც სათანადო დამუშავების გარეშე გამოიწვევს მასში მქროლავ მუავათა გადიდებას.

ხარისხოვანი ღვინის დაყენების საქმეში ერთ-ერთ მნიშვნელოვან როლს საღვიწე ჭურჭელის სისუფთავე ასრულებს.

კარგად გარეცხილი საღვიწე ჭურჭელი ღვინის ხარისხიანობას უწყობს ხელს, ხოლო თუ ყურძნის ტკბილის დასადუღებელი ან ღვინის შესანახი ჭურჭელი არ არის კარგად გარეცხილი და მოკლებულია სანიტარულ პირობებს, უარყოფითად მოქმედებს პროდუქციის ხარისხზე; ობის, შორის, ჭურჭლის მასალის ან სხვა რამე არასასიამოვნო სუნსა და გემოს სძენს მას. ამდენად, ყველა სახის საღვიწე ჭურჭელი, ხმარებამდე, დიდი სიფრთხილით უნდა დამუშავდეს ამ საქმის მცოდნებუშაკის უშუალო მონაწილეობით.

ხის ახალი პურალის დამუშავება-გარეცხილის ჭედი

ხის ახალი ჭურჭელი (კასრი, ნავი, კოდი, ბუტი და სხვა) ღიღი რაოდენობით შეიცავს მთრიმლავ ნივთიერებებს, რომლებიც ადვილად იხსნებიან ღვინოში, სძენენ მას მუხის გემოს, სიტლანქეს და არასასიამოვნო მოშავო ფერს. ამ მოვლენის თავიდან აცილების მიზნით, ხის ახალი ჭურჭელი, კერძოდ კასრი, გულდასმით დამუშავება-გარეცხვას საჭიროებს.

ახალი კასრის დამუშავების პირველ ოპერაციას მუხის ტკეჩიდან ხსნად ნივთიერებათა გამოწვლილვა წარმოადგენს. ამისათვის, კასრს ავსებენ სუფთა ცივი წყლით და ამ მდგომარეობაში ტოვებენ ორი კვირით. წყალი რომ არ აშმორდეს 2—3 დღეში ერთხელ ახდენენ მის გამოცვლა-განახლებას.

ცივი წყლით დამუშავების შემდეგ, კასრს ენერგიულად მდულრავენ 2 ატმოსფერო წნევის მქონე ორთქლით 25—30 წუთის განმავლობაში, ვიდრე იგი გარედან არ გათბება.

დიდი ხნით კასრის გამოორთქვლა არ არის მიზანშეწონილი, წინააღმდეგ შემთხვევაში მოსალოდნელია ხის სტრუქტურის დარღვევა ტკეჩის ფორების გაფართოებამდე. ასეთ კასრში ღვინის დაძველებისას შესამჩნევად იზრდება აშრობითი დანაკარგები.

საქართველოს მთავრობის მინისტრის მიერ განკუთხული დოკუმენტი

ორთქლით დამუშავების შემდეგ, კასრს 10%-იანი ჟანგი ჰქონდა. ამ მიზანით ამუშავებენ; ამისათვის კასრში ასხამენ მისი მოცულობის 2/3-მდე წყალს, ორთქლსადენი მილის საშუალებით აცხელებენ მას 60°-მდე და ყრიან შიგ წინასწარ აწონილ საჭირო სოდის ოდენობას. წარმოებს სოდის წყალ-ხსნარის ენერგიული არევა და მისი დუღილი ორთქლის საშუალებით 2 საათის განმავლობაში. ამის შემდეგ, სოდის წყალხსნარისაგან ანთავისუფლებენ კასრს და ამუშავებენ მას გოგირდის მუავას 2%-იანი წყალხსნარით. კასრში ასხამენ ხსენებული ხსნარის 2—3 დ/ლიტრს, ახურავენ საცობს და 20—30 წუთის განმავლობაში ხის ან რკინის ლიანდაგზე გორებით გულდასმით რეცხავენ.

გოგირდის მუავას წყალხსნარის დასამზადებლად დიდი სიფრთხილეა საჭირო; უნდა გვახსოვდეს, რომ ხსნარის დამზადებისას გოგირდის მუავა უნდა ჩაისხას წყალში და არა პირიქით; ასევე, დაუშვებელია ხსნარის დამზადება ლითონის ჭურჭელში, წინააღმდეგ შემთხვევაში გოგირდის მუავა, როგორც ენერგიული მუავა, დაშლის ლითონს და ხსნარს გამდიდრებს მისი შემცველობით; ასეთი ხსნარით დამუშავებული კასრი, თავის მხრივ, მდიდრდება ლითონით, რაც გადაეცემა ღვინოს და ცოტად თუ ბევრად გააუარესებს მის ხარისხს, ამიტომ ხსნარის დასამზადებლად გამოყენებული უნდა იქნეს მინის ჭურჭელი. გოგირდის მუავას 2%-იანი ხსნარით დამუშავების შემდეგ, კასრი ირეცხება ჯერ ცხელი, ხოლო შემდეგ ცივი წყლით, ვიდრე ნარეცხ წყალს არ ექნება სუფთა გამჭვირვალე ფერი.

გარეცხილ კასრს სასაცობე ხვრელით დაბლა დგამენ ხის დგარზე და ამ მდგომარეობაში ტოვებენ გასაშრობად. ამის შემდეგ, კასრს უბოლებენ გოგირდს, ახურავენ საცობს და ინახავენ შესაფერის ადგილას მოხმარებამდე.

მსგავსი წესით წარმოებს სხვა სახის ხის ახალი საღვინე ჭურჭლის დამუშავება-გარეცხვა.

უნდა გვახსოვდეს, რომ რაც არ უნდა კარგად დაგამუშაოთ ხის ახალი ჭურჭელი, მასში ჭარბი ოდენობით იქნება მაინც მთრიმლავი ნივთიერებანი, რომელთაც შეუძლიათ გარ-



კვეული ზიანი მიაყენონ ღვინის ხარისხს. ამის გამო გამოყენებულ იქნება მხოლოდ ორდინალური ღვინოების დასამზადებლად. მეორე და მომდევნო წლებში კასრი შესაძლოა გამოყენებულ იქნება ხარისხოვანი ღვინოების დასაყენებლად და შესანახად.

ნახმარი პასრის გარეცხვა-გამზადება

ვიდრე ნახმარი ხის კასრის გარეცხვას შეუდგებოდნენ, ამოწმებენ მის სისალეს; იგი შეიძლება იყოს სალი ან ლავადებული. კასრის ავკარგიანობაში რომ დარწმუნდნენ, მის სასაცობე ხერელში დაყნოსავენ და შეიგრძნობენ ჯანსალი ღვინის, რამე ინფექციური ავაღმყოფობის ან ზადის სუნს. თუ კასრს ჯანსალი ღვინის სუნი აქვს, მაშინ ის თავისთავაზ სალია და მისი გარეცხვა-გამზადება შედარებით მარტივია; იგი საკმარისია გაირეცხოს ცივი წყლით, გაშრეს, გოგირდი ებოლოს, დაეხუროს საცობი და შენახული იქნეს მოხმარებამდე.

განსაკუთრებული სიფრთხილით და ყურადღებით დამუშავებას საჭიროებს კასრები, რომელთაც მცირე ან ძლიერი დაავადების ნიშნები აქვთ.

სათანადო დამუშავების გარეშე ასეთი კასრების გამოყენება ყურადღინის ტკბილის ალკოჰოლური დუღილის ან ღვინის შენახვისათვის ყოვლად დაუშვებელია; მათში ვითარდება სხვადასხვა ავაღმყოფობის გამომწვევი მიკროორგანიზმები, რომლებიც ღვინოში იწვევენ არასასურველ ცვლილებებს და ავადებენ კიდეც მას.

მცირედ დავადებული კასრი, რომელსაც ძრის სუნი ემჩნევა, პირველ ყოვლისა, ცივი წყლით უნდა დალბეს, შემდეგ 20—25 წუთის განმავლობაში ორთქლით დამუშავდეს და გულდასმით გაირეცხოს სოდის 5%-იანი ცხელი წყალხსნარით. ამის შემდეგ, მას ცივი წყალი უნდა გამოევლოს რამდენჯერმე, გაშრეს და ტევადობის ყოველ ჰექტოლიტრზე 3—4 გ გოგირდი ეხრჩოლოს.

ძლიერ დავადებული კასრი, რომელსაც

ქმრის მკვეთრი სუნი აქვს, დამუშავება-გარეცხვისათვის მრავალი მომატება და მომატებით, შრომატევადი სამუშაოების ჩატარებას მოითხოვს. პირველ ყოვლისა, ასეთ კასრს ფსკერი უნდა აეხადოს, გამოიწვას და გამოშალაშინდეს; ამის შემდეგ, მას ფსკერი კვლავ უკეთდება და მუშავდება ახალი კასრის დამუშავების მსგავსად.

მსგავსი ოპერაციების ჩატარებას საჭიროებს ობის ან შმორის სუნის მეონე კასრების დარეცხვა-გამზადება. დიდი ტევადობის ხის ბუტები და კოდები სიჯანსაღისდა მიხედვით, კასრების გარეცხვის მსგავსად, ირეცხება და მუშავდება. აღნიშნული სამუშაო, ამ შემთხვევაში, შედარებით გაიოლებულია; მრეცხავი შედის ჭურჭელში და ჭავრისით კარგად ჩატარებას მას.

გარეცხვის შემდეგ, კოდის ან ბუტის გამოყენება, საჭიროების შემთხვევაში, დაუყოვნებლივ შეიძლება, ხოლო თუ აღნიშნული ჭურჭლის გამოყენება განზრახულია რამდენიმე ხნის შემდეგ, ლვინის ავადმყოფობათა მიკროორგანიზმების განვითარების საწინააღმდეგოდ, მას შიგა კედლებზე სოდის ან კირის ხსნარი უნდა წაესვას. სხვა სახის წვრილი ინვენტარის (გეგები, ხელჩაფები, ხის ვედროები და სხვა) შიგნით სოდის ან კირის ხსნარის წასმა განაპირობებს, აგრეთვე, მათ სანიტარულ მდგომარეობაში შენახვას.

რთველის დაწყებამდე, რამდენიმე დღით ადრე, ამ წესით დამუშავებულ ჭურჭელს სოდის ან კირის ფენას ჩამოფეხევენ, ჭავრისით გულდასმით გახეხავენ, გამოორთქლავენ და რამდენჭერმე ცივ წყალს გამოავლებენ; ამ ოპერაციების ჩატარების შემდეგ, შესაძლოა მისი გამოყენება დანიშნულებისამებრ.

წითელ ღვინონადგამი საღვინე ჭურჭელი წინასწარი დამუშავების გარეშე თეთრი ღვინის დაყენებისა და შენახვისათვის უვარგისია, რადგანაც მას უახლოეს პერიოდში ანდა ღროთა განმავლობაში მაინც შესაძლოა შეუცვალოს ფერი თეთრიდან გარდისფრამდე.

ზოგჯერ საჭიროება თხოულობს წითელი ღვინონადგამი კასრი გამოყენებულ იქნეს თეთრი ღვინის დასაყენებლად, ამისათვის მიმართავენ მის გაუფერულებას ასეთი წესით:

უპირველეს ყოვლისა, კასრის კედლებს შიგნიდან გამოყენებული ღვინის ქვა უნდა მოშორდეს. ამის შემდეგ, ერთი საათის განმავლობაში, იგი გულდასმით უნდა გაირეცხოს 10—15%-იანი სოდის ცხელი წყალხსნარით. ცივი წყალი უნდა გამოეცლოს მანამ, სანამ იგი გამჭვირვალე და უფერული არ გახდება. ბოლოს კასრი უნდა გაშრეს და შედარებით ჭარბაზე ბოლოს გოგირდი. ამ წესით დამუშავებული წითელღვინონადგამი კასრი შესაძლოა გამოყენებული იქნეს თეთრი ღვინის დასაყენებლად.

ხის ცარიელი კასრების შენახვა

რაც უნდა კარგად გაიჩეცხოს კასრი, თუ ცარიელ მდგრადი შენახვისას მას არ გაეწია სათანადო მოვლა-პატარონობა, შესაძლოა იგი კვლავ დაავადდეს, დეფორმაცია განიცადოს და განმეორებითი დამუშავების გარეშე უვარვისად იქნეს მიჩნეული ღვინის დაყენება-შენახვისათვის.

თუ კასრი სათანადოდ არ იქნა მოვლილი, ადვილი მოსალოდნელია მის შიგა ზედაპირზე განვითარდეს ობის სოკოები და მათი მსგავსი ორგანიზმები. ისინი გარკვეულ ზიანს აყენებენ თვით მუხის მერქანს, ამასთანავე, წარმოშობენ არასასიამოვნო სუნის ნივთიერებებს და ასეთ კასრში დაყენებული ან შენახული ღვინო ადვილად დაავადდება. კასრი რომ დაცული იქნეს შენახვისას მასში მიკროორგანიზმების განვითარებისაგან, საჭიროა მას გაშრობის შემდეგ გოგირდი ებოლოს. დროთა განმავლობაში ყნოსვით მოწმდება კასრში გოგირდის სუნი. თუ ეს უკანასკნელი შესუსტდა, საჭიროა გოგირდის ხრისლება კვლავ განმეორდეს. როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, ცარიელ კასრში გოგირდის პატრუქის დახრჩოლება აუცილებელია თვეში ერთხელ. ხმარების წინ გოგირდნახრისლები კასრი კარგად უნდა გაიჩეცხოს სოდის ცხელი წყალხსნარით.

კასრებში ყოველთვიურად გოგირდის დახრჩოლებას გარკვეული უარყოფითი მხარეები გააჩნია; ჯერ ერთი, იგი შრომატევად სამუშაოს და დიდ დროს თხოულობს, მეორე მხრივ,

ხშირი ხრჩოლებით მუხის მერქანზი გროვდება გოგიზე უძვირესი მჟავა, მისი მარილები და ხმარების წინ თუ ასეთი კასრი დიდი სიფრთხილით არ იქნა გარეცხილი, მისგან ღვიანოს გადაეცემა ხსენებული ნივთიერების არასასიამოვნო გემო.

ოღნიშნულის გამო, ამ ბოლო დროს, ცარიელი კისრების შენახვის ასეთი წესი შემოიღეს: კისრებს ავსებენ გოგირდო-განი მუავას წყალხსნარით და ამ მდგომარეობაში ტოვებენ დი-დი ხნით. საამისოდ, გოგირდოვანი მუავას წყალხსნარს შედა-რებით მაღალი კონცენტრაციისას ამზადებენ (1 ჰ/ლ წყალზე 50 გ გოგირდოვანი მუავას ანჰიდრიდია საჭირო).

შენობა, რომელშიც გოგირდნახრჩოლები ცარიელი კას-
ტები ინახება, უნდა იყოს შედარებით მშრალი. ძლიერ მშრალ
შენობაში, რომელშიც ჰაერის ტემპერატურა მაღალია, შენახუ-
ლი ცარიელი კასრები მეტისმეტად ხმება, სალტები ეშვება
და დეფორმაციას განიცდის. ასეთ კასრში საჭიროა ორთქლის
ძლიერი ნაკადი გატარდეს, ვოდრე იგი არ გაიღლენთება და თა-
ვის საწყის მდგომარეობას დაუბრუნდება. დიდი ტევადობის
ბუტის ან კოდის გასაუღენთად შესაძლოა გამოყენებულ იქ-
ნეს ასეთი წესი: ჭურჭელში, მისი ტევადობის ყოველ ჰექტო-
ლიტრზე, 15 კგ კირი უნდა ჩაიყაროს და დაესხას წყალი მის
სრულ გახსნამდე, ამასთანავე, ჭურჭელი შეძლებისამებრ მჭიდ-
როდ დაიხუროს. კირისა და წყლის ურთიერთქმედების შედე-
გად წარმოშობილი ორთქლით იგი იუღინთება და მკვრივდება.
დაშლილი ქვაეირი შესაძლოა გამოყენებულ იქნეს მარნის
მეურნეობაში სხვადასხვა მიზნებისათვის.

ქვეპრეზის გამზადება

უკვე საქმაო ხანია, რაც მეღვინეობის პრაქტიკაში ფართო ადგილი დაიმკვიდრა ქვევრში, როგორც სალვინე ჭურჭელში. მასში შეიძლება ღვინის დაყენება და შენახვაც. განსაკუთრებით კარგ შედეგს აღწევენ ქვევრში კახური ტიპის სუფრის ღვინის დაყენებისას. ქვევრში ტემპერატურის ნაკლებრყევა-დობას აქვს აღვილი, რაც, თავის მხრივ, აპირობებს ალკოჰოლური ღულილისა და ღვინის წარმოშობის პროცესთა ნორმა-



ლურ მიმდინარეობას. ახალ ქვევრში, წინაპური დამუშავებული გარეცვის გარეშე, ღვინის დაყენება ან შენახვა ყოვლად დაუშვებელია. ჯერ ერთი, ასეთი ქვევრი დიდი ფორმოვნებით ხასიათდება, მისგან ადვილად უონავს ღვინო და იზრდება დანაკარგები; მეორეს მხრივ, შესაძლოა ღვინომ არასასიამოვნო სპეციფიკური სუნი და გემო მიიღოს. ასევე უარყოფით გავლენას ახდენს პროდუქტის ღირსებაზე ნახმარი ქვევრი, რომელსაც ობის, ძმრის ან სხვა რამე არასასიამოვნო სუნი აქვს. აქედან გამომდინარე, ორთავე შემთხვევაში, მოხმარებამდე ქვევრი გარკვეულ დამუშავებას საჭიროებს.

ახალი ქვევრის გასამზადებლად, უპირველეს ყოვლისა, მასში ორი კვირის განმავლობაში სუფთა წყალი ისხმება, რომელიც, აშმორების თავიდან აცილების მიზნით, 2—3 დღეში ერთხელ უნდა გამოიცვალოს. ამის შემდეგ, იქედან წყალს ამოილებენ; თუ დიდი მოცულობისაა ქვევრი, მრეცხავი შიგ ჩადის და კრაზანის ან თავისისარასაგან შეკრული სარეცხით კარგად რეცხავს მას; პატარა მოცულობის ქვევრის დამუშავება მსგავსადვე ხდება მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მასში მრეცხავი შიგ ვერ ჩადის და მის პირას მდგომი ახორციელებს რეცხვის პროცესს. გარეცვის შემდეგ ქვევრს ცივ წყალს რამდენჯერმე გამოავლებენ, შეამშრალებენ და გოგირდს უხრჩოლებენ. ახალი ქვევრიდან ღვინის გაუონვისა და დანაკარგების შესამცირებლად მიმართავენ მისი ფორმების დაფარვას პარაფინის, თაფლის სანთლის ან ძროხის ქონის საშუალებით.

ფორების დასაფარავად, სადღეისოდ, მიმართავენ აგრეთვე ქვევრის შიგა ზედაპირის ცემენტისა და კარგი ქვიშის ნარევის წყალსხნარით გალესვას. გალესვის შემდეგ, რათა ღვინო დაიცვან კალციუმისა და რკინის მარილების გავლენისაგან, ცემენტის ზედაპირს 10%-იანი ღვინის მეუავს წყალსხნარს უსვამენ, შეაშრობენ და სამი ღლის შემდეგ ამ ოპერაციას კვლავ იმეორებენ. სათანადო გაშრობის შემდეგ, ქვევრს ცივი წყლით კარგად გამორცხავენ, რითაც აღწევენ მისგან ზედმეტი მუკისა და მარილების მოცილებას.

პირველ წელიწადს ქვევრში ღვინის დაყენებას უნდა ვა-

რილოთ და იგი შესაძლოა გამოვიყენოთ მხოლოდ საღი ჭრიანი შესანახად.

ნახ მარი ქვევრის გარეცხვამდე ჯერ მის სისალეში რწმუნდებიან, რასაც ყნოსვით, გებულობენ; თუ ნახმარი ქვევრი საღია და ჯანსაღი, ღვინის გარდა არავითარი არასასიამოვნო სპეციფიკური სუნი არა აქვს, მაშინ მისი გამზიდებისათვას საკმარისია იგი მექანიკურად კარგად გაირეცხოს, რამდენჯერ-მე ცივი წყალი გამოევლოს, გაშრეს და გოგირდი ეხრჩოლოს.

დიდი ხნით ცარიელ მდგომარეობაში შენახული ქვევრი სამ-ოთხჯერ ცივი წყლით უნდა გაირეცხოს, შემდეგ 3%-იანი სოდის ცხელი წყალხსნარით დამუშავდეს; ქვევრის დამუშავე-ბის მომდევნო ოპერაციებს რამდენჯერმე ცივი წყლით გა-რეცხვა, მის კედლებზე სპირტის წასმა, შეშრობა და გოგირდის ხრჩოლება წარმოადგენს.

ძმრის ან ობის სუნის მქონე ქვევრი კრაზანის ან თაგვისა-რას შემწეობით ცივი წყლით გარეცხვის შემდეგ, 10%-იანი სოდის ცხელი წყალხსნარით უნდა დამუშავდეს, რამდენჯერ-მე ცივი წყლით გაირეცხოს, შეშრეს, წასგას სპირტი და გო-გირდი ეხრჩოლოს; თუ ქვევრს ასეთი დამუშავებით მაინც არ მოსცილდა ძმრის ან ობის სუნი, მაშინ იგი ცემენტის თხელი ფენით უნდა მოპირკეთდეს და ეს უკანასკნელი დამუშავდეს ღვინის მუავას 10%-იანი ხსნარით ზემოთქმული წესის მა-ხედვით.

გასრის საცობების დამუშავება-გამზადება

კასრის საცობები შესაძლოა დამზადდეს ხის ან მინისაგან. რაც არ უნდა კარგად გარეცხილ კასრში ჩავასხათ ღვინო, თუ მას გაცუკეთებთ რაიმე ავადმყოფობის ან ზაღის მქონე საცობს, მაინც მივიღებთ ღვინის ხარისხის გაუარესებას; ამ-დებად, კასრის საცობების გარეცხვა-დამუშავებას დიდი სიფრ-თხილით უნდა მოვეკიდოთ და ხარისხოვნად ჩავატაროთ იგი.

ნახმარი ან უხმარი ხის საცობები, რომელთაც არა აქვთ რაიმე სპეციფიკური, არასასიამოვნო სუნი, სოდის 3%-იანი

ცხელი წყალხსნარით უნდა გაირეცხოს, გაიორთქლოს და მოვალეობას ცხელი და ცივი წყლით დამუშავდეს. თუ საცობება მმრის ან ობის სუნი აქვთ, მათი დამუშავებისათვის საჭიროა გამოყენებულ იქნეს სოდის 5%-იანი ცხელი წყალხსნარი, რის შემდეგ ისინი ცხელი და ცივი წყლით გულდასმით გარეცხვას საჭიროებენ. მსგავსი წესით წარმოებს დასავლეთ საქართველოში გამოყენებული ქვევრების ხის სარქველების დარეცხვა-დამუშავება.

ქასრების მინის საცობები და ქვევრების ქვის სარქველები, გამზადებისათვის, ცივი წყლით გულდასმით გარეცხვას საჭიროებენ მხოლოდ.

რკინა-ბეტონის რეზერვუარების გამზადება

დიდი ტევადობის რკინა-ბეტონის რეზერვუარებმა ფართო გავრცელება პპოვეს მეღვინეობის მსხვილ საწარმოებში, განსაკუთრებით ორდინალური ღვინოების დაყენება-შენახვისათვის.

ასეთი რეზერვუარი ქვის ან აგურისაგან მზადდება რკინიარმატურის გამოყენებით; რეზერვუარის შიგნითა და გარეთა ზედაპირი ცემენტით ილესება. რეზერვუარის აგება შედარებით იაფი ჯდება, ადვილია მათი გარეცხვა-დამუშავება, ახასიათებთ გამძლეობის დიდი უნარი, ამცირებენ ღვინის აშრობით დანაკარგებს და იძლევიან სათავსოს რაციონალურად გამოყენების შესაძლებლობას.

რეზერვუარის შიგა ზედაპირმა რომ უარყოფითი გავლენა არ მოახდინოს ღვინის ქიმიურ-ორგანოლეპტიკურ შედგენილობაზე, მიმართავენ მის დაფარვას მინის ფირფიტებით: ეს მეთოდი, ერთი მხრივ, კარგია, მაგრამ მას უარყოფითიც გააჩნია; კერძოდ, მინის ფირფიტების შეერთებებს შორის შესაძლოა დარჩეს სიცარიელე და შიგ განვითარდეს მიკროორგანიზმები, რომელთა ლიკვიდაცია გარკვეულ სიძნელეს ქმნის; ამასთანავე, მინის ფირფიტა ვერ იტანს ტემპერატურის რყევადობას და შესაძლოა გატყდეს იგი. თუ მინის ფირფიტებით ან სხვა რაიმე მუავაგამძლე მასალით არ დაიფარება რეზერვუარის შიგა ზე-

დაპირი, მაშინ იგი უნდა დამუშავდეს ღვინის მუავას 10% მოყვავლით წყალხსნარით; ამისათვის, რეზერვუარის ყოველ კვადრატულ მეტრზე, 40 გრამი ღვინის მუავაა საჭირო. ეს ოპერაცია ორგურ უნდა განმეორდეს, რის შემდეგ, როგორც ცემენტით მოპირკეთებული ქვევრების დამუშავებისას იყო აღნიშნული, ზედმეტი მუავისა და მარილების მოსაშორებლად რეზერვუარის შიგა ზედაპირი რამდენჯერმე ცივი წყლით უნდა ჩამოირეცხოს.

ასევე, რეზერვუარის შიგა ზედაპირის დამუშავება შესაძლებელია, აგრეთვე, გოგირდის მუავას 10%-იანი წყალსნარით.

გარდა აღნიშნულისა, რეზერვუარის შიგა კედლის საზოლაციოდ მიმართავენ სხვადასხვა საშუალებებს. ასე, მაგ., პოლონეთში ამ მიზნისათვის იყენებენ პარაფინის (65%), ასფალტის (32%) და კანიფორის (3%) ნარევს; ასევე გამოყენებულია ნარევი: პარაფინი — 37%, ასფალტი — 60% და კანიფორი — 3%.

ვ. ბურჯანაძის მიერ რკინა-ბეტონის რეზერვუარის შიგა ზედაპირი დაფარულ იქნა კანიფორ-პარაფინის (1:1) ნარევით: ამ წესით კარგი შედეგი იქნა მიღებული, ღვინო დაცულ იქნა ცემენტის მავნე გავლენისაგან. ასეთ რეზერვუარში დამუხსის კასრში დაყენებული ღვინოები გემური თვისებებით ურთიერთ ტოლფასია. რკინა-ბეტონის რეზერვუარს, ხის ჭურჭლის მსგავსად, სათანადო მოვლა-პატრონობა ესაჭიროება.

თუ გარემო, კლიმატი და თვით სათავსო, რომელშიაც რკინა-ბეტონის რეზერვუარი ინახება, მეტისმეტად მშრალია, ადგილი აქვს მის შიგა ზედაპირზე ნაპრალების გაჩენის, რაც, თავის მხრივ, სათანადო დამუშავების გარეშე უარყოფითად მოქმედებს ღვინის ხარისხზე.

ამ მოვლენის თავიდან აცილების მიზნით, რეზერვუარი უნდა აივსოს წყლით და მოხმარებამდე ამ მდგომარეობაში დარჩეს.

წყალი რომ არ აშმორდეს, საჭიროა მას ყოველ ჰექტოლიტრზე 8—10 გრამი მანგანუმეუავა კალიუმი დაემატოს. ამა-

ვე მიზნისათვის სასურველ შედეგს დღევა წყალში გოგირდის დოვანი მუავას (150 — 200 გ ჰექტოლიტრზე) ან კირის (0,5—1 კგ ჰექტოლიტრზე) დამატება.

დიდი ხნით გამოყენებელი რკინა-ბეტონის რეზერვუა-რები ცივი წყლით გულდასმითი გარეცხვის შემდეგ დეზინფექციას საჭიროებენ. ამისათვის, დღელამის განვალობაში მინის ან თიხის ლამბაქის შემწეობით რეზერვუარში თავსდება 200 მლ ოდენობით ფორმალდეზიდის 40%-იანი ხსნარი. ამის შემდეგ წარმოებს რეზერვუარის გარეცხვა ცივი წყლით.

დიდი ხნით ღვინონადგამი რეზერვუარი კედელზე ღვინის ქვას იდებს, რომლის მოშორება მეტისმეტი სიფრთხილით უნდა მოხდეს, რათა არ დაზიანდეს საიზოლაციო ფენა.

ხარისხოვანი ღვინის დაყენებისა და შენახვის საქმეში რკინა-ბეტონის რეზერვუარებს, რიგი უარყოფითი თვისებების გამო, ნაკლები პერსპექტივა ენიჭებათ. როგორც ზემოთ აღნიშნეთ, მათი გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ ორდინა-ლური ღვინოების წარმოებაში.

ლითონის რეზერვუარების გამზადება

ლითონის რეზერვუარები ფართო შასტაბით გამოყენება ღვინის შესანახად; შესაძლებელია აგრეთვე მათი გამოყენება ღვინის დასაყენებლად.

ლითონის რეზერვუარები, რომლის შიგნითა საიზოლაციო ფენას უმრავლეს შემთხვევაში ემალი წარმოადგენს, აღვილადირეცხება. ასევე ადვილია მისი სტერილიზაცია და მინიმუმადეა დაყვანილი, ღვინის შენახვისას, აშრობითი დანაკარგება.

ლითონის რეზერვუარის გამზადებისათვის საკმარისია მისი დამუშავება ცივი, ცხელი წყლით, 2,5%-იანი კონცენტრაციის მქონე ტუტით და ორთქლით. დამუშავება სიფრთხილით უნდა ჩატარდეს, რათა არ მოხდეს ემალის ფენის ავარდეა შიგა ზედაპირიდან. თუ გარეცხილი რეზერვუარის გამოყენება განზრახულია რამდენიმე ხნის შემდეგ, მაშინ იგი უნდა გაშრეს და გოგირდი ეხრჩოლოს; რეზერვუარის კარი უნდა დარჩეს ღია მდგომარეობაში. ასევე ყურადღება უნდა მიექცეს რე-



ზერვუარის გარე ნაწილის მოვლა-პატრონობის საქმეს. პეტერბურგის
დულად უნდა შემოწმდეს ონკანების, მანომეტრის, სითხის
ოდენობის ამზომი მინის მილის და სხვათა მდგომარეობა.
ახალგაზრდა ლვინის დიდი ხნით მოთავსება ლითონის ჩეზერ-
ვუარში ყოვლად გაუმართლებელია. პაერის უანგბადის სიმ-
ცირის გამო ლვინოში სუსტდება დაუანგვა-აღდგენითი პროცე-
სები და ნაკლებად ვითარდება იგი.

რთველი

ხარისხოვანი ღვინის დაყენების საქმეში ერთ-ერთ მნიშვნელოვან როლს რთველის დროული დაწყება, მისი ნორმალური მიმღინარეობა და დამთავრება წარმოადგენს.

უნდა გვახსოვდეს, რომ ნაადრევად დაკრეფილი ყურძენი არასასიამოვნო, მაღალმუავიან, დაბალალკოპოლიან და შედარებით მცირე სხეულის მქონე ღვინოს იძლევა; ასეთი ღვინო მოკლებულია გამძლეობის უნარს და ნაკლებ ტრანსპორტაბეჭურია.

არასასურველია, აგრეთვე, დაგვიანებითი რთველი, მით უმეტეს, თუ ყურძენი განკუთვნილია ევროპული ტიპის სუფრის ღვინის ან შამპანური ღვინომასალების დამზადებისათვის. გადამწიფებული ყურძნისაგან დაბალმუავიანი, ძელვი, სიცოცხლეს მოკლებული სუფრის ღვინო დგება; ამასთან ერთად, შაქრის დიდი კონცენტრაციის მქონე ტკბილი ზოგჯერ ბოლომდე დაღულებას ვერ ასწრებს, ღვინოში ჩეხება დაუშლელი შაქრის გარკვეული ოდენობა, რაც საუკეთესო არეს წარმოადგენს. მიკროორგანიზმთა განვითარებისათვის და სათანადო ზომების მიღების გარეშე შესაძლოა იგი დაავადდე', სხვადასხვა ინფექციური ავადმყოფობით. რთველის დროს თვით ღვინის ტიპით განსაზღვრავს. შემაგრებული სადესერტო ღვინოების დამზადებისათვის რთველი დაგვიანებით უნდა ჩატარდეს, როცა ყურძნის წვენის შაქრიანობა ამა თუ იმ კლიმატურ პირობებში მაქსიმუმს მიაღწევს.

გარდა აღნიშნულისა, ღვინის ხარისხზე დიდ გავლენას ახდენს, აგრეთვე, ყურძნის კრეფის ორგანიზაცია, მისი ტრანსპორტირება და სხვა ფაქტორები.

ყურქნის სიმწიფის განსაზღვრა ოვალთახედვით და ქიმიური გზით წარმოებს. სიმწიფის ინტენსივობის მიხედვით, იცვლება ყურქნის მარცვლების შეფერვა და, ამასთან ერთად, რბილდებანი ისინი. თეთრი ჯიშის ყურქნის მარცვლები ოქროს ან ქარვის ფერს ივითარებენ; წითელი ჯიშის ყურქნის მარცვლები კი მუქ წითელ ფერს ღებულობენ. ამასთან ერთად, ორთავე შემთხვევაში მარცვლის კანი თხელდება და იგი ადვილად ცილდება მტევანს.

აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ყურქნის სიმწიფის განსაზღვრელი აღნიშნული წესი, გარეგნული ნიშან-თვისებების მიხედვით, მოქლებულია სიზუსტეს და ამომწურავ, საიმედო პასუხს ვერ იძლევა თუ როდის უნდა დავკრიფოთ ყურქნი ამა თუ იმ ტიპის ღვინის დაყენებისათვის.

ამ მიმართულებით, შედარებით ზუსტ პასუხს იძლევა ყურქნის სიმწიფის განსაზღვრის ქიმიური მეთოდი. აღნიშნული მეთოდი ძირითადად ითვალისწინებს დასაკრეფი ყურქნის საშუალო ნიმუშში შაქრიანობისა და მჟავიანობის ოდენობითი შემცველობის დადგენას.

რთველის დაწყებამდე 15 დღით ადრე და საწყისში 3—4 დღეში ერთხელ, ხოლო შემდეგ ყოველდღე ტელებენ ყურქნის საშუალო სინჯის და მის ტკბილში საზღვრავენ შაქრიანობა-მჟავიანობას. ანალიზის შედეგად მიღებული მონაცემები შეაქვთ რეველში, რომელშიც ყურქნის ტკბილის შაქრიანობა-მჟავიანობის ოდენობითი მაჩვენებლების გარდა, აღინიშნება მისი ჩატარების თარიღი და ვაზის ჯიში. ამასთანავე, სასურველია შედგეს ყურქნის სიმწიფის მიმდინარეობისას მის ტკბილში შაქრიანობისა და მჟავიანობის ცვლალებების ამსახველა მრუდი.

დიდ სიფრთხილეს და ყურადღებას საჭიროებს ყურქნის საშუალო სინჯის აღების წესის დაცვა.

მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ ვაზზე სხვა-დასხვა ადგილას მდებარე ყურქნის მტევნები, უფრო მეტიც — თვით მტევანზე განლაგებული მარცვლები სიმწიფის არაერთ-

ნაირი ინტენსივობით ხასიათდებიან. ასე, მაგალითად, ჩრდილოეთი ში მყოფი მტევნები უფრო გვიან შედიან სიმწიფეში, ვიდრე მზის ქვეშ მყოფი მტევნები. გამომდინარე აქედან, ხელ-აღებათ მოკრეფილი ყურძნის ტკბილი ვერასოდეს მოგვ-ცემს ზუსტ პასუხს რთველის ღროის დასადგენად; ამი-ტომ მიმართავენ ყურძნის საშუალო სინჯს, რომლის აღების წესი შემდეგში მდგომარეობს: დასაკრეფი ვენახის ფართობს რამდენიმე ნაკვეთად ყოფენ, რის შემდეგ თითოეული ნაკვე-თის მეხუთე, მეათე ან მეოცე ვაზიდან კრეფენ თითო მტევნანს მის ზედა, შუა და ქვედა ნაწილიდან; ამასთანავე, მტევნების მოკრეფა ხდება როგორც დაჩრდილული, ისე დაუჩრდილავი ადგილებიდან. ამ წესით იქრიფება 3—4 კგ ყურძენი, თავსდე-ბა კალათში და იგზავნება ლაბორატორიაში საანალიზოდ.

ყურძენი იწნებება მცირე ტევადობის ლაბორატორიულ წნებში; თუ ასეთი წნები ხელთ არა აქვთ, ყურძნის დაჭყულეტა შესაძლოა ხელით მარლის პარკის დახმარებით. მიღებულ ტკბილს ასხამენ მინის ჭურჭელში და მას ნახევარი საათით ათავსებენ გრილ ადგილას დასაწმენდად. ტკბილს ფრთხილად მოხსნიან ლექიდან და საზღვრავენ მასში შაქრიანობა-მჟავია-ნობას.


ყურძნის ტკბილში შაქრიანობის განსაზღვრა, ძირითადად, არეომეტრის შემწეობით წარმოებს; სუფთა, გამჭვირვალე ტკბილს ასხამენ კარგად გარეცხილ გამშრალ 250-მილილიტ-რიან მინის ცილინდრში და შიგვე ფრთხილად უშვებენ არეო-მეტრს იმგვარად, რომ იგი არ შეეხოს ცილინდრის კედლებს. როდესაც ცილინდრში მოთავსებული არეომეტრი გაჩერდება და მიიღებს წონასწორობას, ათვლიან არეომეტრის ჩვენებას (სურ. 1), გაზომავენ ტკბილის ტემპერატურას ანალიზის მო-მენტში და, ხვედრითი წონისა და ტემპერატურის მიხედვით, სათანადო ცხრილის შემწეობით ადგენენ მის შაქრიანობას.

მეტად ზუსტი შედეგი მიიღება, როდესაც ტკბილის ტემ-პერატურა იქნება არეომეტრით გათვალისწინებული ტემპერა-ტურის შესაბამისი; ამისათვის სასურველია წინასწარ ტკბი-ლის ტემპერატურა მივიუვანოთ 20°C და შემდეგ ჩავატა-როთ მასში შაქრიანობის განსაზღვრა. თუ ტკბილის ტემპე-


შესწორების უკანასიანი განვითარების სამსახური

რატურს მეტია დან ნაკლები 20°C , მაშინ შესწორების უკანასიანი განვითარების სამსახური და რომელიც შეესაბამება მატურულ ტემპერატურას, უნდა დაემატოს ან გამოაკლდეს არეო-მეტრის ჩვენებით მიღებული შაქრიანობის რიცხობრივ მაჩვენებელს.

ყურძნის ტკბილის მუავიანობის განსაზღვრისათვის საანალიზო ნიმუშის 10 მილილიტრს პიპეტის საშუალებით ვა-



სურ. 1. ყურძნის წვენის შაქრიანობის განსაზღვრა შაქრომეტრით



სურ. 2. ყურძნის წვენის მუავიანობის განსაზღვრა ტიტრაციით



120

ხამთ 100-მილილიტრიან კონუსურ კოლბაში, ვუმატებთ 30 მლ გამოხდილ წყალს და ვდგამთ აზბესტის ბადის შემწეობით ელექტროჟურაზე; აქ მას ვაჩერებთ აღუღებამდე, რათა მოშორდეს ნახშირორჟანვი, რის შემდეგ, ფენოლფტალეინის დახმარებით, ვტიტრავთ $0,1 \text{ N}$ კალიუმის ან ნატრიუმის ტუტით (სურ. 2); ტიტრაციის პერიოდში კოლბის შიგთავსს მინის წყირით უნდა ვურიოთ. რეაქციის დასასრულს ტკბილის შეფერვის ცვლილებებით ვადგენთ; ოთრი ყურძნის ტკბილი მუქდება ყომრალ ფერამდე, წითელისა კი მომწვანო-ყომრალ ფერს ივითარებს. ტკბილში არსებული ტიტრული მუავიანობის ოდენობა იანგარიშება ფორმულით: $x = 0,75$. a . k გ/ლ სადაც a არის განეიტრალებაზე დახარჯული $0,1 \text{ N}$ კალიუმის ან ნატრიუმის ტუტის ოდენობა მლ-ში; k — ტუტის შესწორების კოეფიციენტი.

უზრდნის პრეცა

როდესაც ამა თუ იმ ტიპის ლვინის დასაყენებლად ყურძნის ტკბილის შაქრიანობა და მუავიანობა სასურველ დონეს მიაღწევს — შეუდგებიან მის კრეფას.

როველის ორგანიზაციასა და მის მიმდინარეობაზე, როგორც ზემოთ აღინიშნა, ბევრადაა დამოკიდებული ლვინის ხარისხი; ამიტომ წინასწარ ყველა ზომები უნდა იქნეს მიღებული, რათა შეუფერხებლად ჩატარდეს რთველი, ღროულად მოიკრიფოს და გადამუშავდეს ყურძენი.


ყურძნის კრეფა კარგ ამინდში უნდა ჩატარდეს. ყოვლად დაუშვებელია ყურძენი მოიკრიფოს წვიმიან ამინდში; წინააღმდეგ შემთხვევაში მისი ტკბილი გამდიდრდება წყლით და ლვინოც შედარებით დაბალალკოლიანი მიიღება. ასევე დაუშვებელია ყურძენი მეტისმეტად ცივ ამინდში მოიკრიფოს; ამ შემთხვევაში ტკბილი დაბალი ტემპერატურის მქონეა, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს ალკოჰოლური დუღილის გახანგრძლივებას და ზოგიერთი არასასიამოვნო მოვლენის წარმოქმნას. ძლიერ ცხელი ამინდიც უარყოფითად მოქმედებს რთველის ჩატარების ხარისხზე; ცხელ ამინდში დაკრეფილი ყურძენი, მით უმეტეს თუ საჩქაროდ არ გადამუშავდა იგი, აღ-



ვილად ივითარებს ძმარმუაგა ბაქტერიებს, რაც საშიშროებების უქადის მისგან დამზადებულ ღვინის ხარისხს. ყველაზე უფრო კრეფისა ტიმალური ტემპერატურული პირობები ყურძნის კრეფისა 18—20°-ია; ყურძნის კრეფა უნდა დაიწყოს დილის 10 საათიდან, როდესაც ვაშს ნამი შეაშრება.

გარკვეული წესის დაცვას თხოულობს თვით ყურძნის კრეფის ტექნიკა. ყოვლად დაუშვებელია გაზიდან მტევნის ხელით მოგლეჭა, რადგანაც ამით რიგ არასასურველ მოვლენებთან გვაქვს საქმე. კერძოდ, მარცვლების ნაწილი მტევნიდან ცვივა, იზრდება დანაკარგები, ამასთანავე, ზოგი მათვანი იჭყლიტება მტევანზევე და სხვ.

ამიტომ ყურძნის კრეფა ამ საქმისათვის სპეციალურად განკუთვნილი იარაღებით უნდა ჩავატაროთ (სურ. 3).



სურ. 3. ყურძნის საკრეფი იარაღები

მხედველობაშია, აგრეთვე, მისაღები დასაკრეფი ყურძნის ხარისხი; ყოვლად დაუშვებელია საქმე გვერდეს დაკრეფისას მთლიანად საღ ყურძენთან; ყურძნის ზოგიერთი მტევანი მთლიანად თუ არა, ნაწილობრივ მაინც შესაძლოა დაზიანებული იყოს სხვადასხვა ავაღმყოფობით. ასეთი მარცვლების მო-



ცილება მტევნიდან აუცილებელია. წინააღმდეგ შემოხვევაში გათი გადამუშავებით ხარისხოვან ღვინოს ვერ მივიღებთ.

მეღვინეობის ხანგრძლივი პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ნაც-
რისფერი სიღამპლის მქონე ყურძნიდან მეტისმეტად დაბალი
ხარისხის ღვინო მიიღება; ასეთი ღვინო თავს ვერ ინახავს და
მიღრექილებას იჩენს გადაბრუნებისადმი. ამასთანავე, იგი შე-
დარებით ძნელად იწმინდება. ასევე დაბალი ხარისხის ღვინო
მიიღება სიღამპლით, ყურძნის ჭიით ან ჭრაქით დაზიანებული
ყურძნიდან.

ამ უარყოფითი მოვლენის თავიდან აცილების მიზნით, ვე-
ნახშივე, ყურძნის კრეფისას უნდა მოხდეს მისი დახარისხება;
ამისათვის თითოეულ მკრეფავს უნდა ჰქონდეს ხის წნელისა-
ვან დაწნული ორი 10-10-კილოგრამიანი კალათი, რომელთა-
გან ერთში ათავსებს ჯანსაღ ყურძენს, ხოლო მეორეში ტა-
ლახიან ან სხვადასხვა ავადმყოფობით დაზიანებულ ყურძ-
ნის მარცვლებს. ამასთან ერთად, ანგარიში უნდა გაეწიოს
თვით ყურძნის კრეფის ვადებს; გამომდინარე იქედან, თუ რა
ტიპის ღვინო სურთ დაყენონ, აწარმოებენ ერთდროულ და
შერჩევით რთველს. ერთდროული რთველის დროს ყველა
მტევანი იყრიფება ვაზიდან; რთველის ერთდროული ჩატარე-
ბა რენტაბელურია და ეკონომიურად გამართლებული. ამ
დროს შედარებით მცირე დანაკარგებათან გვაქვს საქმე. ერთ-
დროული რთველი ყველა შემთხვევაში არ შეიძლება ჩატარ-
დეს. იგი შეიძლება ჩატარდეს იმ ვენახში, სადაც ერთი ჯი-
შია გავრცელებული და ყველა მტევანი კარგადაა მომწიფე-
ბული.

თუ ვენახში სხვადასხვა ვაზის ჯიშია გავრცელებული, რო-
მელთა სიმწიფის პერიოდი სხვადასხვაა, მაშინ უნდა ჩატარ-
დეს შერჩევითი რთველი; თანმიმდევრობით წარმოებს მწიფე-
ბრევნების კრეფა.

შერჩევით რთველს მიმართავენ განსაკუთრებით იმ შემ-
თხვევაში, როდესაც ყურძენი გამიზნულია ტკბილი და ლი-
კიორული ღვინოების დასამზადებლად.

შეუფერხებლად რომ ჩატარდეს რთველი, კოლმეურნეო-
ბებმა და საბჭოთა მეურნეობებმა წინასწარ უნდა შეიმუშაონ



ყურძნის კრეფის გეგმა, რომელიც ითვალისწინებს ისეთ უფლებულებებს კითხებს, როგორიცაა: ყურძნის კრეფის განრიგი ნაკვეთების მიხედვით და კრეფის ვადები; ჭიშების მიხედვით, მოსალოდნელი ყურძნის ოდენობა მთლიანად და ყოველდღიური გადამუშავებისათვის; ყურძნის კრეფისა და გადაზიდვისათვის საჭირო რაოდენობით მუშახელის გაანგარიშება; საჭირო ტრანსპორტის ოდენობა; საჭირო სატრანსპორტო ჭურჭლისა და საკრეფი იარაღების ოდენობათა გაანგარიშება. ასეთი გეგმა ერთ-ერთი საფუძველი იქნება რთველის ნორმალური მიმღინარეობისა და ხარისხოვანი ღვინის დაყენებისათვის.


უშრძნის გადაზიდვა

დაკრეფილი ყურძნის გადაზიდვა დანიშნულების ადგილზე დიდი სიფრთხილით, უნდა ჩატარდეს; ყურძნის ტრანსპორტირება იმგვარად უნდა მოეწყოს, რომ მარცვლები არ დაიჭყლიოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში დაჭყლეტილი მარცვლებიდან ადგილი ექნება გამოყოფილი წვენის დანაგარებებს ან მის გამდიდრებას არასასურველი ნივთიერებებით. ამასთანავე, ტკბილი ადვილად იუანგება ჰაერის უანგბადით, რაც, შესაძლოა, ერთ-ერთი მიხეზი გახდეს მისგან დამზადებული ღვინის ტიპიური ფერიდან გადახრისა.

აქედან გამომდინარე, ყურძნის სატრანსპორტო ჭურჭელი ძლიერ დიდი ტევადობის არ უნდა იყოს, რომ ადგილი არ ექნეს მარცვლების დაჭყლეტას. ამ მიზნისათვის კარგია ხის ტკეჩისაგან დამზადებული ტაგნები (სურ. 4), რომელთა ტევადობა 40—60 კგ არ უნდა აღემატებოდეს.

სატრანსპორტო საშუალებას, ძირითადად, ავტომანქანა წარმოადგენს. ავტომანქანის ძარაში აწყობენ ცარიელ ტაგნებს და ისე ავსებენ მათ დაკრეფილი ყურძნით. ტრანსპორტირებისას ტაგნებს უნდა გადაეფაროს ბრეზენტი, რათა დაცული იქნეს ყურძნი დამტვერვის ან სხვა რაიმე არასასურველი მოვლენებისაგან. საღამოს, მუშაობის დამთავრების შემდეგ, ტაგნები უნდა გაირეცხოს გულდასმით ცივი წყლით, რათა არ

მოხდეს მათში ძმარმჟავა ბაქტერიების განვითარება და ზეზ-
დგომი პარტია ყურძნის დასწებოვნება.



სურ. 4. ყურძნის საქრეფი და მისი გადასაზიდი ჭურჭლება:

გარდა სატრანსპორტო ჭურჭლისა; ამ ბოლო ღროს, ზოგიერთ მსხვილ მეურნეობაში ყურძნის გადაზიდვას უტაროდ — თვითმცლელი ავტომანქანებით აწარმოებენ. ამ მიზნისათვის თვითმცლელ ავტომანქანას სპეციალურად ხის ძარას უყენებენ ან ლითონის ძარას მუავაგამძლე ლაქით ფარავენ.

ყურძენი ფრთხილად იყრება მანქანაში და თანაბარი სისკით ნაწილდება მისი ძარის მთელ ფართობზე. ამ წესით ყურძნის ტრანსპორტირებისას მცირდება შრომატევადი სამუშაოები და, ამასთან ერთად, ყურძნის ფენის სიმაღლე; ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, კიდევ უფრო უწყობს ხელს დანიშნულების ადგილზე ყურძნის დაუჭყლეტავად გადაზიდვას.

ლპინის დაუნიგა

დაქრეფილი ყურძნის გადაზიდვა და გადამუშავება რაც შეიძლება ჩქარა უნდა მოხდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, მით უმეტეს თუ ცხელი ამინდი იქნა, მოსალოდნელია ყურძენზე განვითარდეს ძმარმუავა ბაქტერიები, ჰაერის უანგბადის გავლენით ძლიერ დაიუანგოს იგი და მისგან დამზადებულ ღვინოს დაავადების საშიშროება დაემუქროს; ასევე, შესაძლოა ღვინომ დაუანგული ფერი მიიღოს და, ამ მხრივ ვერ უპასუხოს მისდამი წაყენებულ მოთხოვნებს.

ყურძნის გადამუშავებისა და ღვინის დაყენების ტექნოლოგიურ წესზე ბევრადაა დამოკიდებული პროდუქციის ხარისხი.

ხარისხოვანი ღვინის დაყენების საქმეში ერთ-ერთი გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს აღნიშნული წესების სრულყოფა-დაზუსტებას და მათი ჩატარების ოპტიმალური პირობების დაცვას. სხვადასხვა ტიპის ღვინოებისა და ვაზის ჭიშის შესაბამისად, ყურძნის გადამუშავების წესიც სხვადასხვაა.

სუფრის თეთრი ღვინის დაყენებისას ყურძნის ტკბილის ოლკოპოლური დუღილი წარმოებს უჭიროდ (ევროპული ტიპი), მთლიან ჭაჭაზე (კახური ტიპი) ან მცირე ოდენობა (4 კვ ჰექტოლიტრზე) კლერტგაცლილ ჭაჭაზე (იმერული ტიპი).

წითელი ყურძნიდან შესაძლებელია დამზადდეს კახური (ტკბილის დუღილი მთლიან ჭაჭაზე) და ევროპული ტიპის (ტკბილის დუღილი კლერტგაცლილ ჭაჭაზე) სუფრის ღვინოები.

შამპანური ღვინომასალების დამზადებისას შესაძლებელია დაჭილეტის გარეშე ყურძნის გამოწენება წნევეში და გან სხვადასხვა ფრაქციის ტკბილის გამოყოფა.

საღესერტო შემაგრებული ღვინოების დამზადებისას ყურძნის ტკბილს ნაწილობრივ აღუღებენ და სასურველი შაქრიანობის შენარჩუნებისათვის აწარმოებენ მის დასპირტვას.

შეცრის თეთრი ღვინის დაყვევება უმაშოდ

უჭაჭოდ სუფრის ღვინოს, ძირითადად, თეთრყურძნიანი საღვინე ვაზის ჭიშებიდან ამზადებენ; ასეთი ღვინო ხასიათდება ღია ჩალისფერით, სინაზით, შედარებით მცირე სხეულით, ხალისიანი მჟავიანობით, მკვეთრად გამოხატული სასიამოვნო კიშური არომატით და გემოთი.

ამ ტიპის ღვინის დაყვენებისათვის ყურძენი იკრიფება მაშინ, როდესაც მისი ტკბილის შაქრიანობა იქნება 18—20%, ხოლო მჟავიანობა 7—8 %. მარანში მოზიდული ყურძენი თავისივე ტარით იწონება, აიღება საშუალო ნიმუში ტკბილის შაქრიანობა-მჟავიანობის დასაღვენად, წარმოებს სატრანსპორტო ჭურჭლისაგან მისი განტვირთვა და ნეტო წონის გაანგარიშება.

ამის შემდეგ წარმოებს მარცვლიდან ტკბილის გამოყოფა, რასაც ყურძნის წინასწარი დაჭილეტით და მიღებული მასის ან პირდაპირ დაუჭილეტავი მტევნების გამოწენებით აღწევენ. ამ უკანასკნელი წესის მიხედვით, მტევნის მაგარი ნაწილები ნაკლებ კონტაქტშია ყურძნის წვენთან, რის გამოც იგი, შედარებით, მცირე ოდენობით შეიცავს მთრიმლავ ნივთიერებებს, ინარჩუნებს სინაზეს და პერსპექტივას ხარისხოვანი სუფრის ღვინისა და შამპანური ღვინის მასალების დასამზადებლად.

დაუჭილეტავად ყურძნის გამოწენება შედარებით ძნელია და, ამასთანავე, ამცირებს წნეხის სასარგებლო მოცულობას. ამიტომ უჭაჭოდ სუფრის თეთრი ღვინის დაყვენებისათვის ჭერ მიმართავენ ყურძნის დაჭილეტას, ხოლო შემდეგ დაჭილეტილი მასის გამოწენებას.


ხარისხოვანი სუფრის თეთრი ღვინოების დაყენებაში გამოწვევა
ყურძნის დაჭყლეტის შედეგად მიღებული მასის გამოწვევა
კლერტთან ერთად არა მიზანშეწონილი. კლერტი დიდი ოდე-
ნობით შეიცავს მთრიმლავ ნივთიერებებს, რომელთა გავლე-
ნით შესაძლოა სიუხეშე, სიტლანქე და ზედმეტი სხეული მი-
იღოს ღვინომ. ამდენად, ნაზი, კონდიციური ევროპული ტა-
პის სუფრის ღვინოების დასაყენებლად წარმოებს ყურძნის
მარცვლებიდან კლერტის წინასწარი მოცილება, შემდეგ დაჭყ-
ლეტა და გამოწვეხა.

კლერტის მოცილება შესაძლებელია ჩატარდეს დაუჭყ-
ლეტავი მტევნებიდან ან მათი დაჭყლეტის შემდეგ. ღვინის
ხარისხოვნების დასაცავად უპირატესობა პირველს — დაუ-
ჭყლეტავი მტევნებიდან კლერტის წინასწარ მოცილებას ეკ-
უთვნის. კლერტის მოცილების რამდენიმე მეთოდი არსებობს.
მათ შორის, ხარისხოვანი ღვინის დაყენების საქმეში, კარგ
შედეგს იძლევა ხელით კლერტის მოცილება; ამისათვის 80--
100 დ/ლიტრიან კოდზე დგამენ ნახვრეტების მქონე ხის ცხა-
ურს და მასზე კლერტმოსაცილებელ ყურძნებს ყრიან, ურ-
თიერთმოპირისპირე მხარეზე მდგომი ორი მუშა აცლის მარ-
ცვლებს კლერტს, ეს უკანასკნელი რჩება ცხაურზე, ხოლო
მარცვლები თავს იყრის კოდში. შემდეგ ყურძნის მარცვლებს
ჭყლეტენ ლილვებიან საჭყლეტ მანქანაში და მიღებულ მასას
წნეხენ კალათიანი წნეხით.

მართალია, კლერტის მოცილების აღწერილ მეთოდს ბევ-
რი დადებითი გააჩნია ხარისხოვანი ღვინის დაყენების საქმე-
ში, მაგრამ; ამასთან ერთად, იგი დაზღვეული არ არის უარ-
ყოფითი მხარეებისაგან; კერძოდ, იგი მეტად შრომატევადი
სამუშაოს ჩატარებას მოითხოვს, პროცესი ნელი ტემპით მიმ-
დინარეობს და ამის გამო მას გამონაკლის შემთხვევაში საც-
დელი საქმისათვის თუ მიმართავენ მხოლოდ. კლერტის მო-
ცილებას აწარმოებენ, აგრეთვე, მექანიკური საშუალებებით—
მანქანებით. ასეთი სახის მანქანებს შორის ფართო გავრცე-
ლება პპოვა ეგროტუმბომ (სურ. 5), რომელიც ჭყლეტს ყურ-
ძენს, აცლის მას კლერტს და კლერტგაცლილი მასა ვადააქვს
დანიშნულებს აღგილზე.

ეგროტუმბოს საკმაოდ დიდი წარმადობა (10—15 კიბელი მუშაობის საათში) აქვს, დანაკარგებთან ერთად საგრძნობლად ამცირებს მუშახელს და, ამასთანავე, ხელს უწყობს წარმოებაში სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დაცვას.

ყურძენი იჭყლიტება საჭყლეტში 1, საიდანაც დაჭყლეტილი მასა მიღის კლერტგამცლელში 2. კლერტი იყრება გარეთ, ხოლო კლერტისაგან განთავისუფლებული დურდო ჩარჩოს 3



სურ. 5. ეგროტუმბო.

ნახვრეტში გავლით მიემართება კამერის 4 ქვედა ნაწილში, აქედან იგი შნექის 5 დახმარებით მიემართება ცენტრიდანული ტუმბოსაკენ 6, საიდანაც რეზინის მილის საშუალებით მიღის საწრეტ მანქანაში ტკბილის თვითნადენი ფრაქციის გამოსაყოფად.

დურდოდან ტკბილის გამოყოფა სხვადასხვა საშუალებით წარმოებს. ყველაზე მარტივი საწრეტი — დურდოდან ტკბილის გამოყოფი ხისაგან დამზადებულ ოთხკუთხა ყუთს წარმოადგენს, რომლის ფსკერზე მოთავსებულია ხის ცხაური.


სამუშაოების ულიკოსი

ეს მარტივი ხელსაწყო კარგი წარმადობისაა და საშუალებების მიღება 58% თვითნადენ ფრაქციის ტკბილის საერთო გაძო-სავლიანობიდან.

მეღვინეობის საწარმოებში, ამ ბოლო დროს, ფართო გავ-რცელება პპოვა საჭყლეტ-საწრეტმა მანქანამ — ეგუტფორმა.

ამ მანქანის შემწეობით, როგორც სახელშოდება გვიჩვენებს, ხორციელდება ყურძნის დაჭყლეტა და დურდოდან ტკბილის თვითნადენი ფრაქციის გამოყოფა.

მანქანის მოქმედების პრინციპი შედარებით მარტივია; ყურძენი მანქანის ზემოთ მოთავსებულ ხვიშირაში (სურ. 6).



სურ. 6. საჭყლეტ-საწრეტი მანქანა

იყრება, საიდანაც იგი საჭყლეტისაქენ მიემართება, მიღებული დურდო ბადიან კამერაში თავსდება. აღნიშნულ კამერაში მოთავსებულია შენეკის ერთი ნაწილი, მისი მეორე ნაწილი კი დაცხრილულ ცილინდრში ბოლოვდება. დაცხრილული ცი-ლინდრი, თავის მხრივ, ბადიანი კამერის გაგრძელებას წარ-მოადგენს. ბადიანი კამერით ხორციელდება თვითნადენი ტკბილის გამოყოფა. შენეკის დახმარებით დაცხრილულ ცი-ლინდრში, მოძრავი დურდოდან, კვლავ წარმოებს წვენის გა-



მოყოფა თვითდინებით და ოდნავი დაწნებებით. გამოყოფილი ტკბილი თავსდება მანქანის ქვემოთ მდებარე დიდი ტევადობის ჭურჭელში, საიდანაც წარმოებს მისი გადაქაჩვა დანიშნულების ადგილზე. ჭაჭა კი, რომელიც 30—40%-მდე ტკბილს შეიცავს, შემდგომ დამუშავებას წნებში განიცდის.

ეგუტფორი საქმაოდ დიდი წარმადობისაა, მას შეუძლია საათში 10 ტონა ყურძენი გადაამუშაოს.

დურდოს გამოწნება. უჭაჭოდ თეთრი ღვინოების დაყენებისას, წარმოებს დურდოს გამოწნება მისგან ტკბილის გამოსაყოფად. ამ შემთხვევაში შეიძლება საქმე გვქონდეს ეგროტუმბოში ან საჭყლეტ-საწრეტ მანქანაში ყურძნის გადამუშავებით მიღებულ დურდოსთან. პირველ შემთხვევაში დურდო მთლიანი ოდენობით შეიცავს ტკბილს, ხოლო მეორე შემთხვევაში, როგორც აღვნიშნეთ, იგი თავისუფალია თვითნადენი ფრაქციისაგან.

გამოწნება უნდა ჩატარდეს ისე რომ, რაც შეიძლება შაქსიმალურად გამოიყოს ტკბილი დურდოდან და იგი მცირე ოდენობით შეიცავდეს შეწონილ ნაწილებს; ამასთანავე, პროცესი უნდა შესრულდეს შემჭიდროებულ ვადებში, რათა არ შობდეს ტკბილის დაუანგვა ჰაერის უანგბადით და, რაც მთავარია, იგი არ გამდიდრდეს ლითონის მარილებით.

დურდოს გამოწნება სხვადასხვა სისტემის წყვეტილი და განუწყვეტელი მოქმედების წნებებით წარმოებს.


ხარისხოვანი ღვინის დაყენების საქმეში კარგ შედეგს იძლევა ჰიდრავლიკური წნები; ასეთი წნებები ასრულებენ ზემოაღნიშნულ მოთხოვნებს; კერძოდ, დიდი წნევის შემწებით შედარებით ჩქარა ხორციელდება გამოწნების პროცესი, ტკბილი მცირე დროითაა ჭაჭასთან კონტაქტში, იგი ნაკლებ იუანგება, რომლისგანაც დამზადებული ღვინო ტიპიური შეფერვითა და ზომიერი სხეულით ხასიათდება.

არსებობს ზედა და ქვედა წნევის ჰიდრავლიკური წნებები, კონსტრუქციულად ისინი დიდად არ განსხვავდებიან ურთიერთისაგან.

ჰიდრავლიკურ წნებს (სურ. 7) მარტივი დამწნები მექანიზმი აქვს; იგი ჰიდრავლიკური ცილინდრისა და მასში მო-

საქართველოს მთავრობის მინისტრის მიერ გამოცემის გარეშე

თავსებული დგუშისაგან შედგება. ელექტრომოტორის სამუშაოების დამუშავებით მოძრაობაში მოდის ჰიდრავლიკური ტუბო, რომელიც მუშავითხეს ცილინდრში ჭირხნავს; წარმოშობილი წნევა დგუშის გარეთა ბოლოზე მოთავსებული დამწნები მაგიდიდან დურდოს გადაეცემა და იწნებება.



სურ. 7. ზემოდან დაჭოლის ჰიდრაულიკური წნები

ჰიდრაულიკური წნები არსებობს ერთკალათიანი, ორკალათიანი და სამკალათიანიც. კალათები, როგორც წესი, ხისგანაა დამზადებული, ხოლო ბაქნი მუავაგამძლე ლითონს წარმოადგენს. ეგროტუმბოდან მიღებული დურდოთი წნებს ავსებენ და ელოდებიან თვითნადენი ფრაქციის გამოყოფას, შემდეგ წნებს მოქმედებაში მოიყვანენ და მიიღებენ ე.წ. ტკბილის შუა ფრაქციას; ჭაჭას აცენცავენ, ცვლავ დაწნებენ

და ლებულობენ ტკბილის ბოლო ფრაქციას.

წვენის თვითნადენი, შიგა და ბოლო ფრაქციები, თავიანთი ქიმიური შედენილობით, მნიშვნელოვნად განსხვავდებია ურთიერთისაგან; ხარისხოვანი ლვინის დაყენებისათვის იყნებენ წვენის თვითნადენი და შუა ფრაქციების ნაჩევს; ბოლო ფრაქცია კი განკუთვნილია ორდინალური ლვინოების დასამზადებლად.

ტკბილის წინასწარი დაწმენდა. რაც არ უნდა სუფთად მოიკრიფოს ყურძენი და გულდასმით დახარისხდეს იგი, მისგან მიღებული ტკბილი ცოტად თუ ბევრად ყოველთვის შე-

იცავს ამმღვრევ სხეულებს ყურძნის ნაფლეთების, ჭურჭელების და სხვა არასასურველი მინარევების სახით. ოღნიშნულმა მინარევებმა უარყოფითი გავლენა რომ ვერ მოახდინონ ღვინის ხარისხზე, მიმართავენ მათ მოცილებას, რასაც ტკბილის წინასწარი დაწმენდით აწარმოებენ. ამ ოპერაციის ჩატარებისას, ჭურჭლის ფსკერზე ილექტება და ტკბილს სცილდება მექანიკური მინარევების გარდა, ველური საფუვრების, ობების გამოწვევი ბაქტერიებისა და მათი მსგავსი მიკროორგანიზმების უმეტესობა. ამდენად, ეს პროცესი არა მარტო წმენდს ტკბილს, არამედ, ამასთან ერთად. მკვეთრად აუმჯობესებს მის მიკროფლორას.

ტკბილის წინასწარი დაწმენდისათვის რამდენიმე ხერხი არსებობს: ზოგჯერ მიმართავენ წნებილან მიღებული ტკბილით კასრის ავსებას პირამდე იმ მოსაზრებით, რომ დუღილის დაწყებისას გამოყოფილი ნახშირორეანგა გაზის წყალობით ამმღვრევი სხეულები ზევით ამოვლენ, მღვრიე სითხე კასრის ქვემოთ მდგომ გეჯაში გადმოიღვრება და მოცილდება ტკბილის საერთო მასას. ეს მეთოდი ყოვლად მიუღებელი და გაუმართლებელია, რადგან ადგილი აქვს ტკბილის დანაკარგების და კასრის კედლებზე, მითუმეტეს თუ ცხელი ამინდია, ძმარება ბაქტერიების განვითარებას. გარდა აღნიშნულისა, შეუძლებელია ტკბილის სრულყოფილად გაწმენდა.

ტკბილის დაწმენდას აწარმოებენ, აგრეთვე, დაბალი ტემპერატურის (-2 — 3°) გამოყენებით; დასაწმენდად განკუთვნილი ტკბილი მაცივარ-კამერებში თვესდება, საღაც 12—24 საათის შემდეგ აგი კარგად იწმინდება.

ტკბილის დაწმენდის კარგ საშუალებას წარმოადგენს, აგრეთვე, მისი ცენტროფუგირება.

განხილულ მეთოდებთან შედარებით, მეღვინეობის წარმოებაში ფართოდაა დანერგილი ტკბილის წინასწარი დაწმენდა გოგირდოვანი მუავას ანჰიდრიდის საშუალებით. ეს მეთოდი შედარებით მარტივია და სასურველ შედეგსაც იძლევა.

წნებიდან მიღებული ტკბილი ტუმბოს საშუალებით გადაქვთ დასაწმენდად დიდი ტევადობის კოდში, ბუტში, რეზერვუარში ან სხვა სახის ჭურჭელში 12—24 საათით. ემ პე-

საქართველოს
მთავრობის
მუნიციპალიტეტის
მინისტრის
მიერ გადაწყვეტილი

რიოდში ტკბილმა დუღილი რომ არ დაიშყოს, მასში შემცირებული გოგირდოვანი მუავას განსაზღვრული ოდენობა — გოგირდის პატრუქის საშუალებით. გოგირდოვანი მუავას საჭირო რაოდენობას, ძირითადად, ყურძნის ფიზიკური მდგომარეობა, დასაწმენდი პერიოდის ხანგრძლიობა და გარემოს ტემპერატურული პირობები განსაზღვრავს. ასე, მაგალითად, თუ ტკბილისა და გარემოს ტემპერატურა 15° -ია და იგი მიღებულია ყოველმხრივ საღი ყურძნისაგან, მაშინ იმისათვის, რათა შეჩერდეს მისი დუღილი, 12—24 საათით ყოველ ჰექტოლიტრზე 4—5 გ გოგირდოვანი მუავას შეტანაა საჭირო. თუ ტკბილის ტემპერატურა ისევ 15° -ია, ხოლო იგი მიღებულია შედარებით ნაკლებ კონდიციური ყურძნისაგან, მაშინ 12—24 საათით მისი დუღილის შესაჩერებლად 5—7 გ გოგირდოვანი მუავაა საჭირო, თუ ტკბილის ტემპერატურა $20—25^{\circ}$ -ია, მაშინ გოგირდოვანი მუავა შედარებით ჭარბი ოდენობით (10—12 გ ჰექტოლიტრზე) უნდა მიეცეს.

ამ ხნის განმავლობაში ტკბილში არეული მექანიკური სხეულები და ზოგიერთ მიკროორგანიზმთა ნაწილი ჭურჭლის ფსევრზე ილექტა და ტკბილი სათანადო სიწმინდე-გამჭვირვალობას აღწევს. დაწმენდილი ტკბილი ჭურჭლის ონკანიდან ჩამოისხმება გეჯაში, საიდანაც ტუმბოს საშუალებით ნაწილდება სადუღარ ჭურჭელში.

ტკბილის დუღილი. ყურძნის ტკბილის ალკოჰოლური დუღილის ჩატარება ღვინის დაყენების მეტად საპასუხისმგებლო სტადიას წარმოადგენს.


სადუღარი ჭურჭელი იდეალურად სუფთა უნდა იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში მოსალოდნელია ღვინომ რაიმე ინფექციური ავადმყოფობა ან ზაღი მიიღოს.

ყურძნის ტკბილის ჩასხმამდე სადუღარი ჭურჭლის სისუფთავე კიდევ ერთხელ უნდა შემოწმდეს. თუ ჭურჭელი საღია, მას მცირე ოდენობით უნდა ეხრჩოლოს გოგირდი და შემდეგ ჩაისხას შიგ ტკბილი.

ჭურჭელი ტკბილით მთლიანად არ ივსება. წინააღმდეგ შემთხვევაში მოსალოდნელია დუღილის პერიოდში მაღუღარი მასის გაღმოღვრა, დანაკარგების ზრდა და წარმოების სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დარღვევა.

ამდენად, საღულარ ჭურჭელს უნდა დავუტოვოთ სუფალი ადგილი — მისი მოცულობის 5—10%.

ჩვეულებრივი საცობის ნაცვლად კასრს, რომელშიც ყურძნის ტკბილი ასხია, საღულრად უკეთდება საღულარი საცობი (სურ. 8), რომელიც იცავს ტკბილს ჰაერის ჟანგბადისა და მიკროორგანიზმების შეხებისაგან.



სურ. 8. ტკბილის დუღილის დროს გამოყენებული საცობი

ყურძნის ტკბილს ყოველგვარი პირობა უნდა შევუქმნათ, რომ დუღილი ნორმალურად, სუფთად წავიდეს და გარანტირებული იქნეს ხარისხოვანი ღვინის მიღება. ერთ-ერთი პირობათაგანია დუღილი ვაწარმოოთ საფუვრის წმინდა კულტურაზე და შევზღუდოთ ველური საფუვრების მოქმედება, რომლებიც შედარებით დიდი ოდენობით ხარჯავენ შაქარს, არანორმალურად წარმართავენ დუღილს და, ამასთან ერთად, წარმოქმნიან ღვინოში არასასიამოვნო ნაერთებს. საფუვრის წმინდა კულტურის გამოყენება საშუალებას იძლევა თავიდან ავიცილოთ მის გარეშე დუღილის მიმდინარეობის მოსალოდნელი ზემოაღნიშნული ნაკლოვანებები.

საფუვრის წმინდა კულტურა წარმოადგენს ერთი სახის უჭრედისაგან მიღებულ შტამს; ასეთი კულტურის ნამრავლს თუ დუღილის დაწყებამდე შევიტანთ დასადუღებლად გან-

კუთვნილ ტკბილში, იგი დათრგუნავს ველური. საფუვრო მოქმედებას და თავისი მიმართულებით წარმართავს სპირტოვან ღულილს.

მისი შეტანით ტკბილი შედარებით ჩქარა იდულებს, ღულილი შეუფერხებლად, ნორმალურად მიმდინარეობს, საკონტროლოსთან შედარებით ღვინის სიმაგრე 0,5—1%-ით იზრდება და, ამასთან ერთად, იგი ჩქარა იწმინდება.

წინასწარ წარმოებს საფუვრის წმინდა კულტურის დედოს დამზადება; ამისათვის, როველის დაწყებამდე 4—5 დღით ადრე, კრეფენ საჭირო ოდენობა ჯანსაღ, მომწიფებულ ყურძენს, ღებულობენ მისგან სუფთა წვენს, რომელსაც მიკროორგანიზმთა დახოცვის მიზნით, სტერილიზაციის უკეთებენ ხის კასრში 60—65° ტემპერატურაზე 30 წუთის განმავლობაში; ხის კასრში სასურველი ტემპერატურის მისაღწევად, მასში გაყვანილია თუთიის ან სპილენძის მოკალული სპირალი, რომელშიაც გატარებული ორთქლი აცხელებს ტკბილს და სასურველ ღონეზე აყავს მისი ტემპერატურა. სტერილიზაციის ვადის გასვლის შემდეგ, ორთქლის მიწოდებას წყვეტენ და სპირალში—მის ნაცვლად ცივ წყალს ატარებენ, რათა სათანადოდ გაცივდეს ყურძნის წვენი. ამის შემდეგ, ივი გადააქვთ კარგად გარეცხილ ხის კასრში, რომელსაც მისი მოცულობის $\frac{3}{4}$ -მდე ავსებენ. როდესაც სტერილური ტკბილის ტემპერატურა დაიწევს 20—25°-მდე, მასში შეაქვთ საფუვრის წმინდა კულტურა და სათანადოდ ურევენ შიგთავს. კასრს ზამბის საცობს უკეთებენ და აკვირდებიან ტკბილის ღულილის მსვლელობას და ტემპერატურის პირობებს. 2—3 დღის შემდეგ ტკბილი მძაფრ ღულილში შედის და საფუვრის დედოც გამზადებულად ითვლება.

ტკბილში საფუვრის წმინდა კულტურის დედოს შესატან რღენობას ყურძნის ფიზიკური მდგომარეობა, ტკბილის შაქრიანობა, ტემპერატურული პირობები და ღვინის ტიპი განსაზღვრავს. საერთოდ, როდესაც ჯანსაღი ყურძნიდან ამზადებენ, უჭიაჭოდ, სუფრის თეთრ ღვინოს, საკმარისია ყურძნის ტკბილში შეტანილი იქნეს 1—1,5%-ის ოდენობით საფუვრის

წმინდა კულტურის დედო. დაზიანებული ყურძნის შემცირებისას ვაში, მის ტქბილს 2—3% დედო უნდა დაემატოს.

საფუვრის წმინდა კულტურის დედო, როგორც ზემოთ აღვნიშეთ, უნდა შევიტანოთ ტქბილის დუღილის დაწყებაპლე; თუ ტქბილი დუღილის პროცესში შევიდა, ან დუღილის ნიშნები დაეტყო, მაშინ საფუვრის წმინდა კულტურა ვერ მოგვცემს სათანადო შედეგს; დიდი ოდენობით განვითარებული ველური საფუვრები ყოველმხრივ შეზღუდავს საფუვრის წმინდა კულტურების მოქმედებას და დუღილს თავიანთი სურვილისამებრ წარმართავენ, რასაც თან დაერთვება ზემოთქმული უარყოფითი მოვლენები.

ამასთან ერთად, კარგ შედეგს იძლევა დასადუღებლად განკუთვნილ ტქბილში გოგირდოვანი მუავას ანჭიდრიდის გარკვეული ღოზით შეტანა; გოგირდოვანი მუავას ანჭიდრიდი თრგუნავს ველური საფუვრებისა და მათი მსგავსი ორგანიზმების მოქმედებას; მის არეში აღზრდილი, მასთან შეგუებული საფუვრის წმინდა კულტურები კი შეუფერხებლად იწყებენ და აგრძელებენ თავიანთ მოქმედებას.

დასადუღებელ ტქბილში გოგირდოვანი მუავას ანჭიდრიდის შესატანი ღოზა, ძირითადად, დამოკიდებულია ტქბილის ტემპერატურასა და ყურძნის ფიზიურ მდგომარეობაზე; თუ ტქბილი საღი ყურძნიდანაა მიღებული და მისი ტემპერატურა 15° -ია, ჰექტოლიტრზე შეტანილი უნდა იქნეს 10 გ გოგირდოვანი მუავას ანჭიდრიდი; 16° -დან 20° -მდე ტემპერატურას — 13 გ, 21° -დან 25° -მდე — 18 გ, ხოლო 26° -სს ზევით საჭიროა — 23 გ.

ამ შემთხვევაში, ე. ი. როდესაც განზრახულია გოგირდოვანი მუავას ანჭიდრიდისა და საფუვრის წმინდა კულტურის გამოყენებით ჩატარონ ტქბილის დუღილი, წინასწარ აწარმოებენ ხსენებულ ანტისეპტიკთან მის შეგუებას: ამისათვის, საფუვრის წმინდა კულტურის დედოს არეს ამზადებენ: წინასწარ დასტერილებულ ტქბილში შეაქვთ 50 მგ/ლ გოგირდოვანი მუავას ანჭიდრიდი და საფუვრის წმინდა კულტურა. დუღილის დაწყებისას და მისი მსვლელობიდან 12 საათის შემდეგ, კვლავ ემატება მაღულარ მასას ლიტრზე 50 მგ გო-

გირდოვანი მუავას ანტიღრიდი. ამის შემდეგ, საფუვრის აუტომატურად კულტურა ყოველმხრივ ეგუება გოგირდოვანი მუავას ანტიღრიდს და დედოც მზადაა გამოსაყენებლად.

საფუვრის წმინდა კულტურის მქონე ყურძნის ტკბილი რამდენიმე ხნის შემდეგ შედის მძაფრი დუღილის სტადიაში, წარმოებს დუღილის კონტროლი და საჭირო ღონისძიებების გატარება.

დღეში სამჯერ (დილით, შუადღით და საღამოთი) წარმოებს მაღულარი მასის ტემპერატურის განსაზღვრა და შაქრიანობა-მუავიანობის ცვლილებების შესწავლა. დგება ე. წ. დუღილის მრუდი, რომელიც გამოხატავს პროცესის მიმდინარეობის ასს; დუღილის ნორმალურ, თუ არანორმალურ მდგომარეობასთან გვაქვს საქმე.

უპირველეს ყოვლისა, ანგარიში უნდა გაეწიოს დუღილის ტემპერატურას. დუღილის ტემპერატურის ოპტიმუმად 20—25° ითვლება.

თუ დუღილის ტემპერატურა ძლიერ დაბალია, მაშინ ეს პროცესი ნელა მიმდინარეობს ან ძირითადად წყდება; ამ შემთხვევაში, ადვილი შესაძლებელია ღვინო დამარდეს. დაბალი ტემპერატურისას აუცილებელია საღულარი განყოფილების ხელოვნური გათბობა და მაღულარი მასის ჰაერაცია; ამით საფუვრები ღებულობენ ჰაერის ჟანგბადს და მათი ცხოველმოქმედება აქტივდება. დასაღულებელი სითხე კვლავ დუღილის სტადიაში შედის.

არის შემთხვევები, როდესაც მაღულარი მასის ტემპერატურა ძლიერ მაღლა (30° და მეტი) იწევს. ამ პერიოდში საფუვრები კვლავ აჩერებენ თავიანთ მოქმედებას, რასაც თან სდევს მიღებულ ღვინოში დაუდუღარი შაქრის დიდი ოდენობით დარჩენა; ასეთი ღვინო გამძლეობის ნაკლები უნარით ხასიათდება და ავადდება სხვადასხვა ავადმყოფობით (ბრჭე, დაძმარება, მანიტური დუღილი და სხვა).

ამ შემთხვევებში, რათა დუღილის პროცესი ნორმალურად გაგრძელდეს, მიმართავენ მაღულარი მასის გაგრილებას, რაც საღვინე ჭურჭლის შესაბამისად სხვადასხვა გზით ხორციელდება. თუ დუღილი კასრში მიღის, მასში მოთავსებული მასის



გაგრილება შედარებით ძნელია და დიდ დროს ტხოვთ გაგრილებას
ამ შემთხვევაში შიმართავენ მთლიანი შენობის განივებას.

შედარებით იოლია მაღულარი მასის გაგრილება, თუ დუ-
ლილი ლითონის რეზერვუარში ხორციელდება. ამ შემთხვე-
ვაში შესაძლოა რეზერვუარზე გარედან ცივი წყლის ნაკადის
მიშვება და ამით გაგრილება მაღულარი სითხის.

ტკბილის დულილისას არჩევენ მძაფრი და წყნარი დული-
ლის პერიოდებს. მძაფრი დულილი, თუ საამისოდ ყოველ-
მხრივ ოპტიმალური პირობებია შექმნილი, 4—5 დღეს
გრძელდება. მაღულარი მასა ცვლავ შეიცავს მცირე რაოდე-
ნობით დაუშლელ შაქარს, რაც საფუძვლად ედება წყნარი დუ-
ლილის პერიოდს. წყნარი დულილი სასურველია 2—3 კვირის
განმავლობაში დამთავრდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში გახან-
გრძლივებულ წყნარ დულილს თან სდევს არასასიამოვნო
მოვლენები; გაზაფხულზე, როდესაც პარის ტემპერატურა
მაღლა იწევს, ლვინო კვლავ იწყებს დულილს, რასაც თან
სდევს მისი ამღვრევა.

დულილის დამთავრების შემდეგ, კასრში საკმაო სიცარი-
ელე რჩება, მასში ნახშირორჟანგა გაზი ძლიერ მცირდება და
ვერავითარ წინააღმდეგობას ვერ უწევს ღვინის ავადმყოფო-
ბის გამომწვევ მიკროორგანიზმებს; ხელსაყრელი პირობები
იქმნება მათი განვითარებისა და ღვინის დაავადებისათვის,
ამიტომ კასრს უნდა მოვაშოროთ საღულარი საცობი, შევავ-
სოთ იგი დადუღებული, საღი ღვინით და გავუკეთოთ ჩვეუ-
ლებრივი საცობი. კასრების შევსება შესაძლოა ჩავატაროთ
პირველად მძაფრი დულილის, ხოლო მეორედ ნელი დული-
ლის დამთავრების შემდეგ.

მძაფრი და ნელი დულილის დამთავრების შემდეგ, ახალ-
გაზრდა ღვინოში დაუდულარი შაქარი ან სრულიად არ არის,
ან ძლიერ უმნიშვნელო ოდენობით ($0,1$ — $0,2\%$) გვხვდება.
ასეთ შემთხვევაში, იგი მთლიანად დადუღებულად ითვლება.
პირველ ხანებში ახალგაზრდა ღვინო კვლავ მღვრიეა და ნაკ-
ლებ გამჭვირვალე. თუ დულილი ხორმალურად წავიდა, ღვი-
ნო 2—3 კვირის შემდეგ იწმინდება, ამმღვრევი სხეულები



ჭურჭლის ფსერზე ილექტებიან და იგი, თავის ხნოვანებასთან შეუძლია
შეფარდებით, სათანადო გამჭვირვალობას იძენს. ეს პროცესი
დეკემბრის შუა რიცხვებამდე მთავრდება; დეკემბერშივე
ღვინოს ხსნიან ლექიდან, ანაწილებენ კარგად გარეცხილ კას-
რებში და ინახავენ დაბალ ტემპერატურაზე სარდაფის პირო-
ბებში შემდგომი მოვლა-პატრონობისათვის.

პაცური ტიპის სუფრის თეთრი ღვინის დაზვება

სუფრის ღვინის დაყენების კახური წესი არსებითად გან-
სხვავდება ზემოთ განხილული წესისაგან.

კახური წესით დაყენებული სუფრის ღვინო წარმოადგენს
მტევნის მაგარ ნაწილებთან ერთად ყურძნის ტებილის ალკო-
ჰოლური დუღილის პროცესს. ამ წესით დამზადებული
ღვინო, ევროპული წესით დამზადებულ ღვინოსთან შედარე-
ბით, ხასიათდება მეტი სხეულით, მთრიმლავ ნივთიერებათა
ჭარბი შემცველობით და ოდნავი სიძელგით.

მაღალხარისხოვანი კახური ტიპის სუფრის ღვინო მხო-
ლოდ კახეთში დგება; საღვინე ჭიშებიდან ამ ტიპის თეთრი
ღვინისათვის პერსპექტიულია რქაწითელი, კახური მწვანე და
ჭისი.

კახური ტიპის ღვინის დამზადებისათვის ყურძენს კრეფენ
მაშინ, როდესაც ტებილის შაქრიანობა მიაღწევს 20—24%,
ხოლო მუვიანობა — 5—6%.

მარანში მიზიდული ყურძენი კიდევ ერთხელ გულდასმით
ხარისხდება და საჭილეტ მანქანაში მუშავდება. მიღებული
დურდო კარგად გარეცხილ გოგირდნახრჩოლებ ქვევრში თავ-
სდება, სადაც ემატება სუფუვრის წმინდა კულტურის დედო
2—3%-ის ოდენობით.

ქვევრს ავსებენ მისი მოცულობის $\frac{3}{4}$ -მდე; ქვევრის მთლი-
ანად ავსება ყოვლად დაუშვებელია, წინააღმდეგ შემთხვევა-
ში ალკოჰოლური დუღილისას გაფართოებული ჭიჭა მის ნა-
პირებზე გადმოვა, გაიზრდება დანაკარგები და ღვინის დავა-
დების საშიშროება.

ასევე, მიუღებელი და ყოველმხრივ გაუმართლებელია

ძლიერ ნაკლულ ქვევრში დუღილის წარმოება; აქ დიდი ქვევრი არ რჩება, ხელსაყრელი პირობები იქმნება და დავადებათა გამომწევი ბაქტერიების განვითარებისათვის, რითაც ადვილი შესაძლებელია საღი ღვინის ნაცვლად დაავაზობული ღვინო მივიღოთ. ამის გამო, ზუსტად უნდა დავიცვათ ქვევრში დუღილის მოცულობის ოპტიმუმი.

ქვევრში მოთავსებული მასა 2—3 დღის შემდეგ, მძაფრ დუღილში შედის. დუღილის მიმდინარეობისას, განსაცუთო ბული ყურადღება უნდა მიექცეს დუღილის ტემპერატურას. დუღილი ოპტიმალურ ტემპერატურულ პირობებში (20—25°) უნდა ჩატარდეს; თუ ძლიერ დაიწია ან აიშია ტემპერატურამ, რაც ქვევრის შემთხვევაში იშვიათი მოვლენაა, მაშინ მიმართავენ მაღულარი მასის ხელოვნურ გათბობა-გაგრილებას.

მძაფრი დუღილის პერიოდში ჭაჭა ზემოთ ამოდის ნახშირორჟანგა გაზის წნევით და ქუდივით ეფარება მაღულარ სითხეს. ამ მდგომარეობაში დატოვებულ ჭაჭას ზედაპირი უშრება და მასზე ადვილად ვითარდებიან ძმრის ბაქტერიები; ამასთანავე, ჭაჭა ძლიერ მუქდება და ზოგჯერ შავდება კიდეც. ეს მდგომარეობა რომ თავიდან ავიცილოთ, ჭაჭას საშუალება არ უნდა მივცეთ მაღულარი სითხის ზემოთ მოექცეა და „ქუდივით“ გადაეფაროს მას. ამისათვის მიმართავენ დუღილს ჩატელას სპეციალური საზელით (სურ. 9) ყოველ სამ საათში ერთხელ.

გარდა ძირითადი დანიშნულებისა, დუღილს ჩატელით აქტივდება საფუვრების ცხოველმოქმედება, თანაბრდება დუღილის ტემპერატურა და ამ უკანასკნელის მეოხებით, ღვინო დამახასიათებელ შეფერვას ივითარებს.

ყოველი ჩაზელის შემდეგ, დუღილის ზედაპირსა და ქვევრის პირს შორის მოთავსებული ფართი უნდა გასუფთავდეს სუფთა ჩვრით, რადგანაც იქ დარჩენილი მტევნის მაგარი ნაშილების ნაფლეთები შესაძლოა ძმარმუავას ბაქტერიების განვითარების საუკეთესო არედ იქცეს.


მძაფრი დუღილის დამთავრების შემდეგ (4—5 დღე), ქვევრს ჭანსაღი ღვინით ავსებენ და ჩაზელას აწარმოებენ მანამ, სანამ არ შენელდება გაზის გამოყოფა, ჭაჭა არ ჩაიძი-



რება ჭვევით და ღვინო არ დაიწმენდს. ორი-სამი ჭაველი შემდეგ, როდესაც ღვინოში მცირე ოდენობით იქნება შაქარი და შეჩერდება გაზის გამოყოფა, ჭაჭიდან ღვინის მოხსნას აწარმოებენ; თუ ჭაჭა საღი ყურძნისაა, მაშინ ღვინის გაჩერება მასზე დიდი ხნით — მარტიმდეც კი შეიძლება. ამ პერიოდში ღვინო რომ არ დაძმარდეს, მას სათანადო მოვლა-პატრონობას უტარებენ; სარქველის პირს მოასუფთავებენ, მის ირგვლივ სუფთა მიწის მოზელილ როგორს შემოავლებენ, უხრჩოლებენ გოგირდს და ქვის სარქველს დააფარებენ. სარქველის ზემოდან ფხვიერ მიწას სქელ ფენად აყრიან. ასეთი მოვლა ჭვევრში მოთავსებული ღვინისა, კვირაში ერთხელ წარმოებს. ამასთან ერთად, საჭიროების შემთხვევაში მას საღი ღვინით შეავსებენ.

ჭაჭიდან ღვინის მოხსნას ასე აწარმოებენ: უპირველეს ყოვლისა, ტუმბოს საშუალებით ფრთხილად იღებენ დაწმენდილ თავანკარ ღვინოს და გოგირდნახრჩოლებ კასრში ასხამენ; ამის შემდეგ, ჭაჭაში ჩადგამენ ტირიფისაგან მჭიდროდ დაწნულ გრძელ კონუსის მაგვარ კალათს და მასში შესულ ღვინოს კვლავ ტუმბოთი კასრში გიდაქაჩავენ; ჭვევრში დარჩენილ ჭაჭას ხის ვედროებით იღებენ და კარგად გარეცხილ ჰიდრავლიკულ წნევები წნევენ; პირველ-მეორე წნევების ფრაქციებს ერთად ურევენ და მისგან მასობრივი მოხმარების ღვინოს ამზადებენ. თავანკარი ღვინო ხის კასრში სათანადო პერიოდით მწიფდება, იგი ივითარებს მაღალ გემურ თვისებებს და იწოდება სამარკო ღვინოდ.

ტროფ. გ. ი. ბერიძემ შეიმუშავა კახური ტიპის სუფრის თეთრი ღვინის დაყენების რაციონალური ტექნიკოგიური წესი.



სურ. 9. დურ-დოს ჩასაზელი.

საქართველოს მთავრობის მინისტრის მიერ გადაწყვეტილი დოკუმენტი

ყურძენი იჭყლიტება და დაჭყლეტილი მასა ჰავა დაწყვეტილი მინისტრი წნებით იწნებება. მიღებული ტკბილი, წინასწარი დაწმენდის მიზნით, დიდი ტევადობის ბუტში ან კოდში თავსდება, სადაც ყოველ პექტოლიტრზე ეხრჩოლება 10—18 გ გოგირდი. დაწნებილი ჭაჭა უწყვეტი ქმედების წნებში მუშავდება, რის შემდეგ იგი იყრება 8—10 სმ სისქის ფენით საფერმენტაციო კამერაში და აქ ფერმენტირდება 4—5 საათის განმავლობაში; უწყვეტი ქმედების წნებიდან მიღებული ტკბილი ბუტში ან კოდში იწმინდება.

დაწმენდის შემდეგ ტკბილი ქვევრში ან დიდი ტევადობის რკინა-ბეტონის რეზერვუარში თავსდება; აქ მას უმატებენ 15% ფერმენტირებულ ჭაჭას და 3—4%-ის ოდენობით საფუვრის წმინდა კულტურას.

დუღილის კონტროლი და შემდგომი ოპერაციები წარმოებს ისე, როგორც ეს ზემოთ იყო აღწერილი.

აღნიშნული წესით დამზადებული ღვინო ხასიათდება სასიამოვნო შეფერვით, ძლიერი არომატითა და ხავერდოვანი რბილი გემოთი.

სუფრის წითელი ღვინის დაზენება

წითელი ღვინო თვისებით არსებითად განსხვავდება როგორც ევროპული, ისე კახური ტიპის სუფრის თეთრი ღვინოებისაგან. მაღულარ მასაში წარმოშობილი ალკოჰოლისა. და მაღალი ტემპერატურის წყალობით, მარცვლების კანში არსებული მღებავი ნივთიერებანი განიცდიან გადასვლას ხსნარში და ღვინო მისთვის დამახასიათებელ წითელ ფერს ივითარებს. ასევე, ღვინოში გადადიან კანსა და წიპჭაში არსებული მთრიმლავი ნივთიერებანი, რომელთა შემცველობით მდიდრდება იგი.

მთრიმლავი ნივთიერებანი, კახური ტიპის სუფრის თეთრი ღვინის მსგავსად, მოქმედებენ წითელი ღვინის გემოზე — დამახასიათებელ სიძელგეს ძენენ მას.

სუფრის წითელი ღვინო, ძირითადად, საფერავისა და კაბერნესაგან მზადდება; ყურძენი იქრიფება მაშინ, როდესაც მისი ტკბილის შაქრიანობა 20—25% (ზოგჯერ მეტი). ხოლო მუკვიანობა 5—6% იქნება.

წითელი ღვინის დაყენების ტექნოლოგიური პროცესების
ითვალისწინებს ყურძნის დაჭყლეტას, კლერტის მოცილებას
(მთლიანად ან ნაწილობრივ), სადუღარი კოდების დატვირთვას
დურდოთ, დუღილის წარმოებას, ჭაჭის გამოწენებას და მიღე-
ბული ღვინის საბოლოო დაღუღებას კასრებში.

მაღალხარისხოვანი, სუფრის ნაზი, წითელი ღვინის დაყე-
ნებისას მით უმეტეს, თუ გადასამუშავებელ ნედლეულს მთრი-
მლავი ნივთიერებებით მდიდარი ყურძნენი წარმოადგენს,
კლერტის მოცილება აუცილებელ მოვლენად ითვლება, ხოლო
მთრიმლავ ნივთიერებათა მცირე ოდენობის შემცველი ყურძნის
გადამუშავებისას, კლერტი ნაწილობრივ უნდა მოცილდეს
დურდოს. ორდინალური სუფრის წითელი ღვინოების დაყენე-
ბისას, შესაძლებელია დუღილი დურდოზე ჩატარდეს კლერტ-
თან ერთად. ხშირად წითელი ღვინის დაყენებისას კლერტს
აცლიან დურდოს, ამისათვის დაკრეფილ, დახარისხებულ ყურ-
ძენს ეგროტუმბოში ატარებენ და კლერტგაცლილ დურდოს
სათანადო ჭურჭელში ათავსებენ დუღილისათვის.

დურდოს სადუღარ ჭურჭლად, ძირითადად, გამოყენებუ-
ლია მუხის კოდები, რომელთა ტევადობა, რიგ ფაქტორებთან
ერთად, იმ გარემოს კლიმატური პირობებით განისაზღვრება,
სადაც განზრახულია წითელი ღვინის დაყენება; სადაც გრილი
ამინდია, კოდების ტევადობა შესაძლოა იყოს 500—700 დკლ,
ხოლო მეტად თბილი რაიონებისათვის, მით უმეტეს თუ ხელ-
ვნური სიცივის გამოყენების შესაძლებლობა არა აქვთ, დუღი-
ლისათვის 300 დკლ კოდეს იყენებენ.


დუღილისათვის იყენებენ, აგრეთვე, რკინა-ბეტონისა და
ლითონის რეზერვუარებს. მათთან შედარებით, უპირატესობა
მუხის ტექნისაგან დამზადებულ კოდებს ენიჭებათ.

მუხის კოდები კონუსური ფორმისაა, ისინი შესაძლოა იყოს
თავახდილი და თავდახურული.

თავახდილ კოდში დუღილი შესაძლოა მიმდინარეობდეს
მრტივტივე ან ჩაძირული ჭუდით.

მოტივტივე ჭუდით დუღილისას, ეგროტუმბოდან
მიღებული დურდო თავახდილ კოდში თავსდება მისი მოცუ-
ლობის $\frac{4}{5}$ -მდე და მასვე ემატება საფუვრის წმინდა ჭულტურა

1,5—2%-ის ოდენობით. მძაფრი დუღილის დაწყებისას ჭავჭავაძე
დან შექმნილი მოტივტივე ქუდი ზევით იწევს, რომლის ზედა-
პირზე აღვილად ვითარდებიან ძმრის ბაქტერიები და იქმნება
ღვინის დაძმარების საშიშროება. ამ მოსალოდნელი უარყო-
ფითი მოვლენის თავიდან აცილების მიზნით, დღელამეში ხუთ-
ექვსხერ და, საჭიროების შემთხვევაში, მეტყერაც მიმართავენ
მოტივტივე ქუდის (სურ. 10) ჩაზელას ხის საზელით. გარდა აღ-




სურ. 10. თავახდილი კოდი მოტივტივე ქუდით

ნიშნულისა, მოტივტივე ქუდის ჩაზელით აქტივდება საფუგ-
რების ცხოველმოქმედება, ინტენსიურდება კანიდან მთრიმლავ,
მღებავ და არომატულ ნივთიერებათა გამოწვლილვის პრო-
ცესი, რაც მომავალი ღვინის დადებითი გემური თვისე-
ბების განვითარების ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს.

ჩაძირული ქუდით დუღილი თავახდილ კოდში
ასე ხორციელდება: კოდის სიმაღლის $1/3$ დაშორებით მისი ზე-
და მხრიდან ამაგრებენ ნახვრეტებიან ხის ჩარჩოს (სურ. 11),
რომლის შემწეობით მძაფრი დუღილისას წარმოშობილი მო-
ტივტივე ქუდი ზევით ვერ ადის და ყოველგვარი ჩაზელის
გარეშე მაღუღარ სითხეშია. მაღუღარი სითხე კი თავისთავად

გადავა ხის ნახვრეტებიან ჩარჩოში და ჭაჭის ქუდს ზემოპირულ ექიმია.



სურ. 11. თავახდილი კოდი ჩაძირული ქუდით

დუღილის დაწყებამდე კოდს მცირე დოზით უხრჩოლებენ გოგირდს და ხის სახურავით ხურავენ.

ერთტიხრიანი კოდების გარდა, დუღილისათვის მრავალტიხრიანი კოდები შემოიღეს; ტიხრები ურთიერთისაგან 50 სმ მანძილითაა დაშორებული. ასეთ კოდში დურდოს დუღილი კარგ შედეგს იძლევა.

თავდახურულ კოდში შესაძლოა, აგრეთვე, დუღილის წარმოება მოტივტივე და ჩაძირული ქუდით. თავდახურულ კოდებს მჭიდროდ ხურავენ სახურავით, რომელზედაც გაეკორებულია ხვრელი დურდოს ჩასაყრელად. სახურავის ხვრელში მათ უკეთდებათ ლითონისაგან დამზადებული ჰიდრავლიკური საცობე-



ბი, რომელთა შემწეობით დუღილით გამოყოფილი ნახშირული გას, გაზი გარეთ გამოდის. დახურულ კოდში მოტივტივე ქული, დუღილის პერიოდში, ნახშირმჟავა გაზითაა გაუღენთილი და, ამის გამო, გამორიცხულია მისი დაძმარება-დაუანგვის საშიშროება.

ჩაძირული ქუდით თავდახურულ კოდში დუღილის წარმოებისათვის, კოდში დახვრეტილი ხის ჩარჩო მაგრდება იმგვარად, როგორც ეს თავახდილ კოდის შემთხვევაში იყო აღწერილი. კოდის სახურავზე დატოვებულია ორი ხვრელი, რომელთაგან ერთი დურდოთი მის ავსებას ემსახურება, ხოლო მეორეზე პიღრავლიკური საცობი კეთდება.


კოდის გასავსებად იღებენ დურდოს ჩასაყრელ საძრომს 1, იღებენ ტიხარს 3 და ტიხარამდე მას დურდოთი ავსებენ (სურ. 12). ამის შემდეგ კვლავ მაგრდება ტიხარი და იკეტება დურდოს ჩასაყრელი ხვრელი. ამ მდგომარეობაში კოდი რჩება დუღილის დამთავრებამდე.

ამ მეთოდით ქუდი მდღლიანად ჩაძირულია, ღვინო დაცულია დაძმარებისაგან და დუღილიც შედარებით ნორმალურად მიმდინარეობს.

წითელი დურდოს დუღილის ზემოთ განხილულ წესებს თავიანთი დადებითი და უარყოფითი მხარეები გააჩნიათ. მოტივტივე ქუდით თავახდილ კოდებში დუღილი ხარისხოვანი ღვინის დაყენების საქმეში კარგ შედეგს იძლევა ზომიერი კლიმატის მქონე რაიონებში. ჩაზელვის შედეგად არომატული ნივთიერებებით მდიდრდება ტკბილი, ასევე, ქუდში ძლიერდება ეთეროფიქაციის პროცესები, რის გამოც ღვინო ღებულობს მკვეთრად გამოხატულ არომატს და დაძველებისას სასიამოვნო, ნაზ ბუქეტს ინვითარებს. მეორეს მხრივ, დუღილის აღნიშნული წესი შედარებით შრომატევადი სამუშაოების ჩატარებას თხოვულობს.

თავახდილ კოდში ჩაძირული ქუდით დუღილისას გამოთშულია ჩაზელვის ოპერაცია, რითაც მნიშვნელოვნად მცირდება შრომის ხარჯი. ამ წესით მიიღება საკმაოდ ინტენსიური შეფერვისა და შედარებით სუსტი არომატის მქონე ღვინო; მას ძირითადად იყენებენ ორდინალური ღვინოების დასამზადებლად.

დახურულ კოდებთან შედარებით თავახდილ კოდებში დაგურულ რდოს დუღილისას სპირტისა და არომატულ ნივთიერებების დიღი დანაკარგები მიიღება.



სურ. 12. დახურული საღულარი კოდი დასაშლელი ტიხარით.

თავდახურულ კოდებში დუღილი შედარებით ნელა მიდის და ზოგჯერ ჩერდება კიდეც; ამიტომ საჭიროა საფუვრების გა-აქტივება, რასაც ტკბილის ჰაერაციით აღწევენ. ამისათვის, კოდის ქვედა ონკანიდან ტკბილს გამოუშვებენ და ისევ უკან აბრუნებენ კოდში.

წითელი დუღილოს ნორმალური დუღილისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მაღულარი მასის ტემპერატურას.

ოპტიმალურ ტემპერატურად, ამ შემთხვევაში, 27²⁸ დღის 28-ე კვირაზე
ითვლება.

ძლიერ საშიშ მდგომარეობასთან გვექნება საქმე, თუ დუ-
ლილის ტემპერატურა $36-40^{\circ}$ -მდე ავიდა. ამ შემთხვევაში სა-
ფუვრები წყვეტენ მოქმედებას და დულილიც ჩერდება. ასევე,
დაბალ ტემპერატურაზე (16° -სს დაბლა) მოსალოდნელია დუ-
ლილის შენელება, ობის განვითარება და ღვინოში არასასიამო-
ვნო გემოს წარმოქმნა.

მაღალი ტემპერატურის დაწევა ნორმალურამდე შესაძ-
ლოა მაცივარ-დანადგარებით განხორციელდეს. თუ დულილის
ტემპერატურა დაბალია, რათა დგი აყვანილი იქნეს ნორმა-
ლურზე, მიმართავენ ნაწილი ტკბილის გაცხელებას $30-32^{\circ}$ -
მდე და უკანვე აბრუნებენ კოდში.

წითელი ღვინოების დაყენების დროს სათანადო კონტროლს
საჭიროებს დურდოს დულილი; აქ ძირითადად ყურადღება უნ-
და მიექცეს მაღალარი მასის ტემპერატურისა და შაქრიანო-
ბის ცვლილებებს. ამ მიზნით, დღეში სამჯერ წარმოებს დურ-
დოს დულილისას ტემპერატურისა და შაქრიანობის განსაზღვ-
რა, რის შედეგად აღგენენ დულილის მრუდს. თუ თერმომეტ-
რისა და შაქარომეტრის ჩვენება კოდის დატვირთვიდან 24 სა-
ათის გასვლის შემდეგ უცვლელია, ეს იმას ნიშნავს, რომ დული-
ლი არ მიმდინარეობს, დაუყოვნებლივ უნდა მოიძებნოს
მიზეზი და მიღებულ იქნეს გადამწყვეტი ზომები გამოსწორე-
ბისათვის.

თუ დულილი შეჩერდა მაღალი ან დაბალი ტემპერატურის
მიზეზით, საჭიროა, შესაბამისად ამისა, დურდოს გაცივება ან
გათბობა.

ზოგჯერ დულილის შეჩერების მიზეზს გოგირდოვანი მუა-
ვას ანჰიდრიდი წარმოადგენს. ამ შემთხვევაში უნდა მოხდეს
მაღალარი ტკბილის გადალება განიავების მიზნით და განიავე-
ბული ტკბილის ჩანში დაბრუნება. ამასთანავე, მაღალარ მასას
განმეორებით უნდა დაემატოს გოგირდოვანმუავას შეგუებული
საფუვრის წმინდა კულტურა $2-3\%$ -ის ოდენობით.

მძაფრი დუღილის დამთავრების შემდეგ დურდოდან ლვინის გამოყოფის მომენტი დგება.

დურდოდან ლვინის გამოყოფის დროის დასადგენად ერთ-ერთი გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მისი შეფერვის ინტენსივობას და გემურ თვისებებს. წითელი ლვინო უნდა ხასიათდებოდეს ინტენსიური შეფერვით, სასიამოვნო ჯიშური არომატით და მიმზიდველი გემოთი.

წითელი ლვინის დამახასიათებელი გემური თვისებების განვითარება კი, თავის მხრივ, ძირითადად დამოკიდებულია დურდოს დუღილის ტემპერატურაზე, ვაზის ჯიშზე, ყურძნის ფიზიკურ მდგომარეობაზე, საფუგრის წმინდა კულტურის სახეზე და სხვ.

შედარებით მაღალ ტემპერატურაზე დურდოს დუღილი აჩქარებს ლვინოში მთრიმლავ და მლებავ ნივთიერებათა ხსნადობას. ლვინო ადრე ივითარებს დამახასიათებელ შეფერვას და შესაფერის გემოს. დგება დურდოდან ლვინის გამოყოფის მომენტი. ასევე, დურდოდან ლვინის ნაადრევად გამოყოფის მიმართავენ მაშინ, როდესაც მის დამზადებაში მონაწილეობს დაავადებული ან დასეტყვილი ყურძნი.

საფერავისა და კაბერნეს ჭაჭაზე ლვინის დიდი ხნით გაჩერება უარყოფით გავლენას ახდენს მის გემურ თვისებებზე; ლვინო ზომაზე მეტ მთრიმლავ ნივთიერებებთან ერთად, სიმწკლარტესა და სიმწარეს ლებულობს.

გაუმართლებელია ლვინის ნაადრევად მოხსნა ჭაჭიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში ნაკლები შეფერვისა და მცირე სხეულის მქონე ლვინოს მივიღებთ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ჭაჭიდან ლვინის გამოყოფის ზუსტი დროის დადგენა შეუძლებელია. ყოველივე ეს თხოულობს თავისებურ მიღვომას — რიგი ფაქტორების გათვალისწინებით.

მრავალწლიანი დაკვირვებებით დამტკიცებული იქნა, რომ კახეთში საფერავის ჭაჭიდან ლვინის გამოყოფა კარგ შედეგს იძლევა მაშინ, როდესაც იგი დაუშლელ შაქარს შეიცავს 2-

3%-ის ოდენობით; ასეთი ღვინო კასრში მშთავრებს დურქული და მაღალ გემურ თვისებებს ივითარებს.

დურდოდან ღვინის გამოყოფის პროცესი ასე ხდება: უპირველეს ყოვლისა, ჭაჭის ზედა შრის სისაღეში რწმუნდებიან, თუ მას რაიმე გარეშე სუნი აქვს, ფრთხილად მოაცლიან საერთო დურდოდან.

კოდის ქვედა ონკანის გაღებით ღვინოს ხის გეჯაში ჩამოუშვებენ და კარგად გარეცხილ კასრებში ანაწილებენ. თუ ღვინო დაუშლელი შაქრის გარევეულ ოდენობას შეიცავს, მაშინ იგი განიავებით გადაღებას საჭიროებს, ამით საფურვების ცხოველ-მოქმედება აქტივდება და შაქარიც ბოლომდე იდულებს.

კოდიდან თავისთავად გამოყოფილი ღვინო „თვითნადენის“ სახელწოდებითაა ცნობილი, რომლისგანაც ქართული ღვინო № 4 „მუკუზანი“ და ქართული ღვინო № 2 „თელიანი“ მზადება.

კოდში დარჩენილი დურდო თავისი წონის 60—70%-მდე ღვინოს შეიცავს. ამ შემთხვევაში დურდოდან ღვინის გამოყოფას გამოწევით აწარმოებენ.

დურდოს გამოწევა უმჯობესია ჰიდრავლიკური წნებით განხორციელდეს. კოდიდან ჭაჭა წნებში სპეციალური ტუმბოს საშუალებით გადააქვთ; ჭაჭაზე დაწოლა საწყისში მცირე ძალით წარმოებს, დაწოლის სიძლიერე თანდათან მატულობს. ჭაჭას 3—4-ჯერ აბრუნებენ, როთაც მისგან ღვინის მაქსიმალური ოდენობით გამოყოფას აღწევენ.

ნაწნეს ფრაქციებს იყენებენ ორდინალური ღვინოების დასამზადებლად.

იმერული ტიპის სუფრის თეთრი ღვინო ქიმიურ-ორგანო-ლეპტიკური შეღვენილობით მკვეთრად განსხვავდება როგორც ევროპული, ისე კახური ტიპის ღვინოებისაგან. იღნიშნული განსხვავება შესამჩნევია მაშინაც კი, როცა ამ ტიპის ღვინოების დამზადებაში ვაზის ერთი და იგივე ჭიში მონაწილეობს.

ევროპული ტიპის ღვინოსთან შედარებით, იმერული ტიპის

ღვინო მეტი შეფერვითა და მომეტებული სხეულით ხასიათდება. კახური ტიპის ღვინოსთან შედარებით კი მას ნაკლები ფერვა და მცირე სხეული გააჩნია.

იმერული ტიპის სუფრის თეთრ ღვინოს, ძირითადად, ვაზის ჯიშ ცოლიკოურისაგან ამზადებენ. როველი ტარდება მაშინ, როდესაც ყურძნის ტკბილის შაქრიანობა მიაღწევს 20—22%-ს, ხოლო მუავიანობა — 6 — 7%.

ყურძნის დაკრეფა დახარისხებით წარმოებს, იგი ეგროტუმ-ბოში ტარდება, საიდანაც მიღებული დურდო ჰიდრავლიკურ წნევში თავსდება. დაწნეხვამდე მიღებულ თვითნადენ და წნევის პირველ ფრაქციას ერთმანეთში ურევენ, სადუღარ ჭურჭლებში განაწილებამდე აწარმოებენ მის წინასწარ დაწმენდას ბუტში ან სხვა სახის დიდი ტევადობის ჭურჭელში 12—24 საათის განმავლობაში, ჰექტოლიტრზე 7—8 გ გოგირდის ხრჩო-ლებით.

დაწმენდილი ტკბილი სადუღრად ნაწილდება კარგად გარეცხილ გოგირდნახრჩოლებ ქვევრებში, სადაც მას უმატებენ 2—3%-ის რაოდენობით საფუვრის წმინდა კულტურას და ყოველ ჰექტოლიტრზე 4—5 კგ პლერტგაცლილ ჭაჭას. ქვევრები, როგორც წესი, მთლად არ ივსება და ვტოვებთ ნაკლულ 3—4 დ/ლიტრის ოდენობით.

ამის შემდეგ, ქვევრი უნდა დაიხუროს კარგად გარეცხილ ხის სარქველით, რომელსაც ცენტრში გაკეთებული აქვს ნ. ხვრეტი 30—40 სმ სიგრძის მქონე ლერწმის მილის მოსათავ-სებლად. ამ უკანასკნელის შემწეობით, ხორციელდება დუღილის დროს გამოყოფილი ნახშირმჟავა გაზის გამოსვლა ქვევრი-დან; იგი ფაქტიურად სადუღარი საცობის როლს ასრულებს.

ლერწმის მილს ამაგრებენ სარქველზე, რომელზედაც 10—15 სმ სისქით აყალო მიწას აგლესენ. აყალო მიწის ფენა რომ ძლიერ არ გაშრეს და არ დაიბზაროს, მის ზედაპირზე ფხვიერ მიწას აყრიან 5—10 სმ სისქის ფენით.

ორი-სამი დღის შემდეგ ტკბილი მძაფრ დუღილში შედის; წარმოებს დუღილის კონტროლი. ხარისხოვანი ღვინის მის დებად მაღუღარი მასა ყოველდღიურად უხდა აირიოს; ამით

ძლიერდება საფუვრების ცხოველმოქმედება, შაქარი ბოჭომა უნდა გაითვალისწინოს.

დუღილის დამთავრების შემდეგ, მიმართავენ ქვევრის შევსებას საღი ღვინით. ამ მომენტიდან ჭიჭა ქვევრის ფსკერზე ჭდება და ღვინო დამაკმაყოფილებლად იწმინდება. ჭაჭიდან ღვინის მოხსნას დეკემბრის პირველ ნახევარში აწარმოებენ. ღვინოს გადაიღებენ განიავებით და შემდგომი მოვლა-პატრინობისათვის ათავსებენ კარგად გარეცხილ გოგირდნახრჩოლებ მუხის კასრებში.

დარჩენილი ლექნარევი ჭაჭიდან კი არაყს ხდიან.

დვინის მოვლა

როგორც ზემოთ განვიხილეთ, ყურძნის ტკბილის ალკო-
ჰოლური დუღილი მარნის საღულარ განყოფილებაში იწყება
და მთავრდება.

ამ პროცესის შედეგად წარმოიშობა ღვინო, რომელსაც
თავისი შემადგენლობით კვების პროდუქტთა შორის ერთ-
ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს.

ლექიდან მოხსნის შემდეგ, ღვინოს მუხის კასრებში ასხა-
მენ და სარდაფებში ინახავენ შემდეგი მოვლა-პატრონობისა-
თვის. აქ იგი მწიფებრივი მდგრადი და დამახასიათებელ გემურ
თვისებებს ივითარებს.

ღვინის დამწიფება-დაძველებისას, ერთ-ერთი გადამწყვე-
ტი მნიშვნელობა აქვს სათავსოს ტემპერატურას, რომელსაც
სხვადასხვა ტიპის ღვინო სხვადასხვა მოთხოვნილებას უყე-
ნებს. ასე, მაგალითად, შემაგრებული ღვინოებისათვის ოპტი-
მალურ ტემპერატურად $16-18^{\circ}$ ითვლება, სუფრის თეთრი
ღვინოებისათვის — $7-11^{\circ}$, ხოლო წითლებისათვის — $12-$
 15° . აღნიშნული ტემპერატურის ზღვრები მიწისზედა სათავ-
სოში შესაძლოა დავიცვათ ხელოვნური სიცივის გამოყენებით;
იქ, საღაც ამის საშუალება არ არის, ღვინის შესანახად კეთ-
დება მიწისქვეშა სარდაფები, რომლებშიც ჰაერის ტემპერატუ-
რა ნაკლებ რყევადობას განიცდის.

ტემპერატურის გარდა, დიდი მნიშვნელობა აქვს სათავსოს
ტენიანობას; ღვინის მომწიფება-დაძველებისათვის არც ძლიერ
მშრალი და არც ძლიერ ნესტიანი სარდაფი ვარგა. პირველ
შემთხვევაში, იზრდება აშრობითი დანაკარგები და ღვინი



ზედმეტად იუანგება; მეორე შემთხვევაში კი მოსალოდნებული ღვინის სიმაგრის ნაწილობრივი შემცირება; კასრებსა და სარდაფის კედლებზე ობების განვითარება. აღნიშნული უარყოფითი მოვლენები შესაძლოა თავიდან იქნეს აცილებული, თუ სარდაფი ზომიერი ტენიანობით (80—85 %) ხასიათდება.

რაც არ უნდა კარგ პირობებში მოვათავსოთ ღვინო, თუ იგი მივატოვეთ მოვლა-პატრონობის გარეშე და მისი გემური თვისებების განვითარება ჭურჭელთან ერთად სათავსოს მივანდეთ, ვერასოდეს ხარისხოვან პროდუქტს ვერ მივიღებთ.

ღვინო თავისი განვითარების პერიოდში დიდ ყურადღებას და სათანადო მოვლას საჭიროებს. კარგად მოვლილი ღვინო მაღალი გემური თვისებების მატარებელია, ცუდად მოვლილი ღვინო კი, პირიქით, ივითარებს არასასიამოვნო გემოს და ხშირად ავადდება კიდეც. მარტო ღვინის დაყენება როდი წყვეტს მის ხარისხს. საჭიროა, აგრეთვე, მაღალხარისხოვნად ჩავატაროთ ღვინის მოვლა და ზუსტად დავიცვათ ცალკეულ პერაციათა წარმოების კალენდარული ვადები.

ჭურჭელის ჟევსება

ჭურჭელში დასაძველებლად მოთავსებული ღვინო დროთა განმავლობაში შრება და მოცულობაში იქლებს. აშრობის სიღიდე, სათავსოს კლიმატურ პირობებთან ერთად, დამოკიდებულია ჭურჭლის სახეზე; ხის ჭურჭლის შემთხვევაში, ამ მიმართებით, მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ტკეჩის სისქეს და მის ხარისხს; თუ კასრი დამზადებულია მკვრივი, მცირეფორმიანი ტკეჩისაგან, მაშინ იგი ღვინის დაძველებისას შედარებით მცირე დანაკარგს იძლევა; მსხვილთორიანი და თხელი ტკეჩი კი — პირიქით — ზრდის აშრობით დანაკარგებს.

აშრობის სიღიდე დამოკიდებულია, აგრეთვე, კასრის მოცულობასა და ხნოვანებაზე. რაც დიდი მოცულობისაა კასრი, მით მცირე აშრობით დანაკარგებს იძლევა. მცირე ტევაღობის კასრი შედარებით დიდი ოდენობით იძლევა აშრობით გამოწვეულ დანაკარგებს.



სათავსოს ტემპერატურული პირობებისა და ჭურჭლის გადაცვის შესაბამისად, ზემდებომი ორგანოების დადგენილების მიხედვით, ღვინის აშრობითი დანაკარგები ასე ნაწილდება:

შენახვის პირობები	შენახვის საშუალო ტემპერატურა გრადუსებით			
	15°-მდე	15-20°- მდე	20-25°- მდე	25° -ზე მეტი
სარდაფებში				
კასრის ტარა 120 დეგალიტ- რამდე ტევადობის	2,0—2,1	2,4	2,9	—
ბუტის ტარა 120 დ/ლიტრზე მეტი ტევადობის	1,5	1,8	2,1	—
რკინა-ბეტონის ტევადობანი . ლითონის ტევადობანი	0,7	0,7	0,7	—
	0,1	0,4	0,4	—
შიშისზედა საცავები				
კასრის ტარა 120 დ/ლიტრ ტევადობის	2,6	3,1	3,6	4,2
ბუტის ტარა 120 დ/ლიტრზე მეტი ტევადობის	2,0	2,3	2,6	2,9
რკინა-ბეტონის ტევადობანი . ლითონის ტევადობანი	0,8	1,0	1,2	1,4
	0,5	0,6	0,8	1,0
ღია ცის ქვეშ				
კასრის ტარა 120 დ/ლიტრ. ტევადობის	4,7—5,0	5,7—6,0	6,7—7,07	7,7—8,0
ბუტის ტარა 120 დ/ლიტრზე მეტი ტევადობის	3,5	4,1	4,7	5,5
რკინა-ბეტონის ტევადობანი . ლითონის ტევადობანი	1,0	1,3	1,4	2,1
	0,7	0,9	1,1	1,4

ქვევრის შემთხვევაში, ყველა პირობისათვის, აშრობითი დანაკარგები წლიურად 0,9%-ით განისაზღვრება. ასევე მხედ-ველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ ღვინომასალებისა და ღვინის ხანგრძლივი შენახვისას, ყველა შემთხვევაში, ღამეველების მეორე წელს დანაკარგების ზემოაღნიშნული ნორმები მცირდება 0,2%-ით.

აშრობის შედეგად ჭურჭელში გარკვეული სიცარიელი წარმოიშობა, მას ჰაერის ჟანებადი იკავებს, რითაც ხელსაყ-



რელი პირობები იქმნება აერობული მიკროორგანიზმების გადაცვას; ისინი კი თავის მხრივ ღვინოში სხვადასხვა სახის ავალყოფობებს წარმოქმნიან და მკვეთრად აუარესებენ მის ხარისხს. ამიტომ, საჭიროა საღვინე ჭურჭელი ყოველთვის სავსე მდგომარეობაში ვიქონიოთ, პერიოდულად ჩავატაროთ ღვინის შევსება.

ღვინის შევსება მისი დადუღების პერიოდშივე წარმოებს, ამ შემთხვევაში ეს პროცესი ტარდება 2—3 დღეში ერთხელ და გრძელდება ღვინის პირველ გადაღებამდე. პირველი გადაღების შემდეგ, ღვინის შევსების ვადები, ძირითადად, ჰავრის ტემპერატურაზეა დამოკიდებული. თუ სათავსოს ტემპერატურა 10—12°-ია, ამ შემთხვევაში ღვინის შევსება საკმარისია კვირაში ერთხელ ჩატარდეს; მაღალი ტემპერატურის პირობებში კი კვირაში ორჯერაა საჭირო ღვინის შევსება. საერთოდ, წლის დროის მიხედვით, შესაძლოა დაუყუშვათ, რომ ზაფხულში ღვინის შევსება უნდა მოხდეს კვირაში ერთხელ, ხოლო ზაფხულში ორჯერ. ასეთი ხშირი შევსება ესაჭიროება სუფრის ღვინოებს, რომელთა სიმაგრე 10—15°-ს შორის მერყეობს.

შემაგრებული ღვინოები, რომელთა სიმაგრე 16°-ზე მაღალია, არ საჭიროებენ ხშირ შევსებას; ასეთი ღვინოები სასურველია მოთავსდეს ნაკლულად ჭურჭელში, სადაც ისინი მაღალ გემურ თვისებებს ივითარებენ.


შევსებისას დიდი ყურადღება უნდა მიეჭცეს შესავსებად განკუთვნილ ღვინის ხარისხს, ასეთი ღვინო გულდასმით ისინჯება ორგანოლეპტიკურად და საჭიროების შემთხვევაში უტარდება ქიმიური ანალიზი ძირითად ელემენტებზე. თუ შესავსები ღვინო ოდნავ ვერ აკმაყოფილებს მისდამი წაყენებულ შოთხოვნებს, იგი ამ პროცესის ჩატარებისათვის უვარესიად ითვლება. იგი უნდა იყოს გამჭვირვალე, სავსებით ჯანსაღი, კასრში აჩახებული ღვინის ჯიშისა და ხნოვანების მქონე. შესავსებად შესაძლოა უფრო ძველი ღვინის გამოყენება; წინააღმდეგ შემთხვევაში, ე. ი. ახალი ღვინით ძველი ღვინის შევსება ყოვლად მიუღებელი და გაუმართლებელია; თუ არ დავიცავთ ამ შესს და ახალი ღვინით შევავსებთ ჭურჭელს, არასასურველ შედეგს მივიღებთ: ღვინოს გავამდიდრებთ ამღვრეული სხეუ-

შემონავთა
უმაღლესობის

ლით და არასასიამოვნო მიკროორგანიზმებით, რომელთა შემონავთა
ცველობით არასოდეს არაა დაცული ახალგაზრდა ლვინო.

შესავსები ლვინის შერჩევის შემდეგ იწყება ჭურჭლის შევ-
სება. თვით შევსების პროცესი მეტისმეტი სიფრთხილით უნდა
ჩატარდეს. უპირველეს ყოვლისა, მოწმდება ლვინის ზედაპირი
ობის ან ბრჯის განვითარების მიმართ. თუ ასეთი იქნა — აუცი-
ლებელია ლვინის გადალება კარგად გარეცხილ გოგირდნახერ-
ჩოლებ ჭურჭელში. საღი ზედაპირის მქონე ლვინოს დაუყოვ-
ნებლივ ავსებენ. ლვინის შევსება იმგვარად უნდა მოხდეს, რომ
იგი არ გაღმოიღვაროს ჭურჭლიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში,
დანაკარგებთან ერთად, სათავსოს სანიტარულ-ჰიგიენური პი-
რობების დარღვევას მივიღებთ.

ამ პროცესის შესასრულებლად კარგ შედეგს იძლევა ალუ-
მინის ან სპილენძისაგან დამზადებული სპეციალური შემვსები
(სურ. 13).



სურ. 13. ჭურჭლის შესავსები ხელსაწყო

შევსების შემდეგ, კასრებს უკეთდება კარგად გარეცხილი
ხის საცობები, საცობის-ზედა ნაწილი და მის ირგვლივ მდება-
რე კასრის ზედაპირი სასურველია სპირტიანი ჩვრით მოსუ-
ფთავდეს. ამასთან ერთად, კვირაში ერთხელ — ყოველ შა-
ბას — ლვინის სარდაფს გოგირდი უნდა ეხრჩოლოს კვადრა-
ტულ მეტრზე 30 გ ოდენობით. დახრჩოლებული გოგირდის
ეფექტური მოქმედებისათვის კარ-ფანჯრები მჭიდროდ უნდა
დაიკეტოს. თუ სარდაფში მეორე დღეს გათვალისწინებულია

რაიმე სამუშაოს შესრულება, მომუშავე პერსონალის განმახაზული
თელობაზე უარყოფითი გავლენა რომ არ მოახდინოს გოგირ-
დოვანი მუავას ან პიღრიდმა, მუშაობის დაწყებამდე კარ-ფანჯ-
რებს აღებენ და ორი საათის განმავლობაში ანიავებენ.

სათანადო შევსებას საჭიროებს, აგრეთვე, ქვევრში მოთავ-
სებული ღვინო; მართალია, ხის ჭურჭელთან შედარებით, ქვევ-
რი ნაკლებ დანაკარგებს იძლევა, მაგრამ იგი მაინც საჭიროებს
შევსებას.

შევსების წინ ქვევრის სარქველი ფრთხილად იხდება და
მასში ღვინის ღონე მოწმდება; ასეთი ოპერაცია სასურველია
კვირაში ერთხელ ჩატარდეს.

თუ ქვევრში ღვინის ღონე ნორმალურია, მაშინ მას არ ავ-
სებენ, წინააღმდეგ შემთხვევაში, წარმოებს მისი შევსება საღი
ღვინით. ქვევრის პირის მომშრალება საჭიროა სუფთა, მშრალი
ტილოთი და გოგირდის ხრჩოლება; ამის შემდეგ ქვევრს კარ-
გად გარეცხილი სარქველი უკეთლება და ამ უკანასკნელზე
პირდაპირ აყრიან ფხვიერ მიწას, როგორც ეს აღმოსავლეთ
საქართველოშია მიღებული, ან ჯერ აყალო მიწა იგლისება და
შემდეგ ფხვიერი მიწა ეყრება:

თუ ქვევრები მოთავსებულია დახურულ შენობაში, კვირაში
ერთხელ აწარმოებენ მის დეჭინფექციას გოგირდის ხრჩო-
ლებით

ღვინის გადაღება

ღვინის გადაღება მიზნად ისახავს ლექიდან მის მოცილებას.
ღვინის გადაღების აუცილებლობა რიგი მიზეზებითაა გამო-
წვეული. ასე, მაგალითად, პირველი გადაღების მიზეზს დადუ-
ღების შედეგად გამოყოფილი საფუვრის ლექიდან ღვინის მო-
შორების აუცილებლობა განაპირობებს.

ნააღრევად ღვინის გადაღებას მიმართავენ მაშინ, როდესაც
სურთ მას შერჩეს სასიამოვნო სიტყბო. ამ შემთხვევაში ღვინის
გადაღება უნდა მოხდეს მასტერილებელ ფილტრში გატარე-
ბით.

ღვინის გაწებვის შემდეგ, მიმართავენ, აგრეთვე, მის გადა-



ლებას, რათა გამწებავ ნივთიერებათა ლექმა უარყოფითად იმოქმედოს პროდუქტის ხარისხზე. ასევე, ღვინის აერირებისათვის საჭიროდ თვლიან მის გადალებას. სატრანსპორტოდ გამზადებისათვის წარმოებს, აგრეთვე, ღვინის გადალება.

გადალებისას გარკვეული ყურადღება უნდა მიექცეს ამ პროცესის ჩატარების ვადებს. განსაკუთრებული სიფრთხილით და წინდახედულობით უნდა განვსაზღვროთ საფუვრის ლექიდან ღვინის მოხსნის — ე. წ. პირველი გადალების ვადა. ამისათვის, მხედველობაშია მისაღები ვაზის ჯიში, რთველის ხანგრძლიობა, დასადუღებელი ტკბილის შაქრიანობა, დადუღების ხარისხი, ღვინის ქიმიური შედგენილობა და მისი სისალე.

თუ რთველი გახანგრძლივდა რაიმე ხელშემშლელი მიზეზების გამო, მაშინ ღვინის გადალება შედარებით გვიან წარმოებს. ასევე, გახანგრძლივებული დუღილის შემთხვევაში გვიანდება პირველი გადალების პროცესი.

თუ ღვინო მიღებულია საღი ყურძნისაგან, ტკბილის დადუღების შემდეგ, მისი გაჩერება საფუვრის ლექზე დეკემბრის შუა რიცხვებამდე შეიძლება.

აღნიშნულს საფუძვლად დაედო შემდეგი: საფუვრები დუღილის პროცესში აგროვებენ ცხოველურ სახამებელს — გლიკოგენს; იგი დროთა განმავლობაში თვით იშლება (ავტოლიზი) და წარმოიშვება სპირტი; ამ მხრივ, ღვინის სიმაგრე ცოტად თუ ბევრად მატულობს, სპირტთან ერთად წარმოიშვება სხვა პროდუქტები, რომლებიც აძლიერებენ ღვინის არომატს, რბილ, სასიამოვნო გემოს ძენენ მას.

პირველი გადალებისას ღვინო შესაძლოა არ იყოს მთლიანად გამჭვირვალე; ღვინის დროული გადალება პირველად ხელს უწყობს მის გამჭვირვალობას — მომწიფებისას.

მეორედ ღვინის გადალება თებერვალ-მარტში ტარდება. პირველი გადალებიდან მეორე გადალებამდე ღვინო საქმაოდ იწმინდება; მექანიკური ნაწილაკები ჭურჭლის ფსკერზე ილექებიან და, ამასთან ერთად, მთავრდება ნახშირმუავა გაზის გამოყოფა.

ღვინის მეორე გადალებამდე წარმოებს მისი ქიმიური, ორგანოლექტიკური და მიკრობიოლოგიური რკვევა; ღვინოში და-



უშლელი შაქარი 0,1%-ზე მეტი არ უნდა იყოს; ასევე, თავის უნდა იყოს იგი მავნე მიკროორგანიზმებისაგან, მას უნდა ქონდეს დამახასიათებელი შეფერვა, გამჭვირვალობა და სასიამოვნო გემური თვისებები. თუ ღვინოში ზომაზე მეტი შაქარია, მას გადაღების შემდეგ სათანადო პირობები უნდა შევუქმნათ სრული დაღუღებისათვის. თუ შიგ შენიშნული იქნა მავნე მიკროფლორა, ღვინო უნდა გადავიღოთ კარგად გარეცხილ, ჭარბი ოდენობით გოგირდნახრის ჭურჭელში.

მესამედ ღვინოს აგვისტო-სექტემბერში გადაიღებენ, ხოლო მეოთხედ — დეკემბერში.

ღვინის გადაღებისათვის რაც შეიძლება წყნარი და გრილი ამინდი უნდა შევარჩიოთ; ცხელ ამინდში ღვინის გადაღება არაა მიზანშეწყნილი, წინააღმდეგ შემთხვევაში მივიღებთ სპირტის მომეტებულ დანაჯარებს და, ამასთან ერთად, ადგილი ექნება ზედმეტად ღვინის დაუანგვას.


თუ ძლიერი ქარის ღროს გადავიღეთ ღვინო, შესაძლებელია მასში მიწის მტვერი ან სხვა რაიმე არასასიამოვნო მინარევები მოხვდეს.

გადაღების ორი წესი არსებობს: ღია და ღახურული. ახალგაზრდა ღვინის შემთხვევაში მიმართავენ მის ღია გადაღებას. ქველ ღვინოს, რომელზედაც ჰაერის ჟანგბაღის შემდგომი მოქმედება უარყოფით მოვლენებს იწვევს, დახურულად — რაც შეიძლება ჰაერმიუქარებლად გადაიღებენ.

ღია გადაღებისას ჭურჭელს ლექის ზემოთ უკეთდება ონკანი, ღვინო გეჯაში გროვდება, საძალაც იგი ელექტროტუმბოს შემწეობით ნაწილდება კარგად გარეცხილ, გოგირდნახრის ჭურჭლებში.

ღახურული გადაღება სიფონის შემწეობით წარმოებს; სპილენძისაგან დამზადებულ მაკალულ სიფონს ფრთხილად ჩაუშვებენ გადასაღები ღვინით სავსე კასრში ისე, რომ მისი ქვედა თავი 5—6 სმ-ით დაშორდეს ჭურჭელში გამოყოფილ ლექს. რეზინის შლანგის მეორე ბოლოს, რომელსაც სპეციალური ონკანი აქვს, ცარიელი ჭურჭლის საშპუნტე ხვრელში ჩადებენ და ელექტროტუმბოს მუშამდგომარეობაში მოიყვანენ. ამ ღროს წარმოებს ჭურჭლის შევსების კონტროლი, იგი

უნდა შეივსოს ისე, რომ ღვინის დაღვრას არ ექნეს ადგილი.
 დახურული გადაღებისას იყენებენ, აგრეთვე, ნახშირმჟავა გა-
 ზის წნევას (სურ. 14). ბალონიდან ნახშირმჟავა გაზი შედის
 გადასაღებ ღვინოში და წნევით გადააქვს იგი ზემოთ მდებარე
 კასრებში.



სურ. 14. CO_2 -ის წნევით ღვინის გადაღება

გადაღების შემდეგ ღვინით სავსე კასრებს უკეთდებათ კარ-
 გად გარეცხილი საცობები და ამ მდგომარეობაში რჩებიან შე-
 მდგომი მოვლა-პატრონობისათვის. სუფთა ღვინოსაგან გაც-

ლილ კასრებს კი ჩამოიღებენ ლაგირიდან, კარგად ანჯლრევენ მათ და ათავისუფლებენ ლექისაგან. კასრები მიდის გასტატურა
ხად, ხოლო ლექებს აგროვებენ ერთად და რამდენიმე ხნის შე-
მდეგ აწარმოებენ მათგან გამოყოფილი სუფთა ღვინის გადა-
ლებას სხვა ჭურჭელში.

ღიღი ტევადობის ბუტიდან, ღვინის გადაღების შემდეგ,
ალებენ მასში შესასვლელ კარს, რათა იგი განთავისუფლდეს
ნახშირმჟავა გაზისაგან. ვიდრე მის გარეცხვას შეუღებოდნენ,
იყვლევენ მასში ნახშირმჟავა გაზის არსებობას, თუ ბუტში შე-
ტანილი ანთებული სანთელი არ ჩაქრა, ეს მიუთითებს მასზე,
რომ იგი თავისუფალია ნახშირმჟავა გაზისაგან და შეიძლება
მისი გარეცხვა; წინააღმდეგ შემთხვევაში კვლავ აგრძელებენ
ბუტის განიავებას, ვიდრე არ მოშორდება მას ნახშირმჟავა
გაზი.

შემაგრებული ღვინოების გადაღებისას ყოვლად დაუშევე-
ბელია ბუტში ანთებული სანთლის შეტანა; ამან შესაძლოა გა-
მოიწვიოს მის კედლებზე დარჩენილი სპირტის ააღება და არა-
სასიამოვნო მოვლენები.

ქვევრიდან ღვინის გადაღება სიფონის შემწეობით ტარდე-
ბა. ღვინის გადაღების შემდეგ, წარმოებს ლექის ამოღება ქვე-
ვრიდან. თუ პატარა ქვევრია, ლექის ამოღებას მის პირას
მდგომი მუშა სპეციალური ხაპირით აწარმოებს, შემდეგ
ქვევრს რამდენჯერმე ამორეცხავენ ცივი წყლით, შეამშრა-
ლებენ და გოგირდს უხრჩოლებენ.

ღიღი ტევადობის ქვევრიდან ლექის ამოსაღებად მუშა ჩა-
დის შიგ, ლექით ავსებს ჭურჭელს და აწვდის ქვევრის ზემოთ
მდგომ მუშას. ვიდრე ქვევრში ჩავიდოდეს, მუშა ამოწმებს
მასში ნახშირმჟავა გაზის შემცველობას; ეს ოპერაცია წარმო-
ებს ისე, როგორც ხის ბუტის შემთხვევაში იყო აღწერილი.

ღვინის გაფილტვრა

ყურძნის ტკბილის ალკოჰოლური დუღილის დამთავრების
შემდეგ ღვინო ჭერ კიდევ მღვრიე მასას წარმოადგენს. მასში
ატივტივებულ მდგომარეობაშია საფუვრები, ბაქტერიები, ცი-

ლოვანი ნივთიერებანი, ზოგიერთი მექანიკური მინარევის დაცვული სხვა.

მღვრიე ღვინო ბუნებრივ პირობებში მოთავსებული ღრო-
თა განმავლობაში იწმინდება და გამჭვირვალე ხდება. გაწმენ-
დის სიჩქარე, რიგ ფაქტორებთან ერთად, დამოკიდებულია
ღვინის ქიმიურ შედგენილობაზე და იმ ყურძნის ფიზიკურ
მდგომარეობაზე, რომლის ნედლეულს იგი წარმოადგენდა.

ღვინო, რომელიც მიღებულია ჯანსაღი ყურძნიდან და ახა-
სიათებს ხალისიანი მაღალი სიმჟავე, იდვილად იწმინდება, ვი-
დრე დაავადებული ყურძნიდან მიღებული დაბალმჟავიანი
ღვინო. ასევე ნელა მიმდინარეობს იმ ღვინის გაწმენდა, რომე-
ლიც დაუშლელი შაქრის გარკვეულ რაოდენობას შეიცავს.

რა შედგენილობისაც არ უნდა იყოს ღვინო, მისი ბუნებრი-
ვად გაწმენდა დიდ ღროს მოითხოვს. ამიტომ მის გაწმენდას
აჩქარებენ ხელოვნური ჩარევის გზით, მით უმეტეს მაშინ,
როდესაც საქმე გვაქვს ორდინალურ ღვინოებთან, რომელთა
გამოშვება შედარებით მოკლე ღროშია განზრახული.

სიმღვრივისაგან ნააღრევად ღვინის განთავისუფლება და-
დებით შედეგებს იძლევა მისი ხარისხის გაუმჯობესების საქმე-
ში; ღვინო ღებულობს დამახასიათებელ სუფთა გემოს, გამჭვი-
რვალობას, სიხალისეს და, ამასთან ერთად, გამძლეობას იჩენს
დარჩენილ მიკროორგანიზმთა მიმართ.

ღვინის ხელოვნურად გაწმენდა წარმოებს გაფილტვრით და
გაწებვით.

თვით გაფილტვრის არსი მდგომარეობს მასში, რომ ღვინო
მეტად წვრილი ფორების მქონე ტიხარში გატარებით მის ზე-
დაპირზე ტოვებს ამმღვრევ სხეულებს და გამჭვირვალე ხდება.

გაფილტვრა არამარტო გამჭვირვალობას სძენს ღვინოს,
არამედ არეს ათავისუფლებს იმ მიკროორგანიზმებისაგან, რო-
მელთაც შესწევთ უნარი განაგრძონ ცხოველმოქმედება, კვლავ
აამღვრიონ იგი ან, თუ ხელსაყრელი პირობები შეექმნათ, გა-
მოიწვიონ მისი დაავადება სხვადასხვა ინფექციური ავადყო-
ფობით.

გაფილტვრით შესაძლებელია, აგრეთვე, ახალგაზრდა, ჯერ
კიდევ დაუდულარ ღვინოს მოვაშოროთ საფუვრები და საჭი-
როებისამებრ მას შევუნარჩუნოთ სასიამოვნო მოტქბო გემო.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის მინისტრის მიერაცხვა

ამ მეთოდს ხშირად მიმართავენ ბუნებრივად ტკბილი დამატებისას.

გაფილტვრის შედეგი, ღვინის გამჭვირვალობის მხრივ, ბევრადაა დამოკიდებული ამ პროცესის თეორიული და პრაქტიკული საკითხების ცოდნასა და გამოცდილებაზე.

პროცესის დაწყებისას ღვინო კვლავ მღვრიუ მოედინება. ეს მოვლენა გრძელდება მანამ, სანამ ფილტრის ფორმები არ გაიგლისება ისე, რომ შესძლოს ამმღვრევი სხეულების დაჭერა და თავის ზედაპირზე მოთავსება.

უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ გაფილტვრის შედეგი — გამჭვირვალობის ხარისხი, ზემოთქმულის გარდა, დამოკიდებულია თვით ღვინის ფიზიკურ მდგომარეობაზე, მის სისალეზე; ასე, მაგალითად, ლორწოვანი ღვინო მისი წინასწარი დამუშავების გარეშე არ იფილტრება, ამ შემთხვევაში კოლოიდები ხელს უშლიან ფილტრის შორმალურ მუშაობას და მასში გატარებული ღვინოც ნაკლები გამჭვირვალობით ხასიათდება. ასეთ შემთხვევაში რომ ფილტრაცია შედეგიანად დამთავრდეს, საჭიროა ღვინო წინასწარ გაიწებოს, რის მეოხებითაც იგი განთავსებულდება ე.წ. დამცავი კოლოიდებისაგან.

ამასთან ერთად, გაფილტვრა ყველა შემთხვევაში ერთნაირი სიჩქარით არ მიმდინარეობს. მისი სიჩქარე, რომელიც გამოხატავს ღროის ერთეულში გამფილტრავი ფენის 1 კვადრატულ მეტრზე გატარებული ფილტრატის რაოდენობას, დამოკიდებულია წნევაზე, ჟულტრზე არსებული ნალექის ფენის სისქეზე, ნალექის კონსისტენციაზე, სითხის ტემპერატურაზე და სხვა.

ჩამოთვლილ ფაქტორთა რეგულირება ხელს უწყობს. გაფილტვრის პროცესის ნორმალურ მიმდინარეობას.

გამფილტრაციის მასალები

გამფილტრავი მასალები მფილტრავი შრის შექმნას განპირობებენ. მათი დანიშნულებაა ღვინოში გახსნილ ნივთიერებათა გატარება და მის ზედაპირზე მექანიკური ნაწილაკების დაკავება.



გამფილტრავი მასალები არავითარ გარეშე სპეციფიკურ და გემოს არ უნდა ქენდლენ ღვინოს; ამ მოთხოვნილებას კარგისად აკმაყოფილებს აზბესტი, თიხა, ცელულოზა, დიატომიტი და სხვა. მათ შორის ფართო გამოყენება ქვეს ქრიზოტილის აზ-ბესტს; მფილტრავი ბადის გამტარუნარიანობის გადიდებისა და მისი ეფექტური მოქმედებისათვის გამფილტრავ მასალად ხშირად ქრიზოტილის აზბესტისა და ცელულოზის ნარევს იყენებენ. იგი უნდა იყოს თეთრი ფერის, მექანიკური მინარევებისა და გარეშე სუნისაგან თავისუფალი. ამისთანავე, უნდა ახასიათებდეს ნეიტრალური ჩეაქცია, თანაბრად ნაწილდებოდეს ფილტრის ბადეზე და საჭიროების შემთხვევაში, კერძოდ, მუშაობის დამთავრების შემდეგ, ადვილად ცილდებოდეს მას.

ც ი ლ ტ რ ა ბ ი

გამფილტრავი მასალის მიხედვით, მეღვინეობის მრეწველობაში სხვადასხვა სახის ფილტრები გამოიყენება. მათ შორის ღილი გავრცელება ჰპოვა ქსოვილებიანმა და აზბესტიანმა ფილტრებმა.

ქსოვილებიანი ფილტრების უმარტივესი წარმომადგენელია ტილოსაგან დამზადებული კონუსისებრი ფორმის პარკი, რომელიც ხის ჩარჩოზეა ჩამოკიდებული. პარკის ტევალი 20—30 ლიტრია. ეს ფილტრი ძირითადად გამოიყენება ლექის ან სარდაფში მორჩენილი მცირე ოდენობა ღვინის გასაფილტრავად.

ფილტრის ქვემოთ კარგად გარეცხილ ჭურჭელს დგამენ გაფილტრული ღვინის შესაგროვებლად.

ფილტრაციის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, პარკის ფორებს უელატინით ან აზბესტით გაგლესენ; ყოველი პარკისათვის 20—25 გ უელატინია საჭირო. აზბესტის შემთხვევაში იღებენ 8—10 გ ოდენობით; უელატინს გახსნიან მცირე ოდენობის თბილ წყალში, მას უმატებენ 3—4 ლიტრ ღვინოს და კარგად ურევენ ერთგვაროვანი მასის მიღებამდე. მსგავსადვა

ამზადებენ აზბესტის ნარევს წყალსა და ღვინოსთან. უფრო ტინიან ან აზბესტნარევ ღვინოს ასხამენ პარკში და სწრაფადვე ავსებენ მას გასაფილტრავი ღვინით.

ღვინო პირველად ამღვრეული გამოვა პარკიდან, ვიდრე მისი ფორები გამფილტრავი მასალით არ გაიგლისება. მღვრიე ღვინოს უკანვე პარკში ასხამენ და მას ხელახლა ფილტრავენ. ამ ოპერაციას იმეორებენ მანამ, სანამ სუფთა ღვინო არ დაიწყებს პარკიდან დენას.

პარკში ღვინო ერთ და იმავე დონეზე უნდა იღეს. ღვინის დამატებისას პარკის შენჯლრევას ერიდებიან, რათა არ მოხდეს მის კედლებზე მყოფი გამფილტრავი ფენის მოცილება და ამმღვრევ სხეულებს არ მიეცეთ საშუალება ფილტრატში გასვლისა. დროთა განმავლობაში, ფილტრის მუშაობისას, პარკის ფორები ძლიერ იბინდება და მისი გამტარუნარიანობა ეცემა. ამისათვის პარკში მყოფ დარჩენილ ღვინოს გადმოლვრიას, ჯავრისით პარკს კარგად გარეცხენ, ფორებს კვლავ უელატინით ან აზბესტით გაგლესენ და ფილტრაციას აგრძელებენ.

სენებულ ფილტრში გატარებული ღვინო ზედშეტ აერაციას განიცდის და ზოგჯერ ქსოვილის გემოს იქნება კიდეც. ეს ფილტრი დროთა განმავლობაში გაუმჯობესებული იქნა ჰოლანდიაში. მისი მუშაობის პრინციპი იგივეა. მასში გატარებული ღვინო დიდ აერაციას არ განიცდის და ამ მიმართულებით უკეთესი შედეგიც მიიღება.

ჰოლანდიური ფილტრი შედგება სამფეხზე დაღმული მოკალული ცილინდრისაგან. ცილინდრს ზევიდან დადგმული აქვს ცილინდრული რეზერვუარი, რომლის ფსკერზე გაყრილ სპილენძის მოკლე მილაკებზე (6—10 ცალი) დაბავრებულია ტილოს ვიწრო და გრძელი პარკები; ამ უკანასკნელთა შემწეობით წარმოებს ღვინის გაფილტრა. პარკების ფორების გასაგლესად ე. წ. გამფილტრავ მასალად აქ კვლავ უელატინი ან აზბესტია გამოყენებული.

საფილტრაციო ღვინო რეზერვუარში ისხმება, საიდანაც იგი პარკებში მიედინება და გაფილტრული გროვდება მიმღებ ჭურჭელში.

მსგავსად ზემოაღნიშნულისა, თუ ფილტრის პარკები უკავშირდება რები ძლიერ გაიბინდა და გამტარუნარიანობა შემცირდა, შას დაშლიან, პარკებს კარგად გარეცხენ, კვლავ მოათავსებენ ცილინდრში და ჟელატინის ან აზბესტის ნაზავის შემწეობით ფილტრაციას გააგრძელებენ.

სიმონენტონის ფილტრი „ფორტიორი“ — ზემოთ განხილულ ფილტრებთან შედარებით გაუმჯობესებული კონსტრუქციისაა. იგი შედგება ცილინდრისაგან, რომელიც დაღმულია ჩარჩოზე. ცილინდრში მოთავსებულია, როგორც გამფილტრაცი საშუალება, ტილოსაგან. დამზადებული დანაოჭებული პარკები, რომელთაგან ერთი უფრო გრძელი და ფართოა; ამ უკანასკნელის ქვემოთა ნაწილში მოთავსებულ ხვრელში ჩადგმულია სპილენძის ბადე, რომელშიც თავსდება მოკლე პარკი.

პარკების ფორების გასაგლესად ხმარობენ თევზის წებოს, ჟელატინს ან ინფუზორიულ მიწას.

სიმონენტონის ფილტრი „უნივერსალი“ შედარებით დღდი წარმადობისაა და, ამასთანავე, ღვინოს ჰეტულად ფილტრავს.

აპარატის ძირითად ნაწილს სპილენძის მოკალული ცილინდრი წარმოადგენს. გამფილტრავ მასალად აქ გამოყენებულია ბამბის ქსოვილისაგან დამზადებული რგოლები, რომლებიც ჩამოცმულია ცილინდრში არსებულ მილზე.

ფილტრის წარმადობა, ძირითადად, დამოკიდებულია ქსოვილის რგოლთა რაოდენობაზე. რაც მეტია ისინი, ფილტრიც მეტი გამტარუნარიანობით ხასიათდება. მუშაობის დამთავრების შემდეგ, ფილტრი გულდასმით უნდა გაირეცხოს წყლის ნაკადით, გამფილტრავ რგოლებზე არსებული ნალექის მოსაშორებლად.

აზბესტიან ფილტრებს შორის თავისი მარტივი კონსტრუქციით გამოირჩევა ზეიცის ცილინდრული საწნეხი ფილტრი. იგი სპილენძის ან რეინის მოკალულ ცილინდრს წარმოადგენს, რომლის გვერდებზე მოთავსებული სახელურების დახმარებით ხორციელდება აპარატის ადგილიდან ადგილზე გადატანა. აპარატის ქვემოთ მოთავსებული ონკანი გაფილტრული ღვინის



გამოშვებას ემსახურება. მის ზემოთა ნაწილში მოთავსებულია ტივტივა და ღვინის შემშვები ონკანი. ცილინდრში მოთავსებულია ვიწრო ცილინდრი, რომლის ქვედა ნახევარს მოკალული ან მოვერცლილი საცრისებრი წმინდა ბადე წარმოადგენს. ამ საცერს სიმტკიცეს აძლევს და მექანიკური დაზიანებისაგან იცავს მსხვილი მავთულისაგან დამზადებული მოკალული ბადე. აქ გამფილტრავ მასალას აზბესტი წარმოადგენს. ღვინოში 15—150 გ აზბესტს თქვეცენ და ასეთ ერთგვაროვან ნარევს ფილტრში ასხამენ. გასაფილტრავი ღვინო სათანადო ჭურჭლით აპარატის ავტომატურ ონკანს უერთდება. ონკანის შემწეობით ღვინის დონე ფილტრში ერთი და იგივეა.

მუშაობის დამთავრების შემდეგ ფილტრს კარგად რეცხენ და ინახავენ სუფთად მოხმარებამდე.

ფილტრი „ფურკა“ სპილენძისაგან დამზადებულ ოთხკუთხა ყუთს წარმოადგენს.

ღვინის გაფილტრა წარმოებს ტრაპეციის მაგვარ ორმაგ-საცრიან ჩარჩოებში. საცრები დამზადებულია სპილენძის მოვერცხლილი მავთულისაგან. იგი იხმარება უმთავრესად ტებილი ღვინოების გასაფილტრავად, თუმცა სუფრის ღვინოების შემთხვევაშიც სასურველ შედეგს იძლევა.

ფილტრს მარეგულირებელი ონკანი აქვს, რომლის შემწეობით ხორციელდება ღვინის ავტომატურად მიღება და პროცესის ნორმალური მიმდინარეობა. ჩარჩოების რიცხვის მიხედვით, „ფურკას“ გამტარუნარიანობა, რვა საათში, 6-დან 160 ჰ/ლიტრამდეა.

ფილტრი „გიგანტი“ ფართო მაშტაბითაა გამოყენებული მეღვინეობის მრეწველობაში. იგი სპილენძის ან თითბერისაგან დამზადებულ ოთხკუთხა რეზერვუარს წარმოადგენს, რომელიც დამაგრებულია ბორბლებზე და ამ უკანასკნელთა შემწეობით გაადვილებულია აპარატის გაღატანა ადგილიდან აღგიღილზე.

რეზერვუარი ჰერმეტულად იხურება გუმბათისებრი სახურავის შემწეობით. რეზერვუარში თავსდება 5 (ან მეტი) ჩარჩო, რომლებზედაც მოკალული ან მოვერცხლილი საცრე-

ბია გადაკრული. ხუთჩარჩოიანი ფილტრისათვის, როგორიცაა მასალა, 400 — 500 გ აზბესტია საჭირო.

ფილტრი „ჰერკულესი“, „გიგანტის“ მსგავსად, სპილენძის მოკალული ოთხკუთხა რეზერვუარისაგან შედგება. „გიგანტისაგან“ განსხვავებით, „ჰერკულესის“ გვერდითი კარი აქვს, რითაც საგრძნობლად გააღვილებულია მისი მოხმარება.

ეს ფილტრი ღვინოს კარგად წმენდს. მუშაობის დამთავრების შემდეგ, ფილტრის ცალკეულ ნაწილს გულდასმით რეცხენ, აშრობენ და ინახავენ მშრალ ადგილას შემდგომ მოხმარებამდე. „გიგანტი“ და „ჰერკულესი“ კარგად წმენდს როგორც სუფრის, ისე შემაგრებულ ღვინოებს.

ფილტრები „კომეტა“ და „კამერ-კომეტა“ ღვინის გაფილტვრას ჰაერმიუკარებლად აწარმოებენ; ამიტომ ისინი ფართოდ გამოიყენება მომწიფებული, ბოთლებში ჩამოსასხმელად განკუთვნილი ღვინოების გასაფილტრავად.

ორივე ფილტრის ღვინოსთან შემხები ლითონის ნაწილები მოვერცხლილია.

„კომეტა“ სამფეხზე დადგმულ თასს წარმოადგენს, მასზე მრგვალი საცერია მოთავსებული. ამ უკანასკნელის ზემოთ კი დამცველი ცხრილი ძევს. ცხრილს ზემოთ დადგმულია ფართო რგოლი სახურავით. მუშაობის დაწყების წინ ფილტრი გულდასმით გარეცხვას საჭიროებს.

კონსტრუქციისდა მიხედვით, „კომეტას“ საცრების ფორების ამოსაცვებად 20—80 გ აზბესტია საჭირო. „კამერ-კომეტა“ კონსტრუქციით „კომეტას“ მსგავსია. მისგან განსხვავებით იგი ღიღი ზომისაა და, ამასთანავე, აზბესტის მასა რამდენიმე საცრით ორ-სამ ფენადაა გაყოფილი.

სარდაფის მეურნეობაში ფართოდ იყენებენ სტერილურ ფილტრს „ЕК“-ს. იგი გარდა იმისა, რომ წმენდს ღვინოს, მასვე აცილებს აგრეთვე მიკროორგანიზმებსაც. მისი ფირფიტები ძლიერ ვიწრო ფორმებისაგან შედგება, მასში ვერ ატანენ მიკროორგანიზმები და ამმღვრევ სხეულებთან ერთად ფირფიტების ზედაპირზე იღებებიან. ამ ფილტრს ხმარობენ, აგრეთვე, ყურძნის წვენის დასაკონსერვებლად; მასში გატარებული

ყურძნის წვენი თავისუფლდება საფუვრებისაგან და დიდი ხნით ინახება აუდუღარ მდგომარეობაში. ფილტრის ფირფიტა ძლიერ რომ არ გაიგლისოს ამმდვრევი სხეულებით, გასაფილტრავ ღვინოს მასში გატარებამდე წინასწარ ჩვეულებრივ ფილტრში ატარებენ.

ვიდრე ფილტრის ექსპლოატაციას შეუდგებოდნენ, მიმართავენ მის სტერილიზაციას. ამ მიზნით, მას ჭერ კარგად გარეცხავენ ცხელი და ცივი წყლით და ბოლოს 3 — 4 ატმოსფეროს წნევის მქონე ორთქლით დაამუშავებენ.

გაფილტვრის გავლენა ღვინის ხარისხზე

გაფილტვრისას ღვინის გემური თვისებების მოსალოდნელი ცვლილებები ბევრადაა დამოკიდებული ფილტრის კონსტრუქციაზე, მისი გამოყენების ხერხებზე და გამფილტრავი მასალების ხარისხზე. თუ გამფილტრავი მასალა სათანადოდ არაა დამუშავებული და შესწევს უნარი შევიდეს რეაქციაში ღვინოსთან, მაშინ მოსალოდნელია ამ უკანასკნელის გემური თვისებების გაუარესება.

ასევე, წინასწარ გაურეცხავი და დაუმუშავებელი ფილტრის გამოყენება ღვინის ხარისხზე უარყოფითად მოქმედებს.

წინასლებები შემოხვევაში, ე. ი. თუ გამფილტრავი მასალები კარგადაა დამუშავებული და მათ ახასიათებთ ნეიტრალური რეაქცია, ამასთანავე, ფილტრი კარგადაა გარეცხილი, გაფილტვრის პროცესი უარყოფითად არ მოქმედებს ღვინის ხარისხზე.

იდრე ბატონობდა აზრი, თითქოს გაფილტვრით მცირდება ღვინის ბუკეტი და ამით ღარიბდება იგი, მაგრამ ეს მოსაზრება პრაქტიკაში არ დაადასტურა. გაფილტვრის შემდეგ, თუ ღვინოს დავასვენებთ რამდენიმე კვირით და შემდეგ გავსინგავთ მას, შევიგრძნობთ კარგად განვითარებულ, სასიამოვნო მწყობრ ბუკეტს, ხშირ შემთხვევაში საკონტროლოზე უკეთესს.

გაფილტვრისას შესაძლოა ნახშირმუავა გაზის ნაწილი მოშორდეს ღვინოს; ახალგაზრდა ღვინოების გაფილტვრისას ეს მოვლენა არ შეიძლება უარყოფითად ჩაითვალოს.

თუ გამფილტრავი მასალა დაბალი ხარისხისაა და, უკავებელი დროს, იგი წინასწარ დაუმუშავებელია, მასში გატარებული ღვინო შესაძლოა გამდიდრდეს რკინისა და სხვა ლითონთა შემცველობით.

ეს მოვლენა თავიდან რომ ავიცილოთ, საჭიროა აწყობილ ფილტრში გავუშვათ ღვინის ან ლიმონის მჟავას 0,6%-იანი ხსნარი და ავსებულ მდგომარეობაში დავტოვოთ იგი 30 წუთის განმავლობაში; ამის შემდეგ, ხსნარი უნდა გადმოვლვაროთ ფილტრიდან და გულდასმით გავრცელოთ იგი ცივი წყლით.

დიდი ყურადღება უნდა მიექცეს გამფილტრავი ფირფიტების შენახვის საკითხს; ისინი უნდა ინახებოდეს მშრალ შენობაში, რომ არ მოხდეს მათ ზედაპირზე ობებისა და სხვა არასასიამოვნო მიკროორგანიზმების განვითარება.

ლვინის გამოხდა ცენტროცუგით

მღვრიე ღვინო შშვიდ შდგომარეობაში ხანგრძლივი დროით მოთავსებისას იშმინდება. მას გამოყოფა მექანიკური ნაწილაკები და ჭურჭლის ფსკერზე იღესავიან.

ღვინისაგან მექანიკური ნაწილაკების გამოყოფა ხანგრძლივ დროს მოითხოვს და მისი მიწოდება მომხმარებლამდე დაგვიანებით ხდება.

ამის გამო, სპეციალისტთა შორის სამართლიანი დაინტერესება გამოიწვია ღვინისაგან მექანიკური ნაწილაკების დაჩქარებითი გამოყოფის მეთოდის გამომუშავებამ. ამ მიზნით, გამოყენებულ იქნა ცენტრიდანული ძალები, რაც საწყისშივე დამაკმაყოფილებელი შედეგებით აღინიშნა. ცენტრიდანული ძალების შესაქმნელად დამუშავებულ იქნა სპეციალური აპარატები — ცენტროცუგები.

ცენტროცუგი აღვილი გამოსაყენებელია. ამასთანავე, მისი გამოყენებისას შემცირებულია ლექისა და ღვინის დანაკარგები, იგი საიმედოა და მცირე ოდენობით ხარჯის ელექტროენერგიას.

ცენტროცუგის ძირითად ნაწილს ვერტიკალურ ან პორიზონტალურ ლილვზე მბრუნავი დოლი წარმოადგენს.

მღვრიე ლვინო შედის სწრაფად შბრუნვად დოლში, რომელიც შემ-
საც შიგნით ცილინდრული ან კონუსური სადგამი აქვს. აქ
შეწონილი ნაწილაკები, რომელთაც სითხესთან შედარებით
დიდი ხვედრითი წონა აქვთ, ცენტრიდან ული ძალების შემ-
წეობით დოლის კედლებისაკენ მიემართებიან და ლექის სახით
გამოიყოფიან. გაწმენდილი ლვინო სპეციალური ონკანის შემ-
წეობით გამოდის აპარატიდან და თავსდება საამისოდ განკუ-
თვნილ, კარგად გაშეცხილ ჭურჭელში.

მუშაობის პროცესში ცენტროფუგი ჰერმეტულად უნდა
იყოს დახურული. ცენტროფუგის მასალები დამზადებული
უნდა იქნეს მაღალი ხარისხის მუავაგამძლე ლითონისაგან.

ცენტროფუგირების შემდეგ, ახალგაზრდა ლვინო არავითარ
ცვლილებებს არ განიცდის არომატსა და ბუკეტში. მასში
აღვილი აქვს მხოლოდ ნახშირმუავა გაზის შემცირებას. ზოგი-
ერთი ლვინო ცენტროფუგირებით უკეთ შწიფდება და ვითარ-
დება, ზოგიერთი მათგანი კი ოღნავ კარგავს სიხალისეს. ამდე-
ნად, ცენტროფუგირების შედეგად ლვინის ხარისხი ცოტად
თუ ბევრად დამოკიდებულია მის ხნოვანებასა და ქიმიურ შე-
დგენილობაზე.

მეღვინეობაში ხმარებული ცენტროფუგები წუთში 6-დან
12 ათასამდე ბრუნს აკეთებენ.

კარგ შედეგს იძლევა ვესტფალის სისტემის ცენტროფუგი,
რომლის კამერა 60 ლიტრამდე ლვინოს იტევს და წარმადობა
საათში შეადგენს 3500 ლიტრს.

ასევე, ყურადღებას იძყრობს ალფა ლავალის ტიპის ცენტ-
როფუგი. შედარებით გააღვილებულია მისი გაწმენდა ლექისა
და სხვა სახის ნაწილაკებისაგან.

ცენტროფუგის დატვირთვა ლვინის ოვითდინებით უმჯობე-
სია მოხდეს. ამისათვის, დასამუშავებელ წვენს ან ლვინოს გა-
დაქაჩავენ ცენტროფუგის ზემოთ მდებარე ჭურჭელში, საიდა-
ნაც იგი ოვითდინებით შედის მასში.

ცენტროფუგით შესაძლებელია, აგრეთვე, ყურძნის ტკბი-
ლის წინასწარი გაწმენდა ალკოჰოლური დუღილის ჩასატა-
რებლად. ასევე, კარგ შედეგს აღწევენ ახალგაზრდა, მღვრიე
ლვინის ცენტროფუგირებით.



მიუხედავად ამისა, ცენტროფუგირებით ღვინის სრულად გადასამუშავება
ჭირვალობას ვერ ვღებულობთ, ამ პროცესის მეშვეობით შე-
საძლებელია მხოლოდ ღვინის გაწმენდის ვადების შემცირება.

ღვინის გაზებვა

გაწებვა ღვინის გაწმენდის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა.

ამ პროცესის არსი მდგომარეობს მასში, რომ ღვინოში შეტანილი გამწებავი ნივთიერებანი განიცდიან კოაგულაციას, წარიტაცებენ შეწონილ სხეულებს და მათთან ერთად ლექის სახით გამოიყოფიან ჭურჭლის ფსკერზე.

პირველ ხანებში ღვინის გასაწმენდად, ძირითადად, გამოყენებული იყო წებოვანი ნივთიერებანი, რის გამოც ეს პროცესი გაწებვის სახელწოდებითა ცნობილი ღვინისა და სხვა ალკოჰოლურ თუ უალკოჰოლო სასმელთა ტექნიკოლოგიაში.

გაწებვის შემწეობით არა მარტო სიწმინდეს და გამჭვირვალობას ღებულობს ღვინო, არამედ, ამასთან ერთად, უმჯობესებება მისი გემური თვისებები და უმუშავდება მას გამძლეობის უნარი ინფექციურ დაავადებათა მიმართ.

გაწებვისას ქიმიურ და ფიზიკურ პროცესებთან გვაქვს საქმე. ქიმიურ პროცესთაგან აღსანიშნავია გამწებავ და მთრიმლავ ნივთიერებათა ურთიერთქმედებით ტანიდების წარმოშობა და მათი კოაგულაცია. სიმძიმის ძალის მოქმედებით ტანიდების გამოყოფა ნალექში გაწებვისას მიმღინარე ფიზიკურ პროცესს წარმოადგენს.

თვით გაწებვის პროცესი და მისი შედეგები, გამწებავ ნივთიერებასთან ერთად, ბევრადაა დამოკიდებული ღვინის ქიმიურ შედგენილობაზე და რიგ ფაქტორებზე.

გამწებავი ნივთიერებების შედეგად გამოყოფილი ნალექის ხვედრითი წონა უნდა ჭარბობდეს ღვინის ხვედრით წონას. წინააღმდეგ შემთხვევაში ფიფქისებრი ნალექი არ დაჭდება ჭურჭლის ფსკერზე და ღვინოც ვერ განთავისუფლდება ამმღრევი სხეულებისაგან. აქედან გამომდინარე, ამა თუ იმ ტიპისა და ქიმიური შედგენილობის მქონე ღვინო გარკვეულ გამწებავ

ნივთიერებას საჭიროებს. ასე, მაგალითად, მოტკბო ღვინოების უნდა გასაწმენდად კარგ შედეგს იძლევა შედარებით დიდი ხვედრითი წონის მქონე ნივთიერებანი: ბენტონიტი და ესპანური მიწა. ამ მიმართებით, ნაკლები პერსპექტივის მქონეა ჟელატინი, თევზის წებო და სხვა.

გასაწებავი ღვინო მშვიდ მდგომარეობაში უნდა იყოს. მასში მიმდინარე ბიოლოგიური პროცესებით, ტემპერატურის ცვალებადობითა და ნახშირმუავა გაზის გამოყოფით ჭიანურდება გაწებვის შედეგი — კოაგულირებულ სხეულთა ჭურჭლის ფსკერზე ნალექის სახით გამოყოფა.

დასამუშავებელი ღვინო ზომიერი მუავიანობით უნდა ხასიათდებოდეს. ძლიერ მაღალმუავიანი ან დაბალმუავიანი ღვინოები, გაწებვის შედეგად, ძნელად იწმინდებიან.

დიდი ჩაოდენობით გამწებავ ნივთიერებათა შეტანა ღვინოში უარყოფითი შედეგით მთავრდება. ამიტომ, საჭიროა ზუსტად დაღინდეს გამწმენდ ნივთიერებათა ოპტიმალური ღოზები წინასწარ.

ამასთანავე, დიდი მნიშვნელობა აქვს თვით ჭურჭელს, რომელშიც ღვინის გაწებვაა გათვალისწინებული. ჭურჭლის შიგა ზედაპირი უნდა იყოს მეტად გლუვი, რომ კოაგულირებულ ნაწილაკებს წინააღმდეგობა არ შეხვდეთ ფსკერზე გამოყოფის მომენტში. ამ მიმართებით, ხის კასრებთან შედარებით, უპირატესობას ლითონის ემალირებული ცისტერნები ინარჩუნებენ.

ამიტომ, გამწებავ ნივთიერებათა შესარჩევად, საჭიროა შესწავლილი იქნეს გასაწები ღვინის ქიმიური შედგენილობა ძირითად კომპონენტებზე (ხვედრითი წონა, მერკოლავი მუავები, საერთო მუავები, ექსტრაქტი, მთრიმლავი ნივთიერებანი და PH); ასევე, სასურველია გარკვეული იქნეს მისი ორგანოლეპტიკური და მიკრობიოლოგიური ბუნება.

გამჭვავი ნივთიერებები

თვითი შედგენილობისა და მოქმედების მიხედვით, გამწებავი ნივთიერებანი შესაძლოა გაიყოს ორ ჯგუფად:

პირველ ჯგუფში ერთიანდებიან ნივთიერებანი, რომლებიც

ქიმიურ რეაქციებში შედიან ღვინის შემადგენელ კომპონენტებთან. მათ ეკუთვნიან: ოევზის წებო, ჟელატინი, ალბუმინი, კაზეინი, რძე, ტანინი და სისხლის ყვითელი მარილი.

მეორე ჯგუფის ნივთიერებანი, პირიქით — ინერტული ბუნების არიან და არ შედიან ქიმიურ რეაქციებში ღვინის შემადგენელ ნაწილებთან. მათი წარმომადგენლებია: ცელულოზა, აზბესტი, ბენტონიტოვანი თიხები, კიზელგური (დიატომიტი), კაოლინი და ნახშირი.

თევზის ჭებო

თევზის წებო, როგორც გამწებავი ნივთიერება, საკმაო ხანია გამოიყენება ღვინის ტექნოლოგიაში. იგი ძირითადად იქმარება მთრიმლავ ნივთიერებებით ღარიბი, სუფრის ნაზი თეთრი ღვინოების გასაწებავად. იგი თითქმის არავითარ გავლენას არ ახდენს ღვინის ქიმიურ შედეგენილობაზე და სასურველ შედეგსაც იძლევა.

თევზის წებოს დასამზადებლად სხვადასხვა სახის თევზის საცურაო ბუშტს იყენებენ. კარგი ხარისხის თევზის წებოს იძლევა ზუთხი და თორუჭი. ასევე, დამაკმაყოფილებელ შედეგს ღებულობენ ლოქოს ბუშტიდან დამზადებული წებოთი ღვინის გაწებვისას.

თევზის წებო მზადდება ფირფიტების ან ბურბუშელის სახით. ბურბუშელასთან შედარებით ფირფიტების სახით დამზადებული თევზის წებო უფრო საიმედოა და შედეგსაც კარგს იძლევა.

თევზის წებო ცივ წყალში არ იხსნება, აქ იგი ფუვდება მხოლოდ. თევზის წებო ღვინოში ხსნარის სახით შეაქვთ. თევზის წებოს ხსნარის დამზადება დიდ სიფრთხილეს და გამოცდილებას მოითხოვს. ყველაზე გავრცელებული წესი თევზის წებოს ხსნარის დამზადებისა შემდეგში მდგომარეობს:

თევზის წებოს საჭირო რაოდენობას წონიან და მას ჭრიან მცირე ზომის ნაჭრებად. ნაჭრებს 24 საათის განმავლობაში ცივ წყალში ალბობენ, რათა მოცილდეს დამახასიათებელი

თევზის სუნი; დალბობის პერიოდში წყლის გამოცვლა 0,40-ლებელია ჩატარდეს 5—6-ჯერ მაინც. შემდეგ წყალს გადაღვრიან, აფუებულ თევზის წებოს მცირე ოდენობას ღვინოში მაგრად თქვეფავენ და მიღებულ მასას საცერეში ატარებება. პროცესის კარგად მსვლელობისათვის, წებოს უმატებენ ღვინოს იმ ანგარიშით, რომ დამზადდეს მისი 1%-იანი ხსნარი. ამ წესით მიღებული წებოს ხსნარი ერთგვაროვან სითხეს წარმოადგენს და მისი დამზადება გამოსაყენებლად დამთავრებულად ითვლება.

გასაწებავი ღვინისათვის თევზის წებოს საჭირო რაოდენობის დასადგენად, როგორც წესი, მიმართავენ საცდელ გაწებვას, რისთვისაც იყენებენ მისგან დამზადებულ 0,25%-იან ხსნარს. ამ უკანასკნელის დასამზადებლად ასე იქცევიან: 2,5 გ მშრალ თევზის წებოს პატარ-პატარა ნაჭრებად ჭრიან და 24 საათის განმავლობაში წყალში ათავსებენ. ზემოთქმულის შესაბამისად, ამ ხნის განმავლობაში წყალს 5—6-ჯერ გამოცვლიან. ამის შემდეგ, წყალს გადაღვრიან და აფუებულ წებოს უმატებენ ნარევს, რომელიც შეღვება 150 მლ რექტიფიცირებული სპირტისა, 6—10 გ ღვინის მჟავისა და 800 მლ სუფთა წყლისაგან. ნარევის დამატებისას, წარმოებს ენერგიული არევა, რის შედეგადაც ჩქარდება წებოს გახსნა; როდესაც წებო მთლიანად გაიხსნება, საერთო ნაზავი აყავთ 1 ლიტრამდე და ფილტრავენ მას ქსოვილში. ფილტრატს ათავსებენ ბოთლში და იყენებენ საჭიროებისამებრ.

ამის შემდეგ იღებენ 6 ცალ თეთრ, 0,25-ლიტრიან ბოთლს, დანომრავენ თანმიმდევრობით და თითოეულ მათგანში ასხამენ 150 მლ გასაწებ ღვინოს. შემდეგ, პირველში შეაქვთ 1 მლ თევზის წებოს ხსნარი, მეორეში 2 მლ და ა. შ. მეექვსეში 6 მლ. ბოთლებს ენერგიულად ანჭლრევენ, თითოეულ მათგანს ავსებენ ღვინით 250 მლ-მდე, კვლავ ანჭლრევენ და ათავსებენ იმ სათავსოში, სადაც გასაწები ღვინოა მოთავსებული. ამ მდგომარეობაში ტოვებენ 24 საათით და შემდეგ აკვირდებიან ღვინის გამჭვირვალობას — ადგენენ, თუ წებოს რა რაოდენობამ გამოიღო სასურველი შედეგი.

ვთქვათ კარგი შედეგი № 4 ბოთლმა მოგვცა. ეს იმას ნიშ-

ნავს, რომ ყოველი ჰექტოლიტრი ღვინის გასაწებავად საჭირო შემდეგი იქნება 4 გ მშრალი წებო, რაც შემდეგი ანგარიშიდან გამოდის:

0,25 ლ ღვინის გასაწებავად საჭირო იყო 4 მლ 0,25% -იანი ხსნარი, რომლის 1 მლ შეიცავს 0,0025 გ მშრალ წებოს, აქედან:

$$X = \frac{0,0025 \cdot 4,100}{0,25} = 4 \text{ გ მშრალი წებო.}$$

შელატინი

შელატინი თავისი მოქმედების უნარით განსხვავდება თევზის წებოსაგან.

იგი არა მარტო მთრიმლავ ნივთიერებებს ადსორბირებს, არამედ ასეთივე ხასიათის მოქმედებას იჩენს მლებავი ნივთიერებების მიმართ. ამის გამო მას, ძირითადი მიზნის — ღვინის გაწმენდის გარდა, ფართოდ იყენებენ მისი შეფერვის აღდგენის საქმეში. ასე, მაგალითად, მოშავო ან მოყვითალო ფერის მქონე თეთრი ღვინო, უელატინით დამუშავების შემდეგ, დამახასიათებელ, ნორმალურ შეფერვას ღებულობს. ასევე, მისი მეოხებით ღვინო კარგავს სიუხეშეს და რბილდება კიდეც.

შელატინი მზადდება ცხოველთა ძვლებიდან, ტყავიდან და ძარღვებიდან. მეღვინეობაში მას, ძირითადად, იყენებენ მთრიმლავი ნივთიერებებით მდიდარი ღვინოების გასაწებავად.

საჭვები შელატინი უნდა იყოს უგემო, უფერული, უსუნო, გამჭვირვალე. იგი ფირფიტების სახით მზადდება. თითოეულ მათგანი 25 — 30 გ იწონის.

შელატინი არ იხსნება ცივ წყალში. თევზის წებოს მსგავსად, წყალში ფუვდება მხოლოდ. თუ წყალს გავათბობო 35 — 40°-მდე, შელატინი ხსნად მდგომარეობაში გადადის, გაცივებისას კი იგი კვლავ მკვრივდება.

შელატინი თევზის წებოსთან შედარებით დიდი ოდენობითაა საჭირო ღვინის დამუშავებისას. ასე, მაგალითად, სუფრის თეთრი ღვინოების გასაწმენდად ყოველ ჰექტოლიტრზე 5—8 გ შელატინია საჭირო.

თუ ღვინო ღარიბია მთრიმლავი ნივთიერებებით, ამ შემთხვევაში შელატინის უკეთ მოქმედების მიზნით, მას წინასწარ ტანინის განსაზღვრული ღოზა უნდა დაემატოს.

წინასწარ ადგენენ ჟელატინის საჭირო ოდენობას, რისთვის მიმართავენ საცდელ გაწებვას.

ჟელატინის 0,25%-იანი ხსნარის დასამზადებლად 2,5 გრამ მშრალ ჟელატინს 35—40° ტემპერატურის მქონე მცირეოდენობის წყალში ხსნიან, მას უმატებენ 150 მლ სპირტრექტიფიკატს, მიღებულ ხსნარს ლიტრამდე ცივი წყლით ავსებენ და ინახავენ მოხმარებამდე. ამის შემდეგ, იღებენ 10 ცალ თეთრ 230 მლ ცილინდრს და ნომრავენ. თითოეულ მათგანში ასხამენ 200 მლ გასაწებავად განკუთვნილ ღვინოს და უმატებენ პირველს 0,5 მლ, მეორეს — 1, მესამეს — 1,5 მლ და ა. შ., 0,4%-იან ჟელატინის ხსნარს. ამის შემდეგ, მინის ცილინდრებში მოთავსებულ შიგთავსს მაგრად ანჯღრევენ და ტოვებენ 24 საათით იმ კასრების გვერდით, რომლებშიაც გასაწებავად განკუთვნილი ღვინოა მოთავსებული.

24 საათის შემდეგ აკვირდებიან გაწმენდილი ღვინოების გამჭვირვალობას და ჟელატინის საჭირო ოდენობის დასადგენად ხელმძღვანელობენ დადებითი შედეგით. ღვუშვათ, რომ ყველაზე კარგი შედეგი მე-5 ცილინდრში იქნა შენიშნული, ე. ი. 200 მლ ღვინო კარგად გაიწმინდა 2,5 მლ ჟელატინის 0,4%-იანი ხსნარის დამატებით, 2,5 მლ ჟელატინის 0,4% იანი ხსნარი შეიცავს $0,004 \cdot 2,5 = 0,01$ გ მშრალ წებოს. აქედან, 1 ჰექტოლიტრი ღვინის გასაწებავად საჭირო იქნება $0,01 \cdot 5 \cdot 100 = 5$ გ ჟელატინი.

თეთრი ღვინოების შემთხვევაში საცდელი გაწებვისას საჭიროა ტანინი დაემატოს წინასწარ იმ ანგარიშით, რომ ჟელატინის 1 წონით ნაწილზე იგივე ოდენობა ტანინი მოდიოდეს. ამისათვის ამზადებენ ტანინის ხსნარს ღვინოზე ან სპირტზე ჟელატინის ხსნარის მსგავსი კონცენტრაციით. ჯერ ღვინოში შეაქვთ ტანინის, ხოლო შემდეგ ჟელატინის ხსნარი.

ა ლ ბ უ მ ი ნ ი

ალბუმინი კვერცხის ცილისაგან მზადდება; იგი კარგად იხსნება წყალში. ტანინთან ალბუმინი იძლევა უხსნად ნივთიერებებს — ე. წ. ტანატებს. კვერცხის ცილა, ძირითადად,



გამოიყენება მთრიმლავი ნივთიერებებით მდიდარი წერტილი ღვინოების გასაშებავად.

გაშებვის წინ კვერცხის ცილას ოქვეფავენ მცირე ოდენობის წყალში (1 ლიტრი 10 კვერცხის ცილაზე) და მიღებულ ერთ-გვაროვან ხსნარს უმატებენ ღვინოს.

წითელი ღვინოების შემთხვევაში, 1 ჰექტოლიტრზე საკმარისია 2 — 4 ცალი კვერცხის ცილა.

კვერცხის ცილასთან ერთად გამოიყენება მისგან მიღებული მშრალი ალბუმინი. 200—300 ცალი კვერცხის ცილა 1 კგ მშრალ ალბუმინს იძლევა.

წითელი ღვინოების გასაშებავად ჰექტოლიტრზე 8—10 გ მშრალი ალბუმინია საჭირო. თეთრი ღვინოებისათვის კი — 5 — 8 გ.

რ ძ ვ

რძეს გამშებავ უნარს მასში შემავალი კაზეინი აძლევს. იგი გამოიყენება, ძირითადად, დაბალხარისხოვანი ღვინოების გასაშებავად. კარგ შედეგს აღწევენ მოშავო ან მოყვითალო ფერის მქონე თეთრი ღვინოების რძით დამუშავებისას. ასეთი ღვინოები დამუშავების შემდეგ თავიანთ დამახასიათებელ შეფერვას ღებულობენ და მომხმარებელთა სამართლიან ყურადღებას იმსახურებენ.

დაუშვებელია რძით ხარისხოვანი სუფრის ღვინოების დამუშავება, წინააღმდეგ შემთხვევაში მათი არომატი და ბუკეტი ღარიბდება და გემური ღირსებაც კლებულობს.

პრაქტიკული გამოცდილებით დადასტურებულია, რომ 50 ლ/ლ ღვინის გასაშემენდად საკმარისია 2—3 ლიტრი რძე. დაავადებული ღვინის შემთხვევაში კი საჭიროა 5 — 7 ლიტრი რძე.

კ ა ზ ვ ი ნ ი

კაზეინი რძის შემადგენელი ნაწილია; იგი მასში კალციუმის მარილების სახით გვხვდება 3—4 % -ის რაოდენობით. მას რძისა-



გან გამოლექვის გზით ღებულობენ; იგი ფხვნილისებრი ნივთებით ერებაა, რომელსაც აქვს თეთრი ფერი მოყვითალო იერით.

კაზეინი ადვილად იხსნება ტუტე ხსნარებში. არ იხსნება ჭყალსა და მუავებში.

კაზეინი უმთავრესად იხმარება თეთრი ღვინოების გასაწებავად. იგი ძლიერ მოქმედებს ღვინოზე. მისი ღიღი ღოზით სარგებლობისას, მოსალოდნელია ღვინის ფერის შეცვლა და ბუკეტის გაუარესება. ამიტომ, საჭიროა ზუსტად დადგინდეს კაზეინის საჭირო რაოდენობა ღვინოების გაწებვისას.

უმეტეს შემთხვევაში თეთრი საღი ღვინოების გასაწებავად ჰექტოლიტრზე 10—20 გ კაზეინია საჭირო. თუ ღვინოს გარეშე სუნი ან გემო აქვს, მის ჰექტოლიტრზე საჭიროა 30—40 გ კაზეინი. სპირტთან და მუავებთან კაზეინი კოაგულირებას განიცდის, ამიტომ მისი გამოყენებისას ღვინოზე ტანინის დამტება არ არის საჭირო.

სისხლის ყვითელი მარილი

სისხლის ყვითელი მარილი ფართოდაა გამოყენებული მეღვინეობაში. იგი, ძირითადად, იხმარება იმ შემთხვევაში, როდესაც საჭიროა ღვინო განთავისუფლდეს მძიმე ლითონების, განსაკუთრებით კი რეინის ჭარბი შემცველობიდან.

სისხლის ყვითელი მარილით დამუშავებული ღვინო გამდლეობას იჩენს სიმღვრივისადმი და, ამასთან ერთად, ივითარებს სუფთა გემოს.

მას ღიღი გამოყენება აქვს, აგრეთვე, სხვადასხვა კასით დაავადებული ღვინოების გამოსასწორებლად. იგი, აგრეთვე, საუკეთესო პროფილაქტიკური საშუალებაა, რათა ღვინოში არ განვითარდეს მძიმე ლითონების ზეგავლენით კასი.

მძიმე ლითონების მოცილების გარდა, სისხლის ყვითელი მარილი ლექავს ღვინის ცილოვან ნივთიერებებს. ამ მიზნით მას ხშირად იყენებენ ფილტრაციის წინ — ამ პროცესის ჩატარების გასააღვილებლად და დადებითი შედეგის მისაღებად.

სისხლის ყვითელი მარილის ღიღი რაოდენობით შეტანა ღვინოში საშიშია აღამიანის ორგანიზმისათვის. იგი იმდენი

რაოდენობით უნდა შევიტანოთ ლვინოში, რომ მან არავარდება უარყოფითი გავლენა არ იქონიოს ადამიანის ორგანიზმზე.

სისხლის ყვითელი მარილით ლვინის დამუშავებას, საერთოდ, მისი პირველი გადაღების შემდეგ აწარმოებენ. დამუშავებული ლვინო ლექ्थე 1—2 კვირით რჩება, შემდეგ კი საჭიროა ლვინის ლექ्वიდან მოხსნა და მისი გადაღება კარგიდ გარეცხილ გოგირდნახრილებ ჭურჭელში.

ესპანური მიწა

ესპანური მიწა ესპანეთში გვხვდება. იგი წითელი შეფერვისაა. მასში დიდი რაოდენობით (40—60%) კირის არსებობა ძლიერ დაბლა წევს მის ხარისხს და, როგორც უვარგისი, ასეთი მიწით ლვინის დამუშავებას ერიდებიან; წინააღმდეგ შემთხვევაში მოსალოდნელია ლვინის ხარისხის მკვეთრი გაუარესება.

ესპანური მიწა უნდა ინახებოდეს სუფთა შენობაში. იგი აღსორბციის დიდი უნარით ხასიათდება და ცუდი სუნის მქონე სათავსოში მოთავსებით ადვილად იძენს მას.

ესპანური მიწით, ძირითადად, ლორწოვან ლვინოებს წმენდენ, ასევე გამოიყენება იგი მდიდარი სხეულის მქონე ტკბილი ლვინოების გასაწმენდად. იგი ჰექტოლიტრ ლვინოზე 100-დან 400 გრამამდე შეაქვთ.

საცდელი გაწებვის ჩატარება ესპანური მიწის დოზირების საქმეში სასურველ შედეგს იძლევა.

პ ა მ ლ ი ნ ი

კაოლინი ლვინოს გამჭვირვალობას აძლევს და, ამასთან ერთად, აღსორბირებს მღებავ ნივთიერებებს, გარეშე გემოსა და სუნს.

კაოლინი გამოიყენება ტკბილი ლვინოების გასაწმენდად. კარგ შედეგს იძლევა, აგრეთვე, ლორწოვანი ლვინის დამუშავება კაოლინით.

კაოლინი 0,5—1 კილოგრამის ოდენობით შეაქვთ ჰექტო-



ლიტო ღვინოზე. შეტანამდე მას კარგად გაქნიან მცირე ლიტო ღვინოში ნობა ღვინოში და მიღებულ ერთგვაროვან მასას გასაწებავ ღვინოს უმატებენ.

კაოლინი ნელი გამოლექვის უნარით ხასიათდება, რის გამოც დამუშავებული ღვინო სიწმინდეს ერთი თვის შემდეგ ღებულობს.

მარტო კაოლინი სტაბილურ გამჭვირვალობას ვერ სქენს ღვინოს, ამიტომ მის გამოყენებას მიმართავენ თევზის წებოსთან, ჟელატინთან ან სხვა გამწებავ ნივთიერებებთან ერთად.

პ ე ნ ტ ო ნ ი ტ ი

ბენტონიტოვანი თიხებით ღვინის გაწმენდა პირველად კალიფორნიაში დაიწყეს და აქ ამ მეთოდს გამოყენების ხანგრძლივი ისტორიაც აქვს.

ამ თიხებმა თავიანთი სახელწოდება მიიღეს წარმოშობის ადგილმდებარეობიდან. ისინი ნაპოვნი იქნა ჩრდილო ამერიკაში — ბენტონში, რის გამოც მათ ამ ადგილის სახელწოდება შეარქვეს.

ბენტონიტოვანი თიხები გვხვდება, აგრეთვე, ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში. საქართველოში ამ თიხების საბადო ასკანაშია, რის გამოც მას ასკანგელსაც უწოდებენ.

ბენტონიტოვანი თიხები 80%-მდე შეიცავენ კოლოიდურ ფრაქციას, რის გამოც ისინი ადსორბირების კარგი უნარით ხასიათდებიან და ღვინოს ათავისუფლებენ ამმღვრევი სხეულებისაგან.

საქართველოს ბენტონიტი — ასკანგელი — ღვინოს კარგად წმენდს, კრისტალურ გამჭვირვალობას ძენს მას და, ამასთან ერთად, მისი გამოყენება, ეკონომიური თვალსაზრისით, მეტად გამართლებულია.

ასკანგელი სუფრის ღვინოების გარდა, კარგად წმენდს შამპანურ ღვინომასალებს და, ამ შემთხვევაშიც, დადებით შედეგებს იძლევა.

ბენტონიტით წითელი ღვინოების დამუშავება გაუზართლებელია იმდენად, რამდენადაც იგი, როგორც ძლიერი ად-
7. ა. სირბილაძე

სორბენტი, ღვინოს ართმევს მღებავ ნივთიერებებს და  უნდა
თუ ბევრად აუფერულებს მას.

ასევე ბენტონიტი, რომელსაც ტუტე შედგენილობა აქვს, ამცირებს ღვინის მუავიანობას 0,2—0,5 გ/ლ. ეს გარემოება მხედველობაში მისაღები ბენტონიტით ღვინის დამუშავებისას.

ზემოაღნიშნულის გარდა, ასკანგელის დადებითად უნდა ჩაითვალოს ის გარემოებაც, რომ იგი არ ფუჭდება და მასზე დიდი ხნით გაჩერებული ღვინო არ ღებულობს გარეშე სუნსა და გემოს. ამასთანავე, ასკანგელით ღვინის გაწმენდა წლის ყველა პერიოდში შეიძლება, მაშინ, როდესაც ზაფხულის ცხელ დღეებში უელატინი და თევზის წებო ამ მიმართებით ნაკლებ საიმედოა.

ბენტონიტოვანი თიხების ეფექტურობა ღვინის გასაწმენ- დად ბევრადაა დამოკიდებული მათი სუსპენზიისა და კოლო- დურობის ხარისხზე. ამდენად, ბენტონიტის ხსნარის დამზადება დიდ სიფრთხილეს და სათანადო გამოცდილებას თხო- ულობს.

ბენტონიტის სუსპენზიის დასამზადებლად ასე იქცევიან: 200—500 გ ბენტონიტს კარგად დანაყავენ, მიღებულ მასას დაასხამენ აღუღებულ წყალს და ამ მდგომარეობაში ტოვებენ 24 საათით გაფურცელდებოს. გაფურცელებულ ბენტონიტს საცერში ატარებენ და მიღებული მასიდან 10%-იან ბენტონიტწყალ- ხსნარს ამზადებენ.

გამოყენების წინ, საჭირო რაოდენობა ბენტონიტის სუს- პენზიას სამ წილ გასაწებავად განკუთვნილ ღვინოს უმატებენ; კარგად ოქვეფენ და მთლიან მასას გასაწებ ღვინოს დაუმატებენ. 10—12 დღის შემდეგ, ღვინო გამჭვირვალობას იძენს, მას ლექიდან მოხსნიან და შესაფერის ფილტრში ატარებენ.

ზუსტად რომ დადგინდეს ბენტონიტის საჭირო რაოდე- ნობა, როგორც წესი, საწარმოო გაწებვის ჩატარებამდე, მი- მართავენ საცდელ გაწებვას და ეყრდნობიან მის შედეგებს.

საცდელი გაწებვისათვის იღებენ 10 ცალ 200 მლ-იან თეთ- რი ფერის ცილინდრს, თითოეულ მათგანში ნიშანხაზამდე ასხამენ დასამუშავებელ ღვინოს და აქვთ უმატებენ 0,5; 1;

1,5; 2 და ა. შ. მლ ბენტონიტის ხსნარს, რაც შეესაბამება 0,25; 0,50; 0,75 ლ და ა. შ. 10% -იან სუსპენზიას ჰექტოლიტურვინზე.

ცილინდრებს კარგად ანჯლრევენ და 24 საათით ტოვებენ იმ შენობაში, სადაც დასამუშავებელი ღვინოა მოთავსებული.

აღნიშნული პერიოდის გავლის შემდეგ, აკვირდებიან თი-თოეულ ცილინდრში ღვინის გამჭვირვალობას და ბენტონიტის საჭირო ოდენობას იმ ცილინდრის მიხედვით ანგარიშობენ, რომელშიც ყველაზე კარგი შედეგი იქნა მიღებული.

საერთოდ, ჰექტოლიტრი ღვინის გასაწებავად საჭიროა 50-დან 300 გ ბენტონიტი.

ნ ა ხ შ ი რ ი

ღვინის გასაწმენდად გამოიყენება მცენარეული და ცხოველური ნახშირი. რაოგორც პირველი, ისე მეორე ადსორბციის დიდი უნარით ხასიათდება, წვევს ღვინის გაუფერულებას და, ამასთან ერთად, ცოტად თუ ბევრად მას ათავსისუფლებს არა-სასიამოვნო გარეშე სუნისა და გემოსაგან.

ნახშირით ხარისხოვანი, ნორმალური სუფრის ღვინის და-მუშავება არა მიზანშეწონილი, წინააღმდეგ შემთხვევაში, გა-უმჯობესების ნაცვლად, შედეგი ღვინის გემოვნებითი თვისე-ბების გაუარესებით დამთავრდება — ღვინო, გაუფერულებას-თან ერთად, დაკარგავს დამახასიათებელ ბუკეტსა და გემოს. ამიტომ ნახშირით, ძირითადად, ამუშავებენ ზაღიან ღვინოებს მათი გამოსწორების მიზნით.

საჭირო ნახშირის რაოდენობა დასამუშავებელი ღვინის შე-ფერვასა და მის შედგენილობაზეა დამოკიდებული. ამასთანა-ვე, მხედველობაშია მისაღები, თუ რა სახის ნახშირთან გვაქვს საქმე.

50 ლ/ლ ღვინის გაუფერულებისათვის საჭმარისია 2—5 კგ მცენარეული ნახშირი, ცხოველური ნახშირი კი ამავე რაოდე-ნობა ღვინის დასამუშავებლად 250—600 გ საჭირო.

საცდელი გაწებვის შემდეგ ღვინოს საჭარმოო გაწებვისათვის ამზადებენ. თუ ღვინოს ნალექი აქვს, იგი გადალებული უნდა იქნას კარგად გარეცხილ გოგირდნახრჩოლებ ჭურჭელში.

გასაწმენდი ღვინო მთლიანად გადალებული უნდა იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში ნახშირმჟავა გაზი ხელს შეუშლის გაწებვის ნორმალურ მიმღინარეობას და შედეგიც არადამაკმაყოფილებელი მიიღება. თუ ღვინოში კვლავ დაუდუღარი შაქარია, მაშინ მას გოგირდოვანი მჟავას ანჭიდრიდი უნდა ვუხრჩოლოთ, რათა შეჩერდეს დუღილი გარკვეული დროით.

თეთრი ღვინოების გაწებვის წინ საჭიროა მათ ტანინი დაემატოთ.

ღვინოში ტანინი შესაძლოა შეტანილი იქნეს სპირტიანი, წყლიანი ან ღვინის ხსნარის სახით. ამზადებენ წინასწარ ტანინის ხსნარს, რისთვისაც 20 გ მშრალ ტანინს 100 მლ სპირტში, ღვინოში ან წყალში ხსნიან. ასეთი ხსნარის 5 მლ 1 გ მშრალ ტანინს შეიცავს. ასეთი კონცენტრაციის ხსნარი აადვილებს ღვინოში დასამატებელი ტანინის რაოდენობით გაანგარიშებას.

ტანინდამატებული ღვინო კარგად უნდა აირიოს, რათა ტანინი ერთნაირად განაწილდეს მის ყველა ფენაში. ამის შემდეგ შესაძლოა ღვინოს დაემატოს გასაწები ნივთიერების განსაზღვრული რაოდენობა.

ღვინის გაწებვა სასურველია შემოდგომაზე ან ზამთარში ჩატარდეს. ამ დროს შედარებით დაბალ ($8-12^{\circ}$) ტემპერატურასთან და მაღალ ბარომეტრულ წნევასთან გვაქვს საქმე, რაც გაწებვის ოპტიმალურ პირობებს ქმნის.

გასაწებად გამზადებულ ამა თუ იმ გამწებავი ნივთიერების ხსნარის საჭირო დოზას ხელჩაფიში ათავსებენ და მაგრად თქვეფავენ სპეციალური სათქვეფით, შემდეგ, ხსნარს 2—3 ლიტრ ღვინოს დაუმატებენ და ხელჩაფიდან ხელჩაფში ასხამენ (სურ. 15) 5—10 წუთის განმავლობაში. ამ დროს ნაზავი ქაფისებრ მდგომარეობაში გადავა და იგი გამზადებულად ითვლება გასაწებავად განკუთვნილ ღვინოში შესატანად.



კასრს 2—3 დ/ლ ღვინოს მოაკლებენ და მასში გამწება და მიმდევად ნივთიერების ხსნარს ასხამენ. ღვინოს მაგრად ურევენ სპეციალური სარეველათი (სურ. 16), რათა წებოს ხსნარი კარგად განაწილდეს მასში.

გაწებვისას დიდი მნიშვნელობა აქვს ღვინის არევას. თუ არევა სრულყოფილი არ არის, მაშინ გაწებვას ნაკლები ეფექტი ექნება — არ მოხდება ღვინის სათანადო გაწმენდა.


არევის შემდეგ კასრში ქაფი წარმოიშვება; ქაფის გაქრობის შემდეგ კასრებს ღვინით ავსებენ, საცობებს უკეთებენ და ამ მდგომარეობაში ტოვებენ 2—3 კვირით.

შეგოდან ღვინის მოხსენა

გამწებავ ნივთიერებებზე ღვინოს 2—3 კვირით ტოვებენ. ამ ხნის განმავლობაში თუ გაწებვის პროცესი კარგადაა ჩატარებული და დაცულია ჰაერის ტემპერატურისა და წნევის ოპტიმუმი, ღვინო კარგად იწმინდება და სასიამოვნო გამჭვირვალობის ხდება.

დაწმენდილ ღვინოს ლექიდან მოხსნიან დიდი სიფრთხილით და კარგად გარეცხილ გოგირდნახრჩოლებ ჭურჭელში გადაიღებენ.

გადაღებულ ღვინოში ნალექის მცირე ოდენობით გადაყოლაც კი უარყოფითად მოქმედებს მის გამჭვირვალობაზე. ამ-




სურ. 15. წებოს ხსნარის გაერთგვაროვნება

დენად, გადაღება ისე უნდა წარიმართოს, რომ ღვინო მიზანური განვითაროთ.

გადაღების შემდეგ კასრებში დარჩენილ ნალექს ფილტრა-
ვენ სათანადო ფილტრში, ხოლო ფილტრზე დარჩენილ სქელ
მასას გზავნიან საჭტილიზაციოდ.

ღვინის გადაჭვა

ღვინის გადაწებვისას ერთ-ერთ აუცილებელ და ძირითად
პირობას წარმოადგენს გამწებავი ნივთიერებების სრული კო-



სურ. 16. წებოდამატებული ღვინის
მექანიკური არევა

გულაცია და მათი გა-
მოლექვა ჰურჭლის
ფსკერზე. ყოველივე
ეს ხორციელდება, თუ
გამწებავი ნივთიერება
სათანადო დოზითაა
შეტანილი ღვინოში
და ეს უკანასკნელი
შეიცავს მთრიმლავ
ნივთიერებათა საჭირო
ოდენობას.

თუ ღვინოში ჭარ-
ბადაა მიმატებული
მწებავი ნივთიერებანი
და ამ უკანასკნელთ
უნარი შესწევთ ტანი-
ნის დამატებით გა-
ნიცადონ კოაგულაცია,
ასეთ ღვინოზე იტ-
ყვიან, რომ იგი გა-
დაწებილია. გადაწები-
ლი ღვინო თავიდან
გამჭვირვალეა, მაგრამ
დროთა განმავლობა-

ში იგი თავს ვერ იჭერს (ბოთლში ჩამოსხმის რამდენიმე უძველესი მოხატვის შემდეგ, მითუმეტეს თუ ჩამოსხმა ჰაერის შეხებით მოხდა) და იმღვრევა. ასეთ ღვინოს ხელოვნურად უნდა დაემატოს ტანინის განსაზღვრული რაოდენობა ან დაკუპაჟდეს იგი მთრიმლავი ნივთიერებებით მდიდარ ღვინოსთან.

ტანინის დასამზადებელი დოზის გაანგარიშებისას, მხედველობაში იღებენ, თუ რა სახის გამწებავ ნივთიერებებთან აქვთ საქმე. მაგ., კაზეინი ან თევზის წებო კარგად კოაგულირდება ტანინით ღარიბ ღვინოში.

ტანინის დასამატებელი დოზის ზუსტად დადგენისათვის მიმართავენ საცდელ გაწებვას.

ტანინის დამატების შემდეგ, ღვინოს ენერგიულად აურევენ და როდესაც იგი სრულ გამჭვირვალობას მიაღწევს, ლექიდან გადაიღებენ.

ღვინის თერმული დამუშავება

ღვინის თერმული დამუშავების შედეგად მნიშვნელოვნად უმჯობესდება მისი ხარისხი. თერმული დამუშავებისას ღვინოზე მოქმედებენ დაბალი ან მაღალი ტემპერატურით, რისი მეოქებითაც წყდება მასში ყოველგვარი მიკროორგანიზმის მოქმედება; იგი იჩენს გამძლეობას ცილოვანი სიმღვრივისადმი; ნალექში გამოიყოფა ღვინის ქვა და, ამასთან ერთად, ჩქარდება დამწიფება-დაძველების პროცესები; ღვინო ადრე ივითარებს დამახასიათებელ გემურ თვისებებს და სათანადო გამჭვირვალობით ხასიათდება.

ამდენად სითბო-სიცივით ღვინის დამუშავების მეთოდს ფართოდ იყენებენ მეღვინეობის ტექნიკური მიზანისთვის.

სიცივით ღვინის დამუშავება ხელს უწყობს მასში არსებული ღვინის ქვისა და დაბალ ტემპერატურაზე უხსნადი კოლოიდური ნივთიერებების გამოლექვას. ამის მეოქებით, ე. წ. ღვინის ბუნებრივ გაწებვასთან გვაქვს საქმე; ღვინის ქვა და კოლოიდური ნივთიერებანი თან წარიტაცებენ ღვინოში ატივტივებულ ამმღვრევ სხეულებს, გადაყავთ ისინი ნალექში და ღვინოც გამჭვირვალე რჩება.

სიცივით ღვინის დამუშავების პრინციპი იმაში მდგომარეობა ამ მას, რომ მას აცივებენ გაყინვის ტემპერატურასთან ჰელიუმის მდგომ ტემპერატურამდე. ამ მდგომარეობაში ტოვებენ 6—7 ღლით და შემდეგ ფილტრავენ.

ახალგაზრდა ღვინო ორი ღლე-ღამე სიცივით დამუშავებით და გაფილტვრით გამჭვირვალე ხდება და ამ გამჭვირვალობას იგი რამდენიმე თვის განმავლობაში ინარჩუნებს.

ასევე კარგი შედეგია მიღებული ახალგაზრდა შემაგრებული ღვინის სიცივით დამუშავებისას. ღვინო გამჭვირვალე ხდება და გამძლეობას იჩენს სიმღვრივის მიმართ.

პრაქტიკული მონაცემების მიხედვით როგორც სუფრის, ისე შემაგრებული ღვინოების დამუშავება — 4—5°-ზე სასურველ შედეგს იძლევა.

ამავე ტემპერატურაზე უნდა ჩატარდეს. მათი გაფილტვრა.

სიცივით ღვინის დამუშავება შესაძლოა ჩატარდეს ბუნებრივი და ხელოვნური გზით. ბუნებრივად ღვინის დამუშავება, სიცივის მეოხებით, ზამთრის ცივ ამინდში ტარდება. ხელოვნური გზით სიცივით ღვინის დამუშავება სპეციალურ სამაცივრო კამერებში წარმოებს. შესაძლოა ამ მიმართებით გამოყენებულ იქნეს, აგრეთვე, თბომცვლელები.

მეღვინეობის საწარმოებში სიცივით ღვინის დამუშავებისათვის საკმაო ხანია იყენებენ ალფა ლავალის ტიპის ფირფიტოვან თბომცვლელს. ამავე მიზნისათვის იყენებენ, აგრეთვე, მაცივარს მილი-მილში.

თბომცვლელების შემწეობით ღვინის სწრაფი გაცივება ხდება და, ამასთან ერთად, პროცესი უწყვეტად მიღის.

სამაცივრო კამერებში კი სიცივით დამუშავების პროცესი თანდათანობით წარმოებს, რითაც არახელსაყრელი პირობები იქმნება ღვინის ჭვის კრისტალიზაცია-გამოლექვისათვის. აქედან გამომდინარე, სიცივით ღვინის დამუშავებისას სამაცივრო კამერებთან შედარებით, უპირატესობა თბომცვლელებს ენიჭებათ.

ლვინის თბოდამუშავება ფართო მასშტაბითაა გამოყენებული მეღვინეობის ყველა ჭვეყანაში; ამასთანავე, ამ მეთოდს გამოყენების ხანგრძლივი ისტორია აქვს.

გაცხელებით დამუშავებული ლვინო სტერილური ხდება, იქნებს გამჭვირვალობას, უმჯობესდება მისი გემური თვისებები და შედარებით ადრე შედის სიმწიფეში.

გაცხელება საჭიროების შემთხვევაში ლვინოს მაღერის ტონს ძენს და ამდიდრებს არომატს. თბოდამუშავების ყველაზე გავრცელებულ მეთოდს ლვინის პასტერიზაცია წარმოადგენს.

ლვინის პასტერიზაცია ითვალისწინებს მის გაცხელებას ჰაერმიუკარებლად მოკლე დროით $55-65^{\circ}$ ტემპერატურაზე. ამის შედეგად ლვინო თავისუფლდება მიკროორგანიზმთაგან, ჩქარდება ახალგაზრდა ლვინის დამწიფების პროცესები და უმჯობესდება მისი გემური თვისებები.

პასტერიზაციამ რომ დადებითი შედეგი გამოიღოს, დასამუშავებელი ლვინო უნდა იყოს სრულიად გამჭვირვალე და ლექმოცილებული; წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლოა პასტერიზაციას უარყოფითი შედეგი მოყვეს: ლვინო აიმღვრეს და გაუარესდეს მისი გემური თვისებები. ასევე, ლვინის სიმღვრივე ამცირებს პასტერიზატორის გამტარუნარიანობას და აჭიანურებს პასტერიზაციის პროცესს.

ამასთანავე, პასტერიზაცია დადებით შედეგს იძლევა ის შემთხვევაში, როდესაც პასტერიზატორში შესულ და გამოსულ ლვინოს ერთი და იგივე დაბალი ტემპერატურა ექნება: თუ თბილი ლვინო გამოვა პასტერიზატორიდან, ჰაერის უანგბადის მოქმედებით იგი შეიცვლის ფერს, ბუკეტს და ნაკლებ განვითარდება.

პასტერიზაცია შესაძლოა ჩაუტარდეს როგორც კასრშა მდგომ, ისე ბოთლებში ჩამოსხმულ ლვინოს.

კასრში მდგომი ლვინის პასტერიზაცია რომ ეფუძნული იყოს, პასტერიზატორის ყველა ნაწილში ლვინის გაცხელება თანაბრად უნდა ხდებოდეს. ლვინო პასტერი-



ზატორში უნდა შედიოდეს წვრილი ნაკადით და ინარჩუნებული დეს მუდმივ ტემპერატურას მთელ პროცესში. პასტერიზატორმა უნდა შეძლოს ღვინის პასტერიზაცია ჰაერის შეხების გარეშე. ადვილი შესაძლებელი უნდა იყოს მისი სტერილიზაცია ორთქლის საშუალებით და საჭიროების შემთხვევაში რემონტის ჩატარება.

ამ მოთხოვნებს კარგად აქმაყოფილებს მილოვანი პასტერიზატორი და ფირფიტებიანი პასტერიზატორი ალფალავალი, რომლებმაც დიდი გავრცელება პპოვეს ღვინის საჭარმოებში.

ბოთლებით ღვინის პასტერიზაცია ის, კასრში ღვინის პასტერიზაციასთან შედარებით, იშვიათად მიმართავენ.

ამ შემთხვევაში, ბოთლებში ასხამენ ღვინოს და თითოეულ მათგანს უტოვებენ ამონაკლს 4—5 მლ ოდენობით, შემდეგ ახურავენ საცობებს და სპეციალური სამაგრების მეშვეობით იცავენ მათ პასტერიზაციის დროს მოსალოდნელი ამოვარდნისაგან. ამ წესით გამზადებული ბოთლები თავსდება ლითონის კალათებში, რომელთა შეტანა პასტერიზატორში საამასოდ განკუთვნილი სპეციალური ურიკების მეშვეობით წარმოებს. ბოთლებში მდგომი ღვინის გაცხელება ცხელი წყლით წარმოებს.

აპარატი აღჭურვილია თერმორეგულატორით, რომლის საშუალებით შესაძლებელია წყლის ტემპერატურა ავიყვანოთ ($65—75^{\circ}$) ან დავიყვანოთ ($15—20^{\circ}$) სასურველ დონემდე.

ამ სისტემის პასტერიზატორი დიდი წარმადობის მქონეა; მასი წარმადობა დამოკიდებულია პასტერიზატორში არსებული კამერების რიცხვზე. ერთი კამერის საათობრივი გამტარუნარიანობა 300-დან 400 ბოთლამდეა.

ლვინის თერმული დაშუავების პომანირეზული ჭედები

სითბოთი ან სიცივით ღვინის დამუშავებისას გარკვეული ეფექტი მიიღება. შედეგს უფრო ეფექტურს ღებულობენ, როდესაც ღვინოზე კომბინირებულად მოქმედებენ სიცივით და

გაცხელებით. ამასთანავე, დამატებით მიმართავენ ღვინის გაწებას და ფილტრაციას. ამ წესით დამუშავებული ახალგაზრდა ღვინო მნიშვნელოვნად უმჯობესდება და ადრეც მწიფდება.

პროფ. მ. გერასიმოვის მიხედვით, სუფრის ღვინის თერმული დამუშავების კომბინირებული წესი შემდეგში მდგომარეობს: თბომცვლელის მეშვეობით ღვინო ცივდება მისი გაყინვის წერტილის $0,5^{\circ}$ -ით მაღალ ტემპერატურულ პირობებში. ამის შემდეგ, ღვინო თბება 25° -მდე ჰარის შეხების გარეშე და ამ მდგომარეობაში რჩება 30 დღით.

ლაბორატორიული ცდების გარდა, წარმოების პირობებში ამ წესით ღვინის დამუშავებამ დადებითი შედეგი გამოიღო.

ღვინის დამუშავება იონიტებით

იონიტები ორგანულ ან არაორგანულ ნივთიერებებს წარმოადგენენ. ისინი შეიცავენ აქტიურ ჯგუფებს მოძრავი იონებით და შესწევთ უნარი თავიანთი იონები გაცვალონ ელექტროლიტების იონებზე.

ამ ბოლო დროს ფართო კვლევითი ხასიათის სამუშაოები ჩატარდა მელვინეობაში სინთეტიკური იონმცვლელი ფისების — იონიტების გამოყენების შესაძლებლობაზე.

იონმცვლელი ნივთიერებანი ცნობილია კატიონიტებისა და ანიონიტების სახელწოდებით. ღვინის დამუშავებას, ძირითადად, კატიონიტებით აწარმოებენ. კატიონიტები არავითარ ცუდ გავლენას არ ახდენენ ღვინის ხარისხზე, მაშინ, როდესაც ანიონიტები იწვევენ ღვინის გემოვნებით ცვლილებებს და ცოტად თუ ბევრად მისი ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუარესებას.

ღვინის დასამუშავებლად გამოსაყენებელი კატიონიტები არ უნდა იხსნებოდნენ წყალსა და სპირტწყლიან ხსნარში და არავითარ არასასიამოვნო გარეშე გემოს არ უნდა ძენდნენ მას.

გამოყენებამდე აწარმოებენ კატიონიტების დამუშავებას

საქართველოს მთავრობის მინისტრის მიერ განთავისუფლებული დამუშავების შემდეგში ბის მიზნით.

კატიონიტების წინასწარი დამუშავების წესი შემდეგში მდგომარეობს: საჭმელი მარილის მაძღარ ხსნარში აფუებენ 200 გ ტექნიკურ კატიონიტს და მას ათავსებენ გამყოფ ძაბრ-ში. ამ უკანასკნელში ასხამენ ნატრიუმის ტუტის 5%-იან ხსნარს და ამ მდგომარეობაში ტოვებენ 3—4 საათით. ამის შემდეგ ტუტეს გადაღვრიან და კატიონიტს მის ახალ ხსნარს ასხამენ. ამ ოპერაციას იმეორებენ მანამ; სანამ გამდინარე ხსნა-რი არ დაკარგავს შეფერვას.

ტუტით დამუშავების შემდეგ კატიონიტს დასაწყისში რეც-ხავენ 10 მოცულობა გამოხდილი წყლით, ხოლო შემდეგ მარი-ლის მჟავის სხვადასხვა კონცენტრაციის (5—10—15%-იანი ხსნარი) მქონე ხსნარით, ფილტრატში რკინის იონების მთლია-ნად გაქრობამდე.

კატიონიტის დამუშავების მომდევნო ოპერაციას წარმოად-გენს მისი გარეცხვა გამოხდილი წყლით. გარეცხვა წარმოებს მანამ, სანამ ფილტრატში მთლიანად არ გაქრება ქლორის იონები.

ამის შემდეგ, კატიონიტს რეცხავენ წყალბადის ზეჟანგის 5%-იანი ხსნარით და რექტიფიცირებული სპირტით ფილტ-რატში ფერის გაქრობამდე.

ამ წესით დამუშავებულ კატიონიტს აშრობენ ჰერჩე და ინახავენ მილესილ საცობიან მინის ჭურჭელში მოხმარებამდე.

ანიონიტი საწყისში მარილმჟავას 2%-იანი ხსნარით მუშავ-დება, ვიდრე ფილტრატი არ განთავისუფლდება რკინისაგან და მთლიანად არ გაუფერულდება. ამის შემდეგ მისი დამუშა-ვება წარმოებს ტუტის 5—10%-იანი ხსნარით ქლორის იონე-ბის მოცილებამდე. დამუშავების მომდევნო პროცესს მისი წყლით და ეთილის სპირტით გარეცხვა წარმოადგენს, ფილ-ტრატის სრულ გაუფერულებამდე. ამ წესით გამზადებული ანიონიტი შესაძლოა საჭიროებისამებრ გამოყენებული იქნეს მეღვინეობის ტექნოლოგიაში.

იონმცვლელი ნივთიერებებით — იონიტებით ღვინის და-მუშავებას მიმართავენ მაშინ, როდესაც სურთ მას შესძინონ

სტაბილობა, შეუმცირონ ან გაუდიდონ მუავიანობა და განვითარებული ვისუფლონ იგი მძიმე ლითონების ზედმეტი რაოდენობისაგან.

ამ მხრივ იონიტები საუკეთესო პროფილაქტიკურ საშუალებასაც წარმოადგენენ ღვინის ზოგიერთი დაავადების თავიდან აცილების მიზნით.

ზედმეტი ოდენობა რეინის შემცველობის მქონე ღვინოების იფილტრება კატიონიტში, ხოლო შემდეგ, თუ ამას საჭიროება მოითხოვს, ანიონიტში.

ეს წესი, სუფრის ღვინოების გარდა, გამართლებას პოულობს შამპანური ღვინომასალების დამუშავებისას.

ლიტერატურაში არსებული მასალები ცხადყოფენ, რომ კატიონიტებისა და გოგირდოვანი მჟავას ანჰიდრიდის ერთობლივი გამოყენებით, მოსალოდნელია უკეთესი შედეგის მიღება ღვინის სტაბილობის შეძენისა და მისგან ლითონთა ჭარბი ოდენობის მოსაცილებლად. პირველ შემთხვევაში, ე. ი. თუ ნახევრად ტკბილ ღვინოებს ამუშავებენ მათი სტაბილობის მიზნით, საკმარისია ლიტრზე 50—80 მგ გოგირდოვანი მჟავას ანჰიდრიდი.

როგორც ზემოთქმულიდან ჩანს, იონიტებს მეღვინეობაში გამოყენების დიდი პერსპექტივები გააჩნიათ.

ლვინის ავადმყოფობანი, ზაღი და ნაკლოვანებანი

ავადმყოფობათა გამომწვევი მიკროორგანიზმები ლვინოში იწვევენ ღრმა, არანორმალურ ცვლილებებს და სხვადასხვა ავადმყოფობით ავადებენ მას. მიკროორგანიზმების მიერ გამოწვეული ავადმყოფობანი ლვინის ინფექციურ ავადმყოფობათა სახელწოდებითაა ცნობილი.

ლვინის ზაღთან გვაქვს საქმე მაშინ, თუ მასში მიმღინარე ქიმიური, ფიზიკო-ქიმიური და ბიოქიმიური პროცესების ნორმალური მიმღინარეობა დარღვეულია გარეშე ნივთიერებების (ჭურჭლის ხელი, გოგირდწყალბადის სუნი და სხვა) ზეგავლენით და მის შედეგად გაუარესებულია მისი გემური ოვისებები.

ლვინოში სხეულის, შეფერვის სიმცირე, ცალკეულ კომპონენტთა ოდენობითი ნაკლოვანება ან სიჭარბე მის გემურ თვისებებზე უარყოფითად მოქმედებს. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს მის ნაკლოვანებებთან.

ლვინის ავადმყოფობანი

ლვინის ავადმყოფობათა გამომწვევი მიზეზები შესაძლოა წარმოიშვას როგორც ყურძნის გაღამუშავების, ასევე მისი დამწიფება-დაძველების პროცესში, თუ საამისო პირობები შეიქმნება. ამიტომ საწყისშივე უნდა ჩატარდეს ყოველგვარი ღონისძიებანი, რათა ლვინის ავადმყოფობათა გამომწვევ მიკროორგანიზმებს არ მიეცეთ განვითარების საშუალება და არ დაავადონ იგი.



ასეთ ონისძიებათაგან აღსანიშნავია: ყურძნის კრეფილების ხარისხებით, მისგან დაზიანებული ან დამპალი მარცვლების გამოცალევება; ყურძნის ღროული მიტანა მარანში და გადამუშავება; ყურძნის საკრეფი და საზიდავი ჭურჭლის სისუფთავე; ყურძნის ტკბილის წინასწარი დაწმენდა; სადუღარი და ღვინის დასაძველებელი ჭურჭლის სისუფთავე; საფუვრის წმინდა კულტურების მეშვეობით ტკბილის დუღილის წარმოება; ტკბილის დუღილისა და ღვინის დამწიფება-დაძველებისას ოპტიმალური ტექნიკატურული პირობების დაცვა; კასრების ღროული შევსება; გოგირდოვანი მუავას ანჭიდრიდის შესაფერისი დოზებით გამოყენება და სხვა.

ტექნოლოგიური პროცესების ღროულად და ნორმალურად ჩატარებასთან ერთად, მეღვინე სპეციალისტის ერთ-ერთ საზრუნავს ღვინის დამწიფება-დაძველებისას მიმდინარე ცვლილებების შესწავლა-გამოკვლევა უნდა წარმოადგენდეს. თუ რაიმე არასასურველი ცვლილებები იქნა შენიშნული ღვინოში, საჭიროა დადგინდეს მისი გამომწვევი მიზეზები და ღროულად ჩატარდეს საწინააღმდეგო ოონისძიებანი.

ასევე, წინასწარ უნდა დადგინდეს ღვინის ავადმყოფობის სახე და იმის მიხედვით, თუ რა ავადმყოფობასთან გვაქვს საქმე, ჩაუტარდეს მას შესაფერისი მკურნალობა.

ღვინის ავადმყოფობის დადგენაში მეღვინე უნდა დაეყრდნოს მის ორგანოლეპტიკურ თვისებებსა და ქიმიურ მიკრობიოლოგიურ მონაცემებს. ღვინის შეფერვის დარღვევა, არასასიამოვნო არომატი და გემო, ქიმიური და მიკრობიოლოგიური შედეგების გადახრა მის დაავადებაზე მიუთითებს.

ღვინის ავადმყოფობათა შორის აღსანიშნავია ბრკე, დაძმარება, მანიტური დუღილი, რძემჟავა დუღილი, პროპიონული დუღილი, გალოორწოება, დამწარება და თაგვის გემო. ამათგან, პირველ ორს იწვევენ აერობული, ხოლო დანარჩენებს — ანაერობული მიკროორგანიზმები.

ბრკე ღვინის ავადმყოფობათა შორის საქმაოდ გავრცელებული ავადმყოფობაა. ბრკით უმთავრესად ნაკლულ ჭურჭელში შენახული დაბალალკოჰოლიანი ღვინოები ავადდებიან. ამ ავადმყოფობას იწვევენ მიკროორგანიზმები: მიკოდერმა



ვინი, ჰანზენულა, პიხია და სხვა, რომელთა განვითარებულია თვის ტემპერატურის ოპტიმუმი $24-26^{\circ}$ -მდეა. ავადმყოფობის დაწყების 2—3 დღის შემდეგ, ლვინის ზედაპირზე წარმოიშვება გლუვი, თხელი აპკი, რომელიც დროთა განმავლობაში სქელდება, ნაოჭდება და ვარდისფერი იერის მქონე მონაცრის-ფრო-თეთრ ფერს ღებულობს. აპკის ქვეშ მოთავსებული ლვინო საწყისში გამჭვირვალეა, ხოლო შემდეგ იძლვრევა, კარგავს სიხალისეს და არასასიამოვნო გემური თვისებების მქონეა.

ამასთან ერთად, იცვლება ლვინის ქიმიური შედგენილობა. დაავადებულ ლვინოში მცირდება ალკოჰოლის, ტიტრული მუვებისა და ექსტრაქტულ ნივთიერებათა ოდენობითი მაჩვენებლები.

იმისათვის, რომ ლვინო არ დაავადდეს ბრკით, საჭიროა რეგულარულად ჩავატაროთ სალვინე ჭურჭელის შევსება და მაქსიმალურად დავიცვათ იგი ჰაერის შეხებისაგან.

ავადმყოფობის სამკურნალო საშუალებად ითვლება ლვინის გადაღება გოგირდნახრჩოლებ ჭურჭელში. თუ ლვინის შენახვა ნაკლულ ჭურჭელში აუცილებლობითა გამოწვეული, მაშინ საჭიროა მას პერიოდულად გოგირდი ეხრჩოლოს.

ძლიერ დაავადებული ლვინის გამოსასწორებლად, საჭიროა იგი გაიწებოს ბენტონიტით, თევზის წებოთი ან უელატინით და გაცხელდეს 60° ტემპერატურაზე 5—8 წუთის განმავლობაში.

დაძმარება ლვინის ავადმყოფობათა შორის ყველაზე გავრცელებული და საშიში ავადმყოფობაა. მას იწვევენ ძმარმუაგა ბაქტერიები, რომელთა განვითარების ხელსაყრელ პირობებს წარმოადგენს მაღალი ტემპერატურა (ოპტიმალური 33°), ლვინის სინაკლულე ჭურჭელში, დაბალალკოჰოლიანი და დაბალმუავიანი ლვინო.

ავადმყოფობის განვითარებისას ლვინის ზედაპირზე წარმოიშვება მონაცრისფრო თხელი აპკი; ლვინო ძმარმუავისა და მისი ეთერების ზეგავლენით არასასიამოვნო სუნს და გემოს ივითარებს.

გემური ცვლილებების გარდა, ლვინო ქიმიურ ცვლი-

ლებებს განიცდის. ამ უკანასკნელისაგან უმთავრესად ალფაზონული
ნიშნავია ეთილის სპირტის დაუანგვა ძმარმებად.

დაავადება რომ არ განვითარდეს, საჭიროა ღვინო ინახებო-
დეს კარგად გარეცხილ გოგირდნახრჩოლებ ჭურჭელში და
წარმოებდეს მისი რეგულარული შევსება.

დაძმარებული ღვინის გამოსასწორებლად ლიტერატურაში
გვხდება რამდენიმე მეთოდი, ერთ-ერთ მეთოდად ურჩევენ
ღვინის დამუშავებას ცარცის ან მარმარილოს ფხვნილით. ეს
მეთოდი ვერ იძლევა ძმრის მუავას ოდენობით შემცირებას,
მცირდება მხოლოდ ღვინის, ქარვის და ვაშლის მუავას
ოდენობითი შემცველობანი. აქედან გამომდინარე, ამ მეთოდ-
მა გავრცელება ვერ ჰპოვა.

არსებულ მეთოდთა შორის, დაძმარებული ღვინის გამო-
სასწორებლად კარგ შედეგს იძლევა მისი გადაღულება ჭანსალ
ჭაჭაზე. დადუღების შედეგად მიღებულ ღვინოს ასხამენ კარ-
გად გარეცხილ გოგირდნახრჩოლებ ჭურჭელში ან გადაამუშა-
ვებენ პასტერიზატორში სათანადო ტემპერატურაზე.

დაავადებული ღვინის შემდგომი დაძმარების შესაჩერებ-
ლად მიმართავენ პასტერიზაციას $60-70^{\circ}$ ტემპერატურა-
ზე $5-15$ წუთის განმავლობაში ან გოგირდოვანი მუავით ($60-75$ მგ/ლ) დამუშავებას, რის შედეგადაც ძმარმუავა ბაქ-
ტერიები კარგავენ ცხოველმოქმედების უნარს. ამ წესით და-
მუშავების შემდეგ, ღვინო რომ განთავისუფლდეს მკვდარ
მდგომარეობაში მყოფ ძმრის ბაქტერიებისაგან, აწარმოებენ
მის გაფილტროას ან გაწებგას და კარგად გარეცხილ გოგირდ-
ნახრჩოლებ ჭურჭელში მოთავსებას.

მანიტური დუღილი — ძირითადად შენიშნულია
მევენახეობა-მეღვინეობის ცხელ ქვეყნებში. თეთრ ღვინოებ-
თან შედარებით, წითელი ღვინოები უფრო მკრძნობიარობას
იჩენენ ავადმყოფობისადმი.

დაავადებული ღვინო ექვსატომიანი სპირტის მანიტის
არასასიამოვნო ტკბილი გემოთი ხასიათდება და, ამასთან ერ-
თად, დიდი ოდენობით შეიცავს ძმრისა და რძის მუავას.

მანიტური დუღილის გამომწვევი ბაქტერიები (ბაქტერიუმ
მანიტორეუმი და სხვა ძმარმუავა ბაქტერიები) კარგად ვითარ-
8. ა. სირბილაძე

დებიან $25-30^{\circ}$ ტემპერატურაზე. მაღალმეავიან (10-დან 11 გ/ლ) და მაღალალჟოპოლიან (14° -მდე) ლვინოებში ორი წნული: ბაქტერიები ვერ ვითარდებიან.

ლვინორომ არ დაავადდეს მანიტური დუღილით, საჭიროა დაბალმეავიან ტკბილს ლიმონის ან ლვინის მეუვას განსაზღვრული დოზა დაემატოს. ამასთანავე, საუკეთესო საშუალებად ითვლება ტკბილის დუღილი ოპტიმალურ ტემპერატურაზე. გოგირდოვანი მეუვას არეში აღზრდილი საფუვრის წმინდა კულტურების გამოყენებით.

ივადმყოფობისაგან ლვინის მთლიანი განოვისუფლება შეუძლებელია. შესაძლოა მხოლოდ მისი შეჩერება, რისთვისაც კარგ შედეგს იძლევა ლვინის გაფილტვრა ან პასტერიზაცია.

რძე მუავა დუღილი — ერთ-ერთი სერიოზული ივადმყოფობა. იგი ძირითადად თავს იჩენს დაბალმეავიან ლვინოებში და საგრძნობლად აუარესებს მათ გემურ თვეს სებებს.

რძემეუავა დუღილის გამომწვევი ბაქტერიების მეოხებით, შაქრის დაშლის შედეგად, რძემეუავა და ძმრის მეუვა წარმოიშვება. ლვინო ივითარებს მკვეთრად გამოხატულ არასასიამოვნო მოტკბო, მეუვე გემოს და სპეციფიკურ სუნს. ლვინოში რომ არ წარმოიშვას რძემეუავა დუღილი, პროფილაქტიკურ ლონისძიებებად ურჩევენ ყურძნის ტკბილის წინასწარ დაწმენდას, დუღილის წარმოებას გოგირდოვანი მეუვას ანციდრიდისა და საფუვრის წმინდა კულტურის გამოყენებით. ამასთანავე, საჭიროა შაქრის ზოლომდე დაღუღება, და დაბალმეავიანი ლვინის შემეუავება ლიმონის მეუვით.

რძემეუავა დუღილით დაავადებული ლვინის საბოლოო გამოსწორება თითქმის შეუძლებელია. მისი გემური თვისებების გასაუმჯობესებლად ურჩევენ ლვინის დამუშავებას გოგირდოვანი მეუვას ანციდრიდით ($80-100$ მგ/ლ) ან პასტერიზაციას $60-70^{\circ}$ ტემპერატურაზე $10-15$ წუთის განმავლობაში. ამის შემდეგ საჭიროა ლვინის გაწებვა და ფილტრაცია.

კროპიონული დუღილით — ანუ, როგორც მას ლვინის გადაბრუნებას უწოდებენ, ძირითადად მზა ლვინი ავადდება. დაავადებული ლვინო იმღვრევა, პაერის შეხებით



იბურება და ხშირ შემთხვევებში შავდება კიდეც. ამასთან მეტად არომატს და იძენს ძმარ-
თად, იგი კარგავს დამახასიათებელ არომატს და იძენს ძმარ-
მუავა ეთერის არასასიამოვნო სუნს.

დაავადებას ზოგჯერ თან სდევს ჩახშირმუავა გაზის გამო-
ყოფა. დაავადების ამ სახეს „პუს“-ს უწოდებენ. თუ ავადმყო-
ფობისას ადგილი არ ექნა გაზის გამოყოფას, მაშინ „ტურნთან“
გვაქვს საქმე.

პროპიონული დუღილით ავადდება დაუღდულარი შაქრისა
და აზოტოვან ნივთიერებათა ჭარბი შემცველობის და დაბალი
მუავიანობის მქონე ღვინოები.

პროპიონული დუღილის დროს წარმოებს ღვინის მუავას
და მისი მარილების გარდაქმნა პროპიონმუავად, წყლად და
ნახშირორეანგად. ამასთანავე, არეში წარმოიშვება ძმრის, რძი-
სა და ჭარვის მუავები.

თუ ავადმყოფობა საწყის ფორმაშია, ასეთი ღვინის მკურ-
ნალობით მოსალოდნელია სასურაველი შედეგი.

თუ ღვინოში ადგილი ექნა ძმრისმუავას ზრდას, საჭიროა
ძმარმუავა ბაქტერიების დახოცვა. პასტერიზაციის ან გოგირ-
დოვანი მუავის ანჭიდრიდის შემწეობით.

ავადმყოფობის გამომწვევი ბაქტერიების შემდგომი განვი-
თარების შესაწყვეტად, წითელი ღვინის ყოველ ჰექტოლიტრ-
ზე 5 გ გოგირდოვანი მუავა შეაქვთ, ხოლო თეთრი-ღვინის შემ-
თხვევაში იგი ჰექტოლიტრ ღვინოზე 10 გრამამდეა საჭირო.
გოგირდოვანი მუავათი დამუშავების შემდეგ, ღვინო უნდა გა-
იწებოს ან გაიფილტროს სტერილურ ფილტრში.

მკურნალობის შემდეგ ახდენენ ღვინის ტანიზაციას (20—
25 გ/ჸლ) და ლიმონის მუავას დამატებას (30—50 გ/ჸლ), რი-
თაც მას სიხალისე და სისრულე უბრუნდება.

გალორეონიანება უმეტესად ჩრდილო რაიონის მე-
ვენახეობა-მელვინეობის ქვეყნებში გვხვდება.

უფრო ავადდებიან ახალგაზრდა მცირე ექსტრაქტის, დაბა-
ლი ალკოჰოლისა და მუავიანობის მქონე თეთრი ღვინოები.

დაავადებისას ღვინო ლორწოვდება და კვერცხს ცილის
მსგავს კონსისტენციას ღებულობს. დაავადებისას ღვინოში
დარჩენილი შაქარი იშლება ავადმყოფობის გამომწვევი ბაქ-

ტერიების შემწეობით და შედეგად დექსტრინის მსგავსი მარტივი
შირტყალი ვისკოზი წარმოიშვება.

დავადებული ღვინის მკურნალობისათვის აწარმოებენ
ღვინის პასტერიზაციას ან გოგირდოვანი მუავით დამუშავებას.
არსებობს აგრეთვე მკურნალობის სხვა მეთოდი, რომელიც
აერირებით ღვინის გადაღებაში მდგომარეობს. ამ ღროს ლორ-
წო იშლება და ღვინო ნორმალურ კონსისტენციის ღებულობს.
შემდეგ ღვინოს ამუშავებენ გოგირდოვანი მუავით (50—
80 გ/ლ), წებავენ წინასწარ ტანიზაციით და გადაიღებენ
გოგირდნახრჩოლებ ჭურჭელში.

გასაწებად ხმარობენ ბენტონიტს, კაოლინს ან კვარცის
სილიას.

დამწარება უფრო ხშირად წითელ ღვინოებშია შემჩნეული,
თეთრ ღვინოებთან შედარებით. ავადდება ძველი,
ბოთლებში ჩამოსხმული ღვინოები.

ავადმყოფობის პირველ სტადიაში ღვინის გამჭვირვალობა,
შეფერვა არ იცვლება, შემდგომში იგი ღებულობს ყავისფერს
ლურჯ-მოშავო იერით და მწარდება, როგორც კვების
პროდუქტი ნაკლებ გამოსაყენებელი ხდება.

დავადებულ ღვინოში ბაქტერიათა ზეგავლენით იშლება
გლიცერინი და მცირდება მისი რაოდენობა.

დავადებული ღვინის გამოსასწორებლად მიმართავენ მის
პასტერიზაციას $60-62^{\circ}$ ტემპერატურაზე. ასევე, ბაქტერიების
დასახოცად კარგ საშუალებას წარმოადგენს ღვინის დამუშა-
ვება გოგირდოვანი მუავით (5—10 გ/ჰლ). ამით ღვინოს გაწე-
ბავენ ან გაფილტრავენ, რითაც მას აცილებენ დახოცილ ბაქ-
ტერიებს. მწარე გემოს მოსაშორებლად შესაძლოა ღვინის გ-
დადულება საღ ჭაზე.

მკურნალობის შემდეგ ღვინოს უმატებენ ტანინს (10—
20 გ/ჰლ) და ლიმონის მჟავას (30—50 გ/ჰლ).

თაგვის გემო — თითქმის ყველა ტიპის ღვინოშია
შემჩნეული. ავადმყოფობა მეტად საშიშია და ღვინის გა-
მური თვისებების შკვეთრ გაუარესებას იწვევს. ღვინო ივი-
თარებს არასასიამოვნო სუნს და გემოს. ღვინო იბურება და
შესამჩნევად იმღვრევა.

საქართველოს მთავრობის მინისტრის მიერ გამოსწორებული დოკუმენტი

ღვინო თაგვის გემოთი რომ არ დაავადდეს, იგივე პრეზიდენტის
ლაქტიკური ღონისძიებების გატარებაა საჭირო, როგორც ეს
აღნიშნული იყო რემუზავადულილის განხილვისას.

თუ ავადმყოფობა საჭყის სტადიაშია, ღვინის გამოსწორებისათვის მიმართავენ მის პასტერიზაციას, შემდეგ გაწებვას და გაფილტვრას.

ღვინის ჯაჭი

ღვინის გაშავება — (შავი ანუ რკინის ქასი) — ძირითადად გამოწვეულია ღვინოში რკინის ჭარბი შემცველობით. რკინის უანგულა მარილები ტანიდებთან შეერთებით იძლევიან ტანიდების შავ ნალექს და ღვინის გაშავებას იწვევენ.

რკინის ქასის მქონე წითელი ღვინო იმღვრევა და შავდება. ასეთი ღვინო თავღია ჭურჭელში მოთავსებისას ფსკერზე შავ ნალექს იღებს.

თავიდან რომ ავიცილოთ ღვინის გაშავება, საჭიროა მივიღოთ ყოველგვარი ზომები, რათა იგი არ გამდიდრდეს რკინის ზედმეტი შეცულობით. ამისათვის, ყურძნის გადამუშავებისას და ღვინის მოვლისას, საჭიროა მანქანა-იარაღების რკინის ნაწილები დაიფაროს მჟავაგამძლე ნივთიერებებით (ბაკელიტი, გლიფტალი და სხვ.).

გაშავებული ღვინის გამოსასწორებლად კარგ შედეგს იძლევა მისი დამუშავება სისხლის ყვითელი მარილით.

ოქსიდაზური კასი (ღვინის შებურვა) შენიშნულია როგორც თეთრ, ისე წითელ ღვინოებში. მისი გამომწვევი მიზეზია დამპალ, დაზიანებულ ყურძნის წვენში არსებული ენზამი ენოქსიდაზი. ზაღის მქონე წითელი ღვინოები იმღვრევიან და მოყვითალო ფერს ივითარებენ. თეთრი ღვინოები კი მუქ ყავისფერს და მურა-ყავისფერს ღებულობენ.

ოქსიდაზური კასის მქონე ღვინის გამოსასწორებლად საჭიროა მისი პასტერიზაცია $55-75^{\circ}$ ტემპერატურაზე ან სულფიტაცია (50 მგ/ლ გოგირდოვანი მჟავა).

ფერის აღსაღენად ღვინოს რძით გაწებავენ.



თეთრი კასი — უფრო ხშირად გვხვდება დაბალმეტების
ვიან თეთრ-ღვინოებში, ვიღრე წითელში. ასეთი ღვინო თეთრ-
მოლურჯო სიმღვრივეს ივითარებს. გაწებვა-გაფილტვრის შემ-
დეგ ღვინო იწმინდება, მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ
იძღვრება.

ღვინის მიღრეკილებას თეთრი კასისადმი ასე ადგენენ:
50 მლ ღვინოს ასხამენ 2—3 წევთ 3%-იან წყალბადის ზე-
უანგს და მასში სიმღვრივის წარმოქმნას აკვირდებიან. თუ
ღვინო აიმღვრა, ეს იმას ნიშნავს, რომ იგი მიღრეკილებას
იჩენს თეთრი კასისადმი.

თეთრი კასისაგან რომ ღვინო დავიცვათ, საჭიროა თავიდან
ავიცილოთ ტკბილის ან ღვინის გამდიდრება რკინის მარილე-
ბით და ღვინის დაყენება-მოვლისას გამოყენებული იქნეს გო-
გირდოვანი მჟავა.

ღვინის გაწებვა სისხლის ყვითელი მარილით და ლიმონის
მჟავას დამატება. მის გამოკვეთებას იწვევს.

სპილენძის კასი — ღვინოში ვითარდება უჰაეროდ.
იგი, ძირითადად, თეთრ ღვინოებშია შემჩნეული, რომლებიც
ჩამოსხმულია ბოთლებში ან ინახება ცისტერნებსა და ბუტებ-
ში სუსტი იერირებით.

მას, ძირითადად, ღვინოში სპილენძის ჭარბი შემცველო-
ბა იწვევს. აღნიშნული კასის მქონე ღვინო იძღვრება და სიმღ-
რივე უფრო ინტენსიურ ხასიათს დებულობს მზის სინათლის
მოქმედებით. სიმღვრივის მოცილება შესაძლოა, თუ ღვინოს
დავამუშავებთ $20-24^{\circ}$ ტემპერატურაზე, შემდეგ გავწებავთ
მას უჰაეროდ თევზის წებოთი, ბენტონიტით ან სისხლის ყვი-
თელი მარილით.

გოგირდ წყალბადის სუნი — უფრო ხშირად ახალგაზრდა
ღვინოებში გვხვდება. იგი, ძირითადად, წარმო-
იშვება ღვინოში თავისუფალი გოგირდის არსებობით. ამით
ღვინის ფერი არ იცვლება, მაგრამ იგი დებულობს დამპალი
კვერცხის გემოს.

გოგირდწყალბადის სუნი რომ თავიდან ავიშოროთ, უნდა
ვერიდოთ ღვინოში ზეღმეტი გოგირდის მოხვედრას.

თუ ღვინოს ძლიერ ემჩნევა გოგირდწყალბადის სუნი, იგი

უნდა გავანიავოთ და გოგირდი ვუხრჩოლოთ. გოგირდწყალდაშვილი ბადზე, გოგირდოვანი მუავას მოქმედებით, გოგირდი წარმოიშვება, რის შემდეგაც ღვინოს გადაიღებენ გაფილტვრით. ამით ქრება გოგირდწყალბადის სუნი ღვინოში.

ობის გემო—ღვინოში წარმოიშვება დაობებული, დაზიანებული ყურძნის გადამუშავებისას ან უსუფთაო (დაობებული) ჭურჭლის გამოყენებისას. ობის გემო ძლიერ ცვლის ღვინის გემურ თვისებებს და თუ იგი ძლიერ განვითარდა, ღვინის დალევაც კი შეუძლებელი ხდება.

ობის სუნი და გემო რომ არ განვითარდეს ღვინოში, საჭიროა ყურძენი დახარისხებით დაიკრიფოს და მაქსიმალურად იყოს დაცული სისუფთავე ღვინის დაყენება-მოვლის პროცესში. თუ ობის გემო ძლიერ არა აქვს გამჭდარი ღვინოს, მისი გამოსწორება შეიძლება; საჭიროა ასეთი ღვინო დამუშავდეს გოგირდოვანი მუავას ანჭიდრიდით (60—80 მგ/ლ) და გაიწებოს ცხელი ბენტონიტით (0,6 გ/ლ) ან მცენარეული ნახშირით. ამის შემდეგ გაფილტვრა კიდევ უფრო აუმჯობესებს მის გემოს.

ჭურჭლის ხელი — სამწუხაროდ, ხშირი მოვლენაა შევენახეობა-მეღვინეობის ზოგიერთ რაიონში. მის გამომწვევ მიზეზად ცუდად გარეცხილ ჭურჭელში ღვინის მოთავსება წარმოადგენს. იგი განსაკუთრებით თავს იჩენს იმ ღვინოებში, რომლებიც ქვევრებში ინახება. ასეთი ღვინის გამოსწორებისათვის მას გოგირდნახრჩოლებ ჭურჭელში გადაიღებენ და გაწებავენ.

ღვინის ნაკლოვანებანი

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ღვინის შემადგენელ ნაწილთა შეტ-ნაკლებობა, ფერსა და გემოში გადახრა ქმნის მის ნაკლოვანებებს. ასეთი ღვინის გამოსასწორებლად კარგ საშუალებას იძლევა მისი კუპაჟი სხვა ღვინოებთან; ასე, მაგალითად, დაბალი ალკოჰოლის მქონე ღვინო უნდა დაკუპაჟდეს მაღალალკოჰოლიან ღვინოსთან. ექსტრაქტით მდიდარი ღვინო მცირესხეულიან ღვინოსთან და სხვა.

ამასთან ერთად, ღვინის დაყენება-დამუშავების რაციონალური
ლური ტექნოლოგიური წესების დაცვით, შესაძლოა თავიდან
ავიცილოთ მისი ზოგიერთი ნაკლოვანებანი.

კუპაჟის გარდა, ზოგიერთი ნაკლოვანებანი შესაძლოა ღვი-
ნოს მოცილდეს გაწებვის შედეგად.

მ ი ნ ა რ ს ი

შესავალი

3

თავი I

საქართველოში გავრცელებული ძირითადი საღვინე ვაზის ჯიშების
მოკლე დახასიათება

6

თავი II

რთველისათვის სამზადისი	16
მარნის გამზადება	16
მანქანა-იარაღების გამზადება	17
საღვინე ჭურჭლის გამზადება	19
ხის ახალი ჭურჭლის დამუშავება-გარეცხვის წესი	19
ნახმარი კასრის გარეცხვა-გამზადება	21
ხის ცარიელი კასრების შენახვა	23
ქვევრების გამზადება	24
კასრის საცობების დამუშავება-გამზადება	26
რკინა-ბეტონის რეზერვუარების გამზადება	27
ლითონის რეზერვუარების გამზადება	29

თავი III

რთველი	31
ყურძნის სიმწიფის განსაზღვრა	32
ყურძნის კრეფა	35
ყურძნის გადაზიდვა	38

თავი IV

ღვინის დაყენება	40
სუფრის თეთრი ღვინის დაყენება უჭაჭოდ	41
კახური ტიპის სუფრის თეთრი ღვინის დაყენება	54
სუფრის წითელი ღვინის დაყენება	57
ღურდოდან ღვინის გამოყოფა	64
იმერული ტიპის სუფრის თეთრი ღვინის დაყენება	65

ଟାଙ୍କା ୫



ღვინის მოვლა	69
კურჭლის შევსება	73
ღვინის გადაღება	77
ღვინის გაფილტრა	79
გამფილტრავი მასალები	80
ფილტრები	80
გაფილტვრის გავლენა ღვინის ხარისხზე	85
ღვინის გაწმენდა ცენტროფუგით	86
ღვინის გაწებვა	88
გამწებავი ნივთიერებები	89
თევზის წებო	90
ჟელატინი	92
ალბუმინი	93
რძე	94
ვაზეინი	94
სისხლის ყვითელი მარილი	95
ესპანური მიწა	96
კოლინი	96
ბენტონიტი	97
ნახშირი	99
გაწებვის ტექნიკა	100
წებოდან ღვინის მოხსნა	101
ღვინის გადაწებვა	102
ღვინის თერმული დამუშავება	103
ღვინის თბოდმუშავება	105
ღვინის თერმული დამუშავების კომბინირებული წესები	106
ღვინის დამუშავება ონიტებით	107

ଟାଙ୍ଗେ VI

ლვინის ავადმყოფობანი, ზაღი და ნაკლოვანებანი	110
ლვინის ავადმყოფობანი	110
ლვინის ზაღი	117
ლვინის ნაკლოვანებანი	119

საზოგადოებრივი რედაქტორი გ. ჩუხაძე
რედაქორი მ. ტყემალაძე
მხატვარი მ. კიუნაგელიძე
მხატვრული რედაქტორი გ. ქუთათელაძე
ტექნიკური ე. აბდუშელიშვილი
კორექტორი ნ. აფხაზავა

ხელმოწერილია დასაბეჭდად 22/X-64 წ. ქაღალდის ზომა $84 \times 108^{1/32}$.
ნაბეჭდი თაბაზი 6,1 სააღრ.-საგამომც. თაბაზი 5,11
უ. 03813 ტირაჟი 5000 შეკვ. № 670

ფასი 15 კაპ.

გამოშემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 5

მე-4 სტამბა, თბილისი, მედქალაძი
Типография № 4, Тбилиси, Медгородок



Акакий Луарсабович Сирбидадзе

Изготовление качественного вина
и уход за ним

(На грузинском языке)

Издательство
«Сабчота Сакартвело»
Тбилиси, ул. Марджанишвили, 5
1964

3229/291



